

წიგნაკრები საქართველო




საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

1 ნომერი, 2013 წ. №68 (3678) ბამბახის 77-მ წელი ღირსი 1 ლარი

ლევან დოჩუაძე

რა არის ეს ფილოსოფი(ოზ)ია?

ჩემი და გიორგი მარგველაშვილის შეხვედრა



 ისე მოგვინია, რომ თანამედროვე საქართველოში ამოსარჩევთა რაოდენობა მაინცდამაინც დიდად არ ჩამოუვარდება ამომრჩეველთა რიცხვს. ამიტომ რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ჩვენი პატარა ქვეყნის მოქალაქეების არცთუ ისე მცირე ნაწილმა ვის მისცა კუთვნილი ხმა. ის კი არა, პრეზიდენტობის კანდიდატთა 54-სანტიმეტრიან არასტატიკურ მდგომარეობაში მყოფ დავთარს (ბოლოსკენ, როგორც იცის ხოლმე, უფრო ადამიანურ ზომამდე (23) დაპატარავდა) რომ გადავხედე, გამიხარდა კიდევ – ყველას საკუთარი თავისთვის რომ მიეცა „თვითხმა“, იქნებ უპრეზიდენტოდაც დავრჩენილიყავით. ასე რომ, თუ რომელიმე პატიოსანმა ბრძოლამა ზნეობრივი გმირობის მაგალითი არ შემოგვთავაზა და უარი არ თქვა იმ თავისთავად სასიამოვნო აქტზე, რაც საკუთარი თავისთვის ხმის მიცემას გულისხმობს, ისედაც ცხადია, ამომრჩეველთა, ანუ ამოსარჩევთა დიდი

ნაწილი ვის – რას და რა ვითარებაში მისცემდა. ამიტომ, რადგან ყველაფერი ნათელია, მეც ჩემივე ნებით უარს ვამბობ კანონით მონიჭებულ კონფიდენციალურობის უფლებაზე და საჯაროდ ვაცხადებ – ჩემი ხმაცა და მისი ექოებიც, ბევრი თქვენგანისგან განსხვავებით, **ბიძინა მარგველაშვილს** კი არა, უშუალოდ გიორგი მარგველაშვილს შევანიე. ეს, მე თუ მკითხავთ, პატარა საქმე სულაც არ არის, რადგან ასეთები, ზუსტად ვიცი, საქართველოში სულ ორნი ვართ: მე და გიორგი მარგველაშვილი!
 თუმცა უნდა გამოვტყდე, ამის, ვიტყვოდი, ირაციონალური მიზეზებიც მქონდა, რაზეც ახლავე მოგახსენებთ!
 ჯერ ერთი, გიორგი მარგველაშვილი პროფესიით, ჩემი არ იყოს, ფილოსოფოსია და, როგორც პლატონი ამბობს, სახელმწიფოს, უმჯობესია, სწორედ ამ სფეროში გარკვეული ადამიანები მართავდნენ (თქვენთან ერთად მეც დიდად მემედეება, რომ გენიალურ ბერძენ მოაზროვნე-

ზე მინდობით ბატონი გიორგი ჩვენ, პოეტებს, ერთიანად არ ამოგვუფუფავს!)*
 მერე მეორეც...



* პლატონი თავის სახელმწიფოში ადგილს არ ტოვებს პოეტებისთვის და მათ ზედმეტებად მიიჩნევს.

პირველი გვერდიდან

არცთუ ისე უხსოვარ (კარგად რომ მახსოვს, ეს ქვემოთ გამოჩნდება) დროში, აი, მაშინ, ბატონი გიორგი განათლების მინისტრიც რომ იყო, მასთან უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პრობლემებზე სასაუბროდ სხვებთან ერთად მეც მიმინვიეს.

ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვ-



ნიშნე, მარგველაშვილი პროფესიით ფილოსოფოსია, როდესაც ჩემი დისკუსიაში ჩართვის დრო მოვიდა, გადავწყვიტე, მისთვის „სოკრატული თერაპია“ (ჩვენში მას „მაიეუტიკასაც“ ვეძახით) ჩამეტარებინა:

– ბატონო გიორგი, გამარჯობა! სიმართლე გითხრათ, აქ დამსწრე რამდენიმე ადამიანის მგზნებარე მხარდამჭერი სიტყვის მოსმენის შემდეგ დავრწმუნდი, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ადამიანი ვერ ჩაიდენს და არ არსებობს ზღვარი, რომელსაც ფარისევლობა და პირმოთნეობა ვერ გასცდება. იმ ადამიანების ნაწილი, ვინც ახლა თქვენ შთამბეჭდავი შესხმები მოგიძღვნათ და ასე გულმოდგინედ გილოცავენ ნაციონალური მოძრაობის – რომელსაც არაფერი სცხია ნაციონალურის – ხელისუფლების დამხობას, გაგიკვირდებათ და, პირველი მხარდამჭერი იყო ამ სისხლიანი რეჟიმის! გინდათ, სახელები და გვარებიც დავასახელო?

ოთახში ნერვული სიჩუმე ჩამონვა. რამდენიმე ადამიანმა ხელი მაგრად მოუჭირა სხვადასხვა საგანს. ჩემ გვერდით მჯდომმა მეგობარმა მაისურზე მომქაჩა და ჩაიჩურჩულა: „ლექსო, რას აკეთებ, გაგიჟდი?“

– ვინ არის ეს ბიჭი? რა უნდა? გააჩუმეთ ვინმე! – აქეთ-იქიდან მომესმა ხმები.

– არა, არ არის საჭირო სახელები-სა და გვარების დასახელება, უხერხულია, – ამოღერდა ერთ-ერთმა.

– ვირთხები, – განვავრძე მე, – რა თქმა უნდა, ყველაზე ადრე ტოვებენ ჩაძირულ ხომალდს და მათ, ძალიანაც რომ ეცადო, ვერც მეორე ხომალდზე გადაბარგებას მოასწრებ... მაგრამ მაინც გაკვირვებული ვარ, რომ დღეს ჩემ გვერდით ის ადამიანები (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ) სხედან, რომლებმაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად მეტისმეტად მოინდომეს და როგორღაც მოახერხეს უნივერსიტეტის გადაგვარება,

მისი იდეისა და არსების დამახინჯება. სწორედ მათი ერთობლივი გარჯის დამსახურებაა, რომ დღეს უნივერსიტეტი სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ერთობა აღარ არის და ის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების შეხმატკბილებული ურთიერთობის ფორმად იქცა. მე დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ გაქვთ სურვილი, უნივერსიტეტი მათ კანონიერ და თეოლოგიურ მფლობელებს, ანუ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს დაუბრუნოთ, მაგრამ მეექვსეა, ამ საქმეში ეს ადამიანები გამოგადგნენ...

– დიდი მადლობა, აბსოლუტურად მართალი ხართ, – თავი დამიკრა გიორგი მარგველაშვილმა.

– უნივერსიტეტის იდეის გადაგვარებამ, რაც განსაკუთრებული წარმატებით მოახერხეს ამ ადამიანებმა, ის შედეგი გამოიღო, რომ მისი ნიალიდან განდევნეს პროფესორის რჩეული ნაწილი, ხოლო მათი ადგილი

პროფესიულად დისკვალიფიცირებულმა უდედნო ასლებმა დაიკავეს. მაგალითი თქვენთვის ახლობელი სივრციდან რომ მოვიხმო: სხვა რა შეიძლება ვუნოდოთ აკადემიური სივრციდან თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნის, ფილოსოფოსის, პროფესორ გიორგი ბარამიძის გაძევებას, თუ არა „უნივერსიტეტის გაღარიბება“?..

– გია ბარამიძე, – შემანწყვეტინა გიორგი მარგველაშვილმა, – ჩემი მეგობარია, სწორედ ის იყო დისერტაციის დაცვისას ჩემი ოპონენტი...

– ძალიან კარგი! თქვენ, რა თქმა უნდა, ისიც გეცოდინებათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის და ამ საკითხზე ასევე ფიქრობენ ჩვენი დასავლელი კოლეგებიც. თანამედროვეობის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ფილოსოფოსმა ბუქჰარდტ მოიზიშმა წერილიც კი გამოგზავნა, სადაც გიორგი ბარამიძის ფილოსოფიური მოღვაწეობა შეფასებულია, როგორც აზროვნების ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა... და რადგან ჩვენი, სტუდენტების უსაყვარლესი პროფესორი გიორგი ბარამიძე თქვენი მეგობარიც ყოფილა და თანაც ჭეშმარიტებაც მის მხარეს არის, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, უნივერსიტეტის რექტორი არჩეულ იქნას იმ პირობებში, როდესაც გიორგი ბარამიძე ბევრ მის ღირსეულ კოლეგასთან ერთად უკანონოდ არის განდევნილი თსუ-ის აკადემიური სივრციდან?

– რა თქმა უნდა, მართალი ხართ! – დამემონმა გიორგი მარგველაშვილი. – რექტორის არჩევა იმ ადამიანების მონაწილეობის გარეშე, ვინც უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს უნივერსიტეტიდან, არ იქნება სწორი და ლეგიტიმური. არ იქნება მართებული, თუ თუნდაც გიორგი ბარამიძის უნივერსიტეტიდან განდევნილობის პირობებში ავირჩევთ რექტორს... ამიტომაც მიმარჩია, რომ უნივერსიტეტის უმაღლეს აკადემი-

ურ თანამდებობაზე დასანიშნად ადამიანი პრემიერმა უნდა შეარჩიოს...

– ბატონო გიორგი, რადგან ამ საკითხზე ერთი აზრი გვაქვს, მოდი, ახლა ის შევამოწმოთ, მართლა არის თუ არა მზადყოფნა, გადაიდგას რეალური ნაბიჯები იმისთვის, რომ, როგორც უკვე გითხარით, უნივერსიტეტი დაუბრუნდეს სტუდენტებსა და პროფესორებს, საუნივერსიტეტო განათლების ცენტრში მოექცეს სტუდენტის შემეცნებითი ინტერესი...

– კი, ბატონო, ვისმენთ, როგორ აპირებთ ამის შემოწმებას?

– ახლავე მოგახსენებთ. მე ხელში მიჭირავს განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა და რომელშიც ისინი მოითხოვენ, აღადგინოთ პროფესორი გიორგი ბარამიძე კუთვნილ აკადემიურ თანამდებობაზე, რათა ჩვენ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა დაგვიბრუნდეს... თუ თქვენ მართლა აპირებთ, უნივერსიტეტი ჩვენ, სტუდენტებს დაგვიბრუნოთ, გადადგით პირველი ნაბიჯი და დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნა...

– ლექსო, ის, რასაც თქვენ ითხოვთ, რა თქმა უნდა, სამართლიანია, მაგრამ მე მინდა, მთლიანი სისტემა შევცვალო და სწორედ ამ სისტემურ ცვლილებას ავტომატურად მოჰყვება ამ ადამიანების უნივერსიტეტში დაბრუნება. მანამდე კი, სამწუხაროდ, არანაირი ბერკეტი არა მაქვს, რომ გია ბარამიძე ჯავახიშვილში დავაბრუნო...

– ბატონო გიორგი, თქვენ მინისტრი ბრძანდებით და მიმარჩია, თუ საჭირო გახდა, ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოთ!..

მკითხველო!

ჩემი და გიორგი მარგველაშვილის ამ საუბრიდან, რომლის მცირე ნაწყვეტიც ახლა სახელდახელოდ და შეძლებისდაგვარად ზუსტად გავიხსენე, რამდენიმე თვე გავიდა. ის საქართველოს პრეზიდენტიც გახდა და მალე შეუდგება მუშაობას... ამიტომ გთხოვთ, გარდა იმ „ოცნებებისა“, რაც თავად ჩაუთქვით, თქვენც ჩემთან ერთად დაელოდეთ იმ დაპირებების შესრულებას, რომელიც დღევანდელმა პრეზიდენტმა მომცა!

ჯერჯერობით კი... უნივერსიტეტი ისევ კორუფციის ზონაა... შესანიშნავი ფილოსოფოსი, პროფესორი გიორგი ბარამიძე და მისი რამდენიმე უკანონოდ განდევნილი კოლეგა ჯერაც არ აღუდგენიათ კუთვნილ თანამდებობებზე. არც მე, როგორც „ურჩ მუამბოხეს“, დამდგომია კარგი დღე და ზოგიერთი „პროფესორის“ (პროფესორთა გარკვეული კატეგორიის მთავარი პრობლემა ხომ ის არის, რომ თავი მართლა პროფესორები ჰგონიათ) უზუნობის გადამკიდეს სხვა უნივერსიტეტში გადასვლამ მომიწია! სამაგიეროდ, თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა 12-სანტიმეტრიანმა სიამ რექტორად ვლადიმერ პაპავა აირჩია, რომელსაც, თავის მხრივ, იმ 12-სანტიმეტრიანზე მოკლე რეზო მიშველადის უნივერსიტეტში დაბრუნება ძლივს გადავათქმევინეთ!

ახლა კი, ვფიქრობ, ცხადია – გენიალური გერმანელი ფილოსოფოსის, მარტინ ჰაიდეგერის ცნობილი შრომის – „რა არის ეს ფილოსოფია?“ – სახელწოდების ალუზია რატომ ავირჩიე ჩემი ამ წერილის სათაურად... მართლაც, თქვენ გეკითხებით: „რა არის ეს ფილოსოფ(ო)ბ(ი)ა“?

Advertisement for 'Liberationist Society' (Liberal Society) conference. Includes logos for 'საქართველო' and 'ARTINFO GEORGIA'. Text: '„ლიბერალური საპარტოვლო“ პრეზენტაცია. მონაწილეობენ პოეტები და მუსიკოსები: გიორგი ძამუტაშვილი, თორნიკე ქედიძე, ბექა ახადაია, მერაბ არაბული, ექსო ცორიყი, დიმიტრი ბახუტაშვილი, ოთარ ჭირუვალიძე, ოთარ ფადიანი, ხვიჩა ყადაბეაშვილი, ევან მაისურიაძე, შორენა უტორიაშვილი, გიორგი არაბული, გიორგი ფირცხადაიშვილი, ბექა ყორშია, გეგა ოდიშელი, მადნაზ არჩვაძე'. Date/Time: 6 ნოემბერს 17:00 საათზე. Location: თსუ | უორჰუსი აუდიტორია 317.

აბსტინენცია

წევხარ. ენევი. კაცმა რომ თქვას, ახლა გაფრენას წინ არაფერი ელოდება, ფანჯრების გარდა (საგნებს აღარ თვლი სათვალავში, თითქმის არ სჩანან საგნები, რადგან უსაგნობით სახლი გაივსო და ასე უფრო იოლია, თან – გაცილებით...), რომელთა მიღმაც ქალაქია, დილა, აპრილი, და შვერილებზე გაჭიმული სარეცხის კორდი, რომელსაც ქარი ანიავებს. სხვა, დანარჩენი, ან სულერთია, ან შორს არის – თითქმის ხეებზე, X გამზირს Y მოედნამდე რომ აცილებენ.

დგები. გადიხარ და ატყობ, რომ პრობლემა გახდა ქუჩაც, რომელსაც მიჰყვები და არავინ მოგდევს, ჯიხურიც, სადაც შეგიძლია სასურველ გაზეთს შეავლო თვალი, შეიძინო და შემდგომ ამის, – თუკი ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, ღმერთის შეწევნით, – სახლიც, რომელშიც გელოდება ვინმე და ტახტიც, რომელზეც მშვიდად შეგიძლია, დანვე და მოკვდე, თუნდაც ცოტა ხნით, თორემ დიდხანს ვინ გაცლის ასეთ მარტივ ან სიკვდილს, ან სიცოცხლეს და ა. შ. და მისთ. ბრუნდები. წევბი. არაფერი. წევხარ. ენევი.

ლკობა

სინამდვილეში, სულ ეს არის. ხოლო რაც არის, სულში ფურთხია, სისხლში – შხამი, ლექსში – ტერცინა, ღვიძლში – ციროზი, გულში – ხინჯი, თვალში – ნაცარი.

მე მოვდიოდი შენს ხელებთან, როცა გეძინა და, ჩემო სულს, შენს თითებში სახეს ვმაღავდი, რომ მტკიოდა და... რომ სიმწრისგან არ გამეცინა.

და მივდიოდი – “მაღლა იდგა გემი დალანდი”, – შენ, სისხლო ჩემო, არც კი იცი საერთოდ, ვინძლო, რომ სწორედ შენგან ვისახსოვრე წასვლის ტალანტი.

ღვიძლო, შენ, ჩემო სულით ღვიძლო და სისხლით ღვიძლო, არაფერია. სიტყვებია. როგორ დაბერდი... მძიმეა. გზაა. შიმშილია. წლებია. მიძლებ.

გულს, მე მახსოვს ყველა წყალი, სადაც ჩავარდა ყინვა და ყველა სიყვარულის დიდი ხანძარი მახსოვს და მხრები და ტუჩები და თმის ხავერდი.

და თქვენ, თვალეზო – სულ ეს არის. ხოლო რაც არის, სულში ფურთხია, სისხლში – შხამი, ლექსში – ტერცინა, ღვიძლში – ციროზი, გულში – ხინჯი, თვალში – ნაცარი.

შემოდგომის ინსომნია

აღარაფერი აღარ დარჩა ძველი განძიდან, დუმის ოქროც განიავდა და სიტყვის ვერცხლიც. ღამის პეპელა სტრიქონებით ვაპურებ მერცხლებს, სიცარიელით ჩემი სული როგორ დამძიმდა. რადგან რაც იყო გასაზიდი, უამმა გაზიდა და ახლა დროის უზარმაზარ საცერში გაცრილს, სექტემბრის ქარი სხეულიდან ფოთლებს-ლა მაცლის,

მე, ასეთ ბებერს, ასეთ ხმელს და ასეთ გატოტვილს მათში, ვინც მოდის და ფესვებზე თეთრ ბატკანს მბაბს. შემოდგომაა. ინსომნია. ტრაგიკულ ამბავს, წიგნის თაროზე შემომჯდარი, ყვება ბალმონტი – როგორ დედება სისხლძარღვებში ქალაღდის ნებო... ჩემი დალილი თვალებიდან ღამე გადმოდის და ჩემს მაგიერ ტანთ იხდის და ლოგინში წევბა.

პარასკევი 13

აი სამშობლო, მთელი შენი სამშობლო, მთელი ეშხით და სამი მეოთხედით და მთელი სიგრძე – სიგანით. აი შენი ყანა და შენი „ჩელა“, მთელი ცხოვრება დროდადრო რომ ასხვისებ, იძენ, ასხვისებ, იძენ. აი შენი სოფელი, შენი ნამუსი – შენი გაჩეხილი ვენახი. აი შენი ორწვერი, ქამარჯინა, ლიჯე, ხდე, შინო,



გიორგი საჯანია

შენი საყდარი, შენი მინა და „აი-ია“, რომელსაც თითოთ მიჰყვებოდი და აი ქოხი, რომელშიც ენა აიდგი და რომელშიც წერა დაიწყე. შენი სამოსახლო და აი მუხა რომელსაც მუშაობა გამოსჭამა სამ დღეში ძირი. აი ჰალსტუხი, აი მიშა – და კიდევ კარგი ეს ყველაფერი იმდენია, ყელამდე გაძლე შეგიძლია და რასაც ზოგჯერ პოულობ, კარგავ... პოულობ, კარგავ, მოთმინებას, თავს, კავშირს, საზღვარს, დროს, სახეს, იმედს, დედამიწას, სამყაროს, მეტიც, რწმენას, რამეთუ სხვა რა გზაა და იმ გზას თელავ, რომელზეც ფეხი მიგინვდება და ამის დედაც! მოვტყან – იტყვი და გააბოლებ ერთ ღერ სიგარეტს – შენი სამშობლო, მთელი შენი სამშობლო, მთელი ეშხით და სამი მეოთხედი სიგრძე-სიგანით.

უღელტეხილი, 8 აგვისტო

გვირაბს გამოვცდით, – შუადღის ხვატი მოემწყვდია ფესვებში ძელქვას, – შენ თქვი: რთულია, სიყვარულზე რამე წამოგცდეს. მან თქვა: რთულია, სამშობლოზე რამე დანერო. მე ვთქვი: ძნელია, სამშობლოში პოეტი გერქვას.

გზა იყო შორი, დაგრეხილი, როგორც ბანარი. ცა იყო ახლო, როგორც ყელთან სატევრის წვერი. შენ თქვი: ძნელია, სამშობლოზე რამე დანერო. მან თქვა: ძნელია, სიყვარულზე რამე წამოგცდეს. მე ვთქვი: რთულია სიყვარული. და არა – წერა.

„უკეთუ გინდეს შემოდგომად მისდა – უარყავ!“ ვაშლის დახლები, სხვა დახლები, დახლები ნიყვის... შენ თქვი: კარგია, საქართველოს როცა უყვარხარ. მან თქვა: კარგია, საქართველოს როცა უყვარხარ. მე ვთქვი: კარგია საქართველო... როდესაც გიყვარს.

წერილი პოთლში

გამოუვალი წვიმებია. ასეთ დღეებში მთაში მივდივარ, სადაც ტყეა, ტყეში – მინური, ქათმის ფეხებზე შემომდგარი; მინურში – სხვენი, სხვენი სკივრია დამალული, სკივრში – კურდღელი, კურდღელში – იხვი, იხვი – კვერცხი და კვერცხში – ნემსი, რომლითაც ასეთ ძნელ ამბებში ტუჩებს ვიკერავ, რომ უცებ რამე არ წამომცდეს, დარდის მაგვარი. გსმენია რამე ტროვანტებზე? ჩემი ბავშვობის სახლს ერტყა ბალი, იშვიათი, რომელშიც ნაცვლად მცენარეების, იზრდებოდნენ ცოცხალი ქვები, ასეთ წვიმებში, მკვლელ დღეებში, ნამდვილ ამბებში... და მეც ამ ქვებში ვიზრდებოდი და მე ამ ქვებთან

ვთამაშობდი და ამ ქვებისგან ვსწავლობდი დუმის. და მე ვიყავი საკუთარი თავის წარსული, ამ ბაღში, სადაც საკუთარი თავის მომავალს ვზელდი მინისგან, საკუთარი თავის ღმერთით, და სილა ქვიშად გადაიქცა და ქვიშა – კენჭად, და კენჭი – ღორღად, ღორღი – ჭოჭყად და ჭოჭყი – ხვინჭად

და ხვინჭა – რიყედ, რიყე – ლოდად, ლოდი – ბალავრად, რომელზეც სახლი ააშენეს, ჩემი ბავშვობის, რომელსაც დიდი ბალი ერტყა, რომელშიც ნაცვლად მცენარეების, იზრდებოდნენ ცოცხალი ქვები. გამოუვალი დღეებია. ასეთ წვიმებში, ცარიელ ბოთლში ამბავს ვაგდებ და ბოთლს ფანჯრიდან, ზღვაში კია არა, ვისვრი იმისიმიქითში.

ერთი უმნიშვნელო ეპიზოდი ჰოთის ცხოვრებიდან

“მე ვფიქრობ იმაზე, რომ სახლში თითქმის აღარაფერი გვაქვს.” (კარლო კაჭარავა)

გუმინ, დილით, სანაპიროზე, დედაჩემს შევხვდი. მე, როგორც ყოველთვის, რომელიღაც სამიკიტნიდან მოვდიოდი, ღამენათევი და გაღებშილი, უწესო და უსაქციელო. ის, როგორც არასდროს, მშრალი ხიდისკენ მიდიოდა, ღამენათევი და თვალცრემლიანი, გამხდარი და წელში მოხრილი.

ხეს მოვეფარე (ვერ შემნიშნა) და დიდხანს, დიდხანს ვუცქირე კვალში, შუშის თვალებით, ვიდრე ხიდის ქვეშ, მადათოვით არ გაქრა, პატარა დედაჩემი.

შუადღისკენ, სახლში დაბრუნებულს, საგრძნობლად შეთხელებული წიგნების თარო მომხვდა თვალში.

ხოლო საღამოს, დედამ ხორციანი კერძი გააკეთა. უარი ვერ ვთქვი, თუმცა, ჭამა კი გამიძნელდა – ასე მეგონა, ჩემს საყვარელ ავტორებს ვჭამდი: ჰესეს, დრაიზერს, ჰემინგუეის...

და რაღაც მომენტში, კი არ მივხვდი, არამედ ვიგრძენი, რომ უბედურება სულაც არ არის წიგნებით საზრდოობა,

წიგნებით, რომლებსაც შეუძლიათ, ერთხანს სულიერად გამოგკვებონ, მერე კი, თუ საჭიროებამ მოითხოვა – ფიზიკურადაც... უბედურება ის არის, რომ ჭილაძის მერე სულერთი გახდა,

თუ ვის შევჭამდი.

დილის ექსპროზი

სავსე ხარ ჩემით. ვერ ივარგა ბედის მეთუნემ – მყიფეა ჩვენი სიყვარული, ოფლით და მტვერით მოხელილი და მოზომილი დროში. თუთუნი ხრჩოლავს ოთახში და თვალებით სიჩუმეს ვზვერავთ. ნევეს შენი ძალი ჩემს ფეხებთან, ვით ანუბისი. ეს განთიადიც გულს გარეა, ლექსიც – ყასიდი. სავსე ვარ შენით. მეშინია, ერთ არცთუ ისე მშვენიერ დღეს არ გადმოხვიდე გულის თასიდან.

დუმის პოეზია

მიყვარხარ ასეთი: მშვიდი და მდუმარე – როცა არ სჭირდებათ ტექსტებს კორექცია. თვალებით თანხმობა, თვალებით უარი და ამ უსიტყვობის მთელი კოლექცია, შენგან ვისახსოვრე... და სადმე თუ არის, მაგ შენს დუმისშიდაც არის პოეზია! მიყვარხარ ასეთი: მშვიდი და მდუმარე – როცა არ სჭირდებათ ტექსტებს კორექცია.



TORESA MOSSY

დედაჩემი Western Union-ია. სხვა-ნაირადაც შეიძლება ითქვას – დედაჩემი ტელეფონია, ხანდახან Skype, ხანაც Facebook-ი. მამა არ მახსოვს, ეს არც არის ჩემი ბრალი. ორი წლისა ვიყავი, როცა იქ გადაბარგდა, საიდანაც აღარასოდეს ბრუნდებია. მამა ძველი ფოტოსურათებია, რომლებიც ძველ საოჯახო ალბომებში თვლემს; ის დედაჩემის გახუნიებული მოგონებებიც არის, მაგრამ ეს ყველაფერი, დიდი ხანია, აღარაფერს მეუბნება. დედას ყველაზე მეტად ბანკის რიგში ვგრძნობ. თოთხმეტი წლისა ვიყავი, რომ წავიდა. მე ბიძასთან დავრჩი. კარგი კაცია, მისი ცოლიც კარგია, მისი შვილებიც, მაგრამ თვრამეტის რომ გავხდი, მაინც ცალკე გავიდი. თვის ბოლოს ბანკის რიგში ვდგავარ, ოპერატორს კოდს ვკარნახობ, მერე სალაროსთან გადავდივარ და ფულს ვიღებ. ყველაზე დიდ ხანს და მეტყველად დედაჩემის სუნი დამამახსოვრდა. ის მახსენებდა, რომ ტელეფონის მეორე ბოლოს მართლაც დედაჩემი იდგა. ერთ დღესაც ბანკში მისულმა, არ ვიცი, რატომ და, ფული დავეცხოს. სამუდამოდ გაქრა მისი სუნი. ნელ-ნელა მისი სახეც გაქრა მესხიერებიდან. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა Skype-ით პირველად დაველაპარაკე, ეს ჭალარაშუპარული სევდიანი ქალი ვერ დავუკავშირე დედას, რომელიც უკვე აღარც მახსოვდა. მოგვიანებით კომპიუტერიც დავეცხოს, მაგრამ მისი გამოგზავნილი ფულის სუნი უფრო მკვეთრი იყო. ყოველთვის ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა სანაცვლოდ ამ კეთილი ქალისთვის, რომელიც ყოველი თვის ბოლოს ასე გულუხვად მასაჩუქრებდა. ტელეფონმა მითხრა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარება საუკეთესო საჩუქარი იყო და მეც ეს ისე გავაკეთე, უემოციოდ, როგორც ყველაფერი დანარჩენს ვაკეთებ ცხოვრებაში. ჩაბარების შემდეგ ბანკში ზედმეტად დიდი თანხა დამხვდა. ამან ცოტა დამაბნია, მაგრამ მალე ინსტრუქციაც მოჰყვა. სახლი ვიყიდე, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულდა. Skype-დან კეთილი ქალის გამოსახულებამ აცრემლებულმა მითხრა, რომ რამდენიმე წელიც და უნივერსიტეტს დავასრულედი, სამსახურს ვიშოვიდი და ისიც ჩამოვიდოდა. მე შემეშინდა. მართლა ასე რომ მომხდარიყო, მე დედას დავკარგავდი, ვეღარასოდეს მივიღებდი ფულად გზავნილს, აღარ დამირეკავდა Skype-ი, არც ტელეფონში მომიხვედა ერთფეროვანი ამბების მოყოლა და იძულებული ვიქნებოდი, ამ გატანჯულ, კეთილ, მაგრამ მაინც უცხო ქალთან მეცხოვრა. იოლია, ფულის სანაცვლოდ დღეში ნახევარ საათს ელაპარაკო უცხო, კეთილ ქალს, რომლის სუნიც ოდესღაც სიტბოს გგვრიდა, მაგრამ დათანხმდე მასთან ერთად ცხოვრებას და თან ამაში შენ თვითონ გადაიხადო? არა, ეს დიდი სისულელე იქნებოდა. ჰო, შემეშინდა, ბოლოს და ბოლოს ასე ხომ უფრო მარტივი იყო. ამის მიუხედავად, წინააღმდეგობა არ გამინევია. ეს არც მჩვევია. უბრალოდ, მთელი დამე ვტიროდი. ახლაც, ჩვეულებრივ, უბრალოდ დავამთავრე უნივერსიტეტი, მაგრამ სამსახური არ მიშოვია. სიმართლე რომ ვთქვა, არც მიძებნია და, რომც მეძებნა, ალბათ, ვერ ვიშოვიდი. ერთი რამ ჩემთვის ძნელი გასაგებია – სამსახური თუ გინდა, გამოცდილება უნდა გქონდეს, გამოცდილება რომ შეიძინო, უნდა იმუშაო. ანუ, თუ არ მუშაობ, სამსახურს ვერც იშოვი. რა თქმა უნდა, ასე უკიდურესადაც

არ არის საქმე, მაგრამ არანაირი სურვილი არ მქონდა, ამ თემაზე ტვინი მეჭყლიტა და გამოსავალი მეძებნა. ყველაფერი უცვლელად დარჩა. ასე ჯობდა.

ცხრამეტისა რომ ვიყავი, მაშინ პასუხისმგებლობის შემეშინდა. ის უნივერსიტეტში გავიცანი. როგორც წესი, არავის ველაპარაკებოდი. მესამე სართულის კიბეზე შემხვდა მთვრალი და გამომყვა. სახლშიც გამომყვა. სასიამოვნო იყო. გაცემული ვუყურებდი, როგორ მონდომებით მოძრაობდა ჩემზე. მერე ერთხელ ჩამაჯინდა და სახლში გავუარე. ვიჯექი მაგიდასთან და გაცემული ვუყურებდი მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ. ვერ მივხვდი, როგორ იტანდნენ ეს სხვადასხვა ასაკის, სქესის, გემოვნების და შეხედულებების მქონე ადამიანები ერთმანეთს. თურმე ამას სიყვარული ჰქვია. და მერე ეს რას გვადლევს? უნდა ავიტანოთ ვიღაც, ვისაც არ ვეთანხმებით მხოლოდ ამ აბსტრაქტული ცნების გამო? რა სისულელეა. მე ზუსტად ვიცი, რატომ მიყვარს დედაჩემი – Western Union. მე შემიძლია ვიგრძნო ის ხელში, პირშიც, როცა ამ ხელში ნაგრძნობი ვყიდულობ რამე გემრიელს, რომელსაც მერე პირში ვგრძნობ. ეს არის რაღაც, რაც რეალურია, თანაც სანაცვლოდ მხოლოდ დღეში ნახევარი საათით თუ მოგიწევს იმ

რჩევების მოსმენა, რომლებიც შეგიძლია არასოდეს გაითვალისწინო. ამ ყველაფერმა შემამინა და მეც ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დავისხენი მისგან თავი.

გვერდითი ოთახში გავუშალე ლოგინი, მაგრამ, რომ დავნეჭი, მე შემომინვა. არ გამიპროტესტებია. მივხვდი, რაკი სახლში ნამოვიყვანე, თავი ვალდებულად მიანინდა. გადავბრუნდი და ზურგი შევაქციე. ისიც გადაბრუნდა. ხანდახან ძილს და სექსს შორის არჩევანს ამ უკანასკნელზე ვაკეთებთ და, ჩემი აზრით, ეს სავსებით ბუნებრივია.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ დარჩა და დარჩა ჩემთან. არასოდეს მიკითხავს, ჰყავდა თუ არა ოჯახი; საერთოდ, იშვიათად და ცოტას ვლაპარაკობდით. იმის მიუხედავად, რომ არ მოგვილაპარაკია, კვირაში სამჯერ გვექონდა სექსი. ერთხელ სახლში მისულს ვილაცხასთან ერთად დამხვდა ჩემს ლოგინში. დამინახეს და რამდენიმე წუთში დაიწყო. მხრები ავიჩიჩე, კარი მივხურე და მისაღებში გავიდი. ორ წამში აღელვებული გამოვიდა. მივხვდი, რაღაცის თქმას აპირებდა.

– არაფრის ახსნა არაა საჭირო, – დავასწარი.

გაცივდა და ოთახში შებრუნდა.

ხანდახან მთელი კვირითაც იკარგებოდა, მაგრამ მერე ბრუნდებოდა. არასოდეს მიკითხავს, სად იყო და რას აკეთებდა. საერთოდ, მიყვარს მარტო ყოფნა. მართალია, თავისი არსებობით არ მანუხებდა, პირიქით, მშვენიერი სექსი გვექონდა და სახლის მოვლაშიც მეხმარებოდა, მაგრამ მარტობას მაინც არაფერი სჯობს. როცა იცი, რომ ირგვლივ არავინაა. საერთოდ არ მესმის, რა საჭიროა ადამიანის მისაკუთრება – ეს ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია. სინამდვილეში ადამიანები ნივთებს ვგავართ. მაგალითად, დედაჩემმა პირველად კომპიუტერი რომ გამომიგზავნა, მთელი კვირა სულ მასთან მინდოდა ჯდომა. ერთი თვე ვუვლიდი, ყოველდღე ვნმენდი და მხოლოდ მაგიდასთან ვმუშაობდი. ერთი თვის შემდეგ თანდათან მტკვრით გაივსო და რაღაც-რაღაცეებიც გადაამესხა უნებურად ზედ. ასე მგონია, ადამიანებიც ასე არიან, მაგრამ ამას მერე ვალდებულებებით ფუთავენ. მარტო ყოფნის უპირატესობა ის არის, რომ საკუთარ თავს ეჩვევი, მესაკუთრის განცდა შენ მე-სთან გინდებდა და ძნელად თუ გაუწილებ ვინმეს. ეს, ალბათ, ბუნებრივიც არის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ასე მგონია, ჩვენი ურთიერთობა იდეალური იყო. ამიტომ გამიკვირდა, ერთხელაც რომ წავიდა

და აღარ დაბრუნდა. სადღაც ერთ თვეში შემთხვევით ლამის კლუბში ვნახე. ვილაცხას გამშაგებით კოცინდა. რომ დამინახა, მოვიდა და როგორ ხარო, მკითხა. მხრები ავიჩიჩე. სათქმელი არაფერი მქონდა. ამ ჩემთვის ჩვეულ შესტზე გაეცინა. მერე მოულოდნელად დაიხარა და ფეხსაცმლის თასმა შემიკრა. ეს გამობხრომა ყოველთვის მაოცებდა. დედაჩემი ისე წავიდა, ვერ მოასწრო, თასმის შეკვრა ესწავლებინა. მერე კიდევ სულ ვიღაც მიკრავდა. ყველას აცინებდა ეს ამბავი. მოგვიანებით ჩემმა გერმანელმა ლექტორმა ბარში, ლუდით მთვრალმა მითხრა, მელანქოლიკი ხარო. არ დავეთანხმე. ხანდახან დგება მომენტი, როცა ხვდები, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია. მაშინ საერთო დინამიკიდან ხტები, ჩერდები, შენ ცხოვრებას თვალს გადაავლებ და საკუთარ თავს ეუბნები – „ფუ, შე ყლო“. ამას მე ჭეშმარიტების მომენტს ვეძახი, მაგრამ შედეგი მაშინ მოაქვს, როცა შეგიძლია საკუთარი ცხოვრება რადიკალურად შეცვალო. ჭეშმარიტების ასეთ მომენტს ცოტა თუ აღწევს, საკუთარი ცხოვრების შეცვლა კი კიდევ უფრო ცოტას შეუძლია. ერთხელ მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შემეძლო და ფოტოხელოვნებამ გამიტაცა. დედაჩემის გამოგზავნილი ფულით Nikon-ის პროფესიონალი ფოტოაპარატი ვიყიდე

და ფოტოსტუდიაში დავინყე სიარული. რაღაცები ვისწავლე, თუმცა მერე რამდენიმე წელი ათასობით უემოციო ფოტო გადავიღე და მივხვდი, რომ ეს საქმე არ გამომხდებოდა. მერე იმასაც მივხვდი – ჩვენს სამყაროში განსაკუთრებული ნიჭის გარეშე ფოტოხელოვნებას ვაპყვე, თავის მოსატყუებლად ყველაზე იოლი გზაა. ამიტომ აპარატი ნახევარ ფასში გავყიდე და ამ საქმეს თავი დავანებე. რაც მთავარია, დედა Western Union-ი ჯერაც გამართულად მუშაობდა. მეორედ მაშინ ვუთხარი ჩემს თავს – „ფუ, შე ყლო“ და გადავწყვიტე, სოციალურად აქტიური ტიპი გავმხდარიყავი. ბოლოს და ბოლოს, ამ პატარა, გაჭირვებულ ქვეყანაში ყველას დედას არ შეუძლია იყოს Western Union-ი, თუმცა ღმერთმა უწყის, რომელი ჯობს. აქტიურად დავინყე პოლიტიკურ აქციებზე სიარული. რამდენიმე მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად აქციები და გამოფენებიც მოვანყვე, Facebook-ის გვერდზე ყოველდღე პოლიტიკურ განცხადებებსაც ვაკეთებდი, მაგრამ მალევე მივხვდი – როგორც ფოტოგრაფიაში, ისე აქ ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, ენერჯია და ემოცია აკლდა. არავის ვაინტერესებდი. მერე გავჩერდი და დავაკვირდი: პოლიტიკოსების უმრავლესობა ერთი რამ აერთიანებთ – ისინი საკუთარ ცხოვრებაში უპასუხისმგებლო ადამიანები არიან. მათი უმრავლესობა პოლიტიკოსი მას შემდეგ გახდა, რაც საკუთარ პროფესიაში წარმატებას ვერაფრით მიაღწია. პოლიტიკა იზიდავს არმედგარ მამებს, დედას, შვილებს, ფოტოგრაფებს, მუსიკოსებს, მხატვრებს, მწერლებს, სპორტსმენებს, იურისტებს, ეკონომისტებს, ყველა ჯურის ადამიანს და მათ ისევე უყვართ საკუთარი ქვეყანა და ხალხი, როგორც საკუთარი ცოლები, შვილები, მშობლები და საქმე, რომელზე ზრუნვაც არასოდეს შეეძლოთ და ახლა ხსნას ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვაში ეძებენ. მესამედ უკვე მაშინ ვუთხარი ჩემს თავს – „ფუ, შე ყლო“, მაგრამ იდეები აღარ მქონდა. ერთადერთი, რასაც ჩემი შეცვლა რეალურად შეეძლო, უარი უნდა მეთქვა დედაზე, რომელიც Western Union-ი იყო. მე მივხვდი, რომ, თუ მინდოდა, დედა ნამდვილად მყოლოდა, ვერ უარი უნდა მეთქვა მასზე. მხოლოდ მაშინ თუ შევძლებდი საკუთარ თავზე დამოუკიდებლად ზრუნვას, შევძლებდი სხვაზე ზრუნვასაც და ამით დედას დაბრუნების საშუალებას მივცემდი. მაგრამ მე არ მქონდა ამდენი ძალა. მე მიყვარდა დედა, რომელიც Western Union-ი იყო და არ ვიცოდი, რო-



გორი იქნებოდა ის მის გარეშე. საკუთარ თავს კიდევ ერთხელ ვუთხარი – „ფუ, შე ყლო“, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

ადამიანები, როგორც წესი, ისე მტოვებდნენ, არასოდეს მიხსნიდნენ მიზეზს. ამისი არასოდეს მესმოდა. დედაჩემმა ისე გადაწყვიტა, არც უკითხავს ჩემთვის. ახლა უკვე აღარც ვიცი, რა ჯობდა, თუმცა მაშინ ვიცოდი. მან თავად გადაწყვიტა ასე. რაც გავიზარდე, სულ რამდენიმე პარტნიორი მყავდა. მე არც ერთი არ ამირჩევია, არც ერთი ნაბიჯი არასოდეს გადამიდგამს მათკენ. ყოველთვის ისინი მიჩვენებენ და ისინი წყვეტდნენ ყველაფერს და, როგორც წესი, ასევე მოულოდნელად, ყველაფრის აუხსენილად მტოვებდნენ. იქნებ, იმიტომ, რომ კითხვებზე ჩემი საყვარელი პასუხი მხრების აჩრქვავს. არასოდეს არაფერში ვარ დარწმუნებული, თუმცა მე მაინც მგონია, რომ ძნელია, ამ ცვალებად, გაგიჟებულ სამყაროში რამეში მაინც იყო დარწმუნებული. რაღაცას როცა განვიცდი, იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ მართლა განვიცდი. რაღაც რომ ხდება, არა ვარ დარწმუნებული, რომ მართლა ხდება. ტელევიზორიან სამყაროში შეუძლებელია დარწმუნებული იყო, რომ, რასაც ხედავ, მართლა ხდება. ერთი და იმავე ამბავს ყველა არხი სხვადასხვანაირად ჰყვება და, როცა გადამონემებს ინყებ, კიდევ უფრო ძნელია მიხვდე – ის, რაც ნახე, მართლა მოხდა თუ არა. ბოლოს შეიძლება მიხვდე, რომ ლიბიაში ამერიკის ელჩი კი არ ააფეთქეს, ამერიკის ელჩმა ააფეთქა ლიბია და ეს ორი მოვლენა

მე ვარ. მას შურს ჩემი, რადგან დედაჩემი Western Union-ია. ხშირად ამბობს, რომ, დედამისი საზღვარგარეთი სამუშაოდ თუ თავისი ნებით არ წავა, მაშას მოკლავს და ისე აიძულებს წასვლას, თუმცა, როგორც ვხედავ, ამის გასაკეთებლად გამბედაობა არასოდეს ეყოფა. მას არ უყვარს, როცა ვინმე მისი პერსონით უკმაყოფილოა, ამიტომ მთელი მონდომებით ცდილობდა, რომანი გაეზა მოსამართლესთან, რომელმაც ოცი დღით პატიმრობა და ოთხასლარიანი ჯარიმა მიაკერა. ამ მცდელობის წყალობით კინაღამ მეორედ დაიჭირეს. მას უყვირს, როგორ შეიძლება, ადამიანმა ყველაფერზე მხრები აიჩიროს და არაფერში იყოს დარწმუნებული. უემოციო ადამიანებს ვერ იტანს, თუმცა მის ცხოვრებაში გამოხატული ვარ. ამას იმიტომ ხსნი, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მე ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელიც გულის სიღრმეში მის ქალებთან ურთიერთობაზე არ ოცნებობს. ალბათ, ეს ჩემი ერთადერთი ღირსებაა. ნელ-ნელა მართლა მივჩვევით ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, მათ სანახევროდ მშობლებთან, სანახევროდ კი ჩემს სახლში ცხოვრობს. მე ეს არ მანუხებს. ჩემთვის სულ ერთია.

როცა ლიფტი გაფუჭებულია, მეტერთმეტე სართულზე ცხოვრება რთულია. თავიდან გიჩნდება შეგრძნება, თითქოს ჰაერში გამოკიდულს, მაგრამ თანდათან ჩრევეი. მერე კი სრულებით გაიწყნდება, რომ შენსა და მინას შორის რკინა-ბეტონის უზარმაზარი ურჩხულია გართხმული. ესეც ბედისწერასავითაა. ჩემს ცხოვრებაში ყველასთან და ყველაფერთან არსებობს დისტანცია. სახლს ყოველთვის სა-

დი. მუსიკის მონოტონური რიტმი ტვინში მირტყამდა, ბასებს გულთან ვგრძნობდი. მთვრალი მასა ერთ რიტმში ბორბავდა. დარბაზში ჩამონოლილი თამბაქოს ცისფერი ღრუბელი სულს მიხუთავდა. გამწოვები თავდაუზოგავად მუშაობდა, მაგრამ მაინც ვერ ასწრებდა ჰაერის გასუფთავებას. ერთი სული მქონდა, გარეთ გავვარდნილიყავი, მაგრამ ვიუტად ვიჯექი მაგიდასთან. მინდოდა, ტკივილი მეგრძნო. გვერდით სამი ტიპი იჯდა. ორი დაბალი და ჩამრგვალებული ხარბად ნთქავდა სასამელს. თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. მესამე, მაღალი, წარამარა გარბოდა ბართან, სასამელი საცხე ჭიქები მოჰქონდა მაგიდასთან, მერე დგებოდა და, ხან რომელ მოცეკვავე გოგოს მიუხტებოდა, ხან რომელს, საშინლად იგრძობოდა, თუმცა თავდაჯერებული იყო. ისინი, როგორც წესი, ზურგს აქცევდნენ და ისიც იმედგაცრუებული ბრუნდებოდა მაგიდასთან, სადაც მისი ორი ლოტოს კოჭით დაბალი და ჩამრგვალებული მეგობარი სვამდა. ცოტა ხანს დაჯდებოდა, ელაპარაკებოდა, მერე ძალებს მოიკრებდა და ისევ მიაშურებდა რომელიმე უზიჭოდ მოცეკვავე გოგოს. ბოლოს ცოტა დრომად ჩაყვინთა მონოტონურ მუსიკაზე მბორგავ ბრბოში და იქიდან სამ გოგოსთან ერთად დაბრუნდა. ბოლოს და ბოლოს სადადელს მიაღწია, თუმცა ყველაფერი წინ იყო. დაფაცურდა, მაგიდას სკამები შეამატა, ბარიდან უამრავი სასამელი მოზიდა და სახეგაბრწყინებული აძალებდა გოგონებს. მისი მეგობრებიც გამოცოცხლდნენ. სავარაუდოდ, ამ მაღლის ინიციატივით იყვნენ აქ და აიძულებდა ნაშებს აყვითო.

ნახევარ საათზე მეტ ხანს მომინია ლოდინი. რამდენიმე ღერის მოწევა მოვასწარი. როგორც იქნა, მათ გოგოც გამოვიდა.

– რა ხდება? – ვკითხე.

– არაფერი, შეიძლება ამაღამ შენთან დავრჩე?

– რა თქმა უნდა, – გამიკვირდა.

ლოგინი გვერდით ოთახში გავუშალე, სადაც მათ იძინებდა ხოლმე. ისეთი შეგრძნება მქონდა, სადაც არის კარს შემოაღებდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს აღარასოდეს მოხდებოდა. ნინა სამზარეულოში ყავას ამზადებდა. ოთახის მონესრიგებას რომ მოვრჩი, მეც იქ გავვიდი. ჩუმად ვსვამდით ყავას.

– აქ ყოფნა უყვარდა, – თქვა მოულოდნელად.

– ჰო. – ვუთხარი და მხრები ავიჩიქე. ვერ მიხვდი, რატომ აკეთებდა ამას. მგონი, ისიც საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენებას ცდილობდა.

– რაზე ლაპარაკობდი ხოლმე?

– არაფერზე, თითქმის არაფერზე, – მხრები ავიჩიქე, რადგან ჩვენ თითქმის არასოდეს ვსაუბრობდით. მარტივი დიალოგების გარდა არაფერი მახსენებოდა.

– ბევრი ქალი ჰყავდა. ხშირად მოჰყავდა აქ და ჟიმაობდა. ხომ მართალი ვარ? – მკითხა მოულოდნელად.

დამალვას აზრი არ ჰქონდა, ისედაც ყველაფერი იცოდა.

– მთავარი, მე თუ მკითხავ, ის არის, რომ შენ უყვარდი.

– ჰო, არა? შენ რას იგრძნობდი ჩემ ადგილას?

– არაფერს. – გულწრფელად ვუთხარი. – ჰო, შენთვის, ალბათ, ყველაფერი სულ ერთია.

მხრები ავიჩიქე, არ მომწონდა ეს საუბარი.

– მე მინდა ვულალატო! – უცბად მოხია.

– კი, მაგრამ, რა აზრი აქვს? ის ხომ მკვდარია.

– შენთვის ხომ მაინც სულ ერთია. მხრები ავიჩიქე.

დილით რომ გავიღვიძე, აღარ დამხვდა. მგონი, ჩემთვის მართლა ყველაფერი სულ ერთია. არაფერს ვგრძნობ. სახლი ხანდახან ციხის საკნად იქცევა, რომელიც შეიძლება მთელი დღე ალაგო. დაჯდე ტელევიზორთან და უყურო ერთმანეთზე უარეს, დეგენერატულ ფილმებს და გადაცემებს, Facebook-ზე აშეარო იდიოტური ფოტოები და ვიდეოგოლები, იზრუნო ჯანსაღ კვებაზე, შუა ოთახში დაჯდე ლოტოსის პოზში და იმედიტორი, სალამო კი მთელი საათი ისეირნო მარტოდასტომ რკინა-ბეტონის ურჩხულს შორის და იგრძნო, როგორი სუსტი ხარ მათთან შედარებით. ისინი ყრუდ აზიდულან ცისკენ და მინაზე მყარად საძირკველგადამულნი პეიზაჟს კლავენ. გაზაფხულსაც კი ჩრდილავს მათი უზარმაზარი, ნაცრისფერი სხეულები. ისინი არასოდეს აყვავდებიან, მათ ძირებთან მდგომი ხეები დაჩანაწაკებულ არსებებად, სასაცილო ნაფოტებად მოჩანან. ჩიტებიც კი გაურბიან ამ ურჩხულსის სახელოვს. სახლი ციხეა, რომელიც გარეთ გასვლით ვერ გაეცეკვი. ვერ დაემალები. ერთადერთი ხსნად თვითმოტყუება გვევლინება. მედიტაციისა შეგიძლია წარმოიდგინო ყვავილი, რომელიც არასოდეს გინახავს. ან გაზაფხულს თუ წარმოიდგენ, თორემ ნახვით ვერ ნახავ. დიდ ქალაქში ცხოვრება ასატანია მხოლოდ იმიტომ, რომ ტემპია ჩქარი, რაც გაჩერების და დაფიქრების შესაძლებლობას არ გაძლევს. მაშინაც კი როცა არაფერს აკეთებ, გარშემო ისეთი ფუსფუსია, ფიქრის საშუალება მაინც არ გეძლევს. დარბიხარ და ნერვიულობ, იმიტომ კი არა, რომ ამას რამე მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ, მიეჩვიე ასე ცხოვრებას. ლილე მოთმინებით უსმენდა ჩემ მონოლოგს. უკვე თვეზე მეტია სახლიდან არ გავსულვარ და გადაწყვიტა, ვენახე. თავი უქმაყოფილოდ გადაიქნა და მითხრა:

– რაღაც უნდა შეცვალო, თორემ ესე გაგიჟებენ. საღამოს „ნაღმი“ მივიღვართ, არ გინდა წამოხვიდე?

დავთანხმდი, თუმცა მალევე გამოვიპარე. იმ აურზაურში დიდ ხანს ვერ მიხვდებოდები ამას. ქუჩას უმისამართდ მიუყვებოდები. დედაჩემმა დამირეკა. ან-ტერესებდა skype-ში რატომ არ ვიყავი. ბოლო ერთ თვეში მიეჩვია, სულ მწვანედ რომ ვენთე. ფულს გიგზავნიო. ■

(ნაწყვეტი მოთხრობიდან) ანიტი

თანაბრად შესაძლებელია მომხდარიყო. ბოლოს კი ხვდები, შენთვის უმჯობესია, იფიქრო, რომ ლიბიაში საერთოდ არაფერი მომხდარა და, საერთოდაც, არც ლიბია არსებობს სადმე და არც ამერიკის ელჩი ლიბიაში, იმ მარტოვი მიზეზის გამო, რომ ეს ქვეყანა საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი, რამაც არასოდეს შემპარვია ეჭვი, Western Union-ის არსებობაა, იმიტომ, რომ ის დედაჩემია. რაკი მე ვარსებობ, ე. ი. დედაჩემიც უნდა არსებობდეს სადღაც.

მათ ჩემს დაბადების დღეზე გავიცანინ 27 იანვარს. მისი ერთადერთი ღირსება ის გახლავთ, რომ ფიზიკურად ერთი ერთში მგავს, თუმცა ხასიათით ჩემი ანტიპოდი. უყვარს ანარქო-პანკი და მათი ძეღუნი. ეს პანკ-პუსიკის ის მიმდინარეობაა, რომელსაც თვითონ უკრავს. ყველაფრის მიუხედავად, დავმეგობრდით. მათს ნამდვილი სახელი არ ვიცი, თუმცა გამოირიცხული არ არის, მართლაც ეს ერქვას. უცნაურია, მაგრამ მეგობრის გენიტალიებს უფრო იოლადა ნახავ, ვიდრე მისი პირადობის დოკუმენტებს, თუმცა ეს თითქმის ერთი და იგივეა. ჩვენში ხომ პასპორტი და პენისი სინონიმებია. ყოველ შემთხვევაში, ბავშვობაში მაინც. მათ პირველად ამის გამო დააპატიმრეს. ოცი დღე იჯდა. ავტობუსის კონტროლიორმა გადაწყვიტა, უბილეთოდ მგზავრობის გამო დაეჯარიმებინა. პასპორტი რომ თხოვა, მათ აუღელვებლად შეიხსნა შარვალი და პენისი აჩვენა. აღშოთებულმა კონტროლიორმა პოლიცია გამოიძახა, თუმცა მათ პასპორტის მოთხოვნაზე პოლიციაშიც პენისი წარადგინა და იგივე სიაშიგნებით გაიმეორა სასამართლო პროცესზეც. სამმაგი ხულიგნობისა და სასამართლოს უპატივცემულობის გამო ოთხასი ლარით და ოცდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით „დააჯილდოვეს“. მათზე გიჟდებიან ან დასანახავად ვერ იტანენ და, უფრო მეტიც, მგონი, იმათ, ვინც ვერ იტანს, ყველაზე მეტად მოსწონთ. ასეა თუ ისე, მათს ხშირად მოჰყავს სხვადასხვა ასაკის, გარეგნობის, სოციალური მდგომარეობის ქალები და მეზობელი ოთახიდან ხშირად მისისის კვნესა. მათი ასაკი 18-დან 35 წლამდე მერყეობს. მგონი, უარს არავის ეუბნება. მათს ერთადერთი ადამიანის შურს ამქვეყნად და ეს ადამიანი

გულდაგულოდ ვუვლი. სისუფთავეს ერთგული დარაჯივით ვიცავ. ეს ერთგვარ სიამოვნებასაც მანიჭებს. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და მე მიყვარს, როცა ყველაფერი წესრიგშია. ხანდახან შეიძლება, წესრიგის განუზრეული დაცვა ცხოვრების ერთადერთ აზრად იქცეს. მით უმეტეს, თუ მათთან მეგობრობ, მას კი ერთდროულად ანარქო-პანკი, მათ ძეღუნი და თვრამეტიდან ოცდათხუთმეტე წლამდე ასაკის ყველა ქალი უყვარს. მისი სტუმრობის შემდეგ მთელი სახლი ბრძოლის ველს ემსგავსება. მისი არეულის მოწესრიგება ჩემი ცხოვრების აზრად იქცა. მისთვის ეს არასოდეს გამომხელია, თუმცა არც არასოდეს დაინტერესებულა ამით. ქარიშხალივით მოულოდნელად შემოიჭრება, ყველაფერს ყირაზე დააყენებს და ასევე მოულოდნელად წავა. ეს ყოველივე ნამდვილად არ მანუხებს. პირიქით, ეს ჩემს ცხოვრებას აზრს სძენს. ჩემი ფანჯრებიდან ყველა მხარეს ასევე მრავალსართულიანი ურჩხულები მოჩანს. ბოლო სართულზე ცხოვრებას, როგორც წესი, ხედის გამო ირჩევენ, თუმცა ეს დიდ ხანს არ გრძელდება. თუ თქვენი სახლის პირდაპირ ჯერაც არ აუშენებიათ უზარმაზარი ურჩხული, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მას არასოდეს ააშენებენ.

სიცოცხლე ზედმეტად მოძრაია საიმისოდ, რომ უძრავად დარჩე. თუ კარგი არაფერი ხდება, მაშინ აუცილებლად მოხდება რამე ცუდი. მე კარგად მესმის, რომ კითხვას: „რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას?“ – არანაირი აზრი არა აქვს. სიცოცხლე ავტომატურად მუშაობს. სიცოცხლის აზრი თავად სიცოცხლეა. წრე თუ ჩაიკეტა, ან გამოსავალი უნდა იპოვო, ან კატასტროფა გარდაუვალია. მათ ნარკოტიკის დიდი დოზით გარდაიცვალა. მთელი მისი მოუსვენრობის მიუხედავად, მისი ცხოვრება დიდი ხნის ჩაკეტილი წრე იყო. არ გამიკვირვებია. არც არაფერი მიგრძობს. ეს ამბავი რომ გავიგე, მხოლოდ მხრები ავიჩიქე. ეს ის მომენტია, როცა რაღაც უნდა იგრძნო, მაგრამ ასე არ ხდება. იცი, რომ უნდა იგრძნო და საკუთარ თავში ტკივილს ეძებ, მაგრამ ის არსად ჩანს. იმდენად გინდა, რომ მზად ხარ, ეს ხელოვნურად გამოიწვიო.

ლამის კლუბში მარტო წავედი. კუთხეში მაგიდასთან ვიჯექი და ვისკის ვწრუპავ-

სალვატორე

უილიამ საროიანი



უილიამ საროიანი

საინტერესოა, შევძლებ თუ არა ამას. პირველად სალვატორე მაშინ გავიცანი, როდესაც 15 წლის ბიჭი იყო, სასიამოვნო მოციხარის სახითა და უდარდელი თვალეებით. დილაობით თითქმის შიშველი ნაპირზე იწვა ხოლმე, გარდასული ტანი კი ჩხირივით თხელი ჰქონდა. იგი მოხდენილი ყმაწვილი იყო. მთელ დღეებს ცურვაში ატარებდა. ცურავდა მეთევზე ბიჭივით, მოუქნელად. მკლავს ძალას არ ატანდა.

დაკოჟირილი ფეხებით მიცოცავდა დაკბილულ კლდეებზე, ფეხსაცმელი კვირის გარდა არასდროს იცვამდა. გადმოხტებოდა და ალტაცების შეძახილით ღრმად ჩაეშვებოდა ხოლმე წყალში. მამამისი მეთევზე იყო და პატარა ვენახიც ჰქონდა, სალვატორე კი ორი უმცროსი ძმისთვის ძიძის როლს ასრულებდა – უყვიროდა მათ, როდესაც მეტისმეტად შორს შეცურავდნენ; გამოაწყობდა ხოლმე, რათა ვახით დაფარულ გორაკზე ასულიყვნენ და ეგემათ თავიანთი ღარიბული ვახშიამი.

მაგრამ სამხრეთის იმ მხარეებში ბიჭები მალე იზრდებიან. სალვატორესაც მალევე შეუყვარდა თავდავიწყებით ერთი მშვენიერი გოგონა, რომელიც გრანდ მარინაზე ცხოვრობდა. მისი თვალის ფერი ტყის გუბებზე მოგაგონებდათ, ქცევით კი ისე იქცეოდა, თითქოს ცეზარის ქალიშვილი ყოფილიყო. თუმცა დაინიშნენ, ქორწინება იქამდე არ შეძლოთ, სანამ სალვატორე სამხედრო სამსახურს არ მოიხდინდა და, როდესაც იძულებული გახდა, ცხოვრებაში პირველად მიეტოვებინა ირლანდია, რათა ემსახურა მეფე ვიქტორ ემანუელის საზღვაო ფლოტში, იგი ბავშვივით ქვითინებდა. ადამიანისთვის, რომელიც არასდროს ყოფილა ჩიტი ნაკლებ თავისუფალი, საკმაოდ რთული აღმოჩნდა სხვისი ბრძანებების შესრულება. უფრო რთული კი, როგორც ჩანს, მისი მშვენიერი, ნათელი ვახით გარშემორტყმული კოტეჯის მაგიერ სამხედრო გემზე უცხოებთან ერთად ცხოვრება აღმოჩნდა. ნაპირზე ჩამოსული, დაეხტებოდა ხმაურიან ქალაქებში, სადაც სულაც არ ჰყავდა მეგობარი და რომელთა ქუჩებშიც იმდენად იყო გადატვირთული, რომ ქუჩის გადაკვეთაც კი აშინებდა. ეს ყველაფერი კი მაშინ, როდესაც იგი ასე ძლიერ იყო შეჩვილი ჩემ ბილიკებს, მთებზე და ზღვას. მგონი, თავში არც არასდროს მოსვლია, რომ ისინი (ზღაპრული კუნძული), რომელსაც ყოველ საღამოს უცქერდა ხვალისდელი ამინდის გასაგებად, ან მარგალიტისფერ განთიადს ვისუფიუსზე რაიმე საერთო ექნებოდა მასთან. მაგრამ, როდესაც იგრძნო, რომ მათ ვედარ ხედავდა, ბუნდოვნად გააცნობიერა, რომ ისინი ისევე იყვნენ მისი სხეულის ნაწილები, როგორც ხელები და ფეხები. ძალიან ენატრებოდა სახლი. ყველაზე რთული კი იმ გოგოსგან შორს ყოფნა აღმოჩნდა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა მის ახალგაზრდა გულს. გადაწყვიტა, მისთვის გრძელი, ბავშვური ხელით ნაწერი ბარათი გაეგზავნა, რომელიც სავსე იყო ორთოგრაფიული შეცდომებით და სადაც უხსნიდა თუ რაოდენ ენატრებოდა იგი და რაოდენ დიდი იყო მისი იმ დაბრუნების სურვილი. მას კი ხან ასე ზავნიდნენ, ხან სად : სპენცია, ვენეცია, ბენი, საბოლოოდ კი ჩინეთი. ჩინეთში მისთვის ამოუცნობი ავადმყოფობა შეეყარა, რის გამოც რამ-

დენიმე თვე საავადმყოფოში იწვა. ამ ყველაფერს კი მუნჯი, გაუგებარი, ძალღური სიმშვიდით იტანდა. მალევე შეიტყო, რომ რევმატიზმით იყო დაავადებული, რის გამოც სამხედრო სამსახურს ვეღარ გააგრძელებდა. თუმცა იმის მაგიერ, რომ ჯანმრთელობაზე ედარდა, შურაც არ უსმენდა ექიმს, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როდის დაბრუნდებოდა თავის პატარა კუნძულზე, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა, და ნახავდა გოგოს, რომელიც ასე ძლიერ ელოდა მას.

როდესაც სალვატორე ჩავდა ნავში, რომელიც მის გემს ნეაპოლში დახვდა, და ნაპირამდე მიცურა, თვალი მოჰკრა მშობლებსა და ორ ძმას, რომლებიც უკვე დიდი ბიჭები იყვნენ, და ხელის ქნევით მიესალმა მათ, თვალებით კი საცოლეს ეძებდა ბროში, მაგრამ ვერაფრით ნაანყდა. როდესაც კიბეს გადმოსცდა, დაიწყო გაუთავებელი კოცნა-ხვევნა, ისმოდა მისალმების შეძახილები. ბოლოს დედას ჰკითხა გოგონას შესახებ, მან კი მიუგო, რომ არაფერი იცოდნენ, რადგან ორი თუ სამი კვირაა აღარ ენახათ იგი. ამგვარად, საღამოს, როდესაც მშვიდ ზღვას მთვარის შუქი ანათებდა, შორს კი ნეაპოლის რამპების ციმციმს შეამჩნევდით, იგი მისეირნობდა გრანდ მარინის ქუჩაზე მის სახლთან, გოგონა კი დედასთან ერთად კარის კიბესთან ჩაბოძდარიყო. ამდენი ხნის შემდეგ ერთდებოდა კიდევ მასთან მისვლა. ბოლოს ჰკითხა, მიიღო თუ არა წერილი, რომელიც მის შინ დაბრუნებას იუწყებოდა. დიახ, მათ მიეღო წერილი და გაეგოთ ერთ-ერთი მენავისგან მისი დაბრუნების მიზეზი – ავადმყოფობა. განა ეს არ იყო ილბალი? თუმცა უკვე ისიც შეეტყო, რომ ველარასდროს გამოჯანმრთელებდებოდა. მართალია, ექიმებმა ბევრი სისულელე უთხრეს, მაგრამ სალვატორემ ხომ მინც იცოდა, რომ ახლა, როდესაც სახლშია, აუცილებლად შეძლებდა გამოჯანმრთელებას. ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ, სანამ დედამ ხელი არ ჰკრა გოგონას, გოგონამ კი ანგარიშგაუწეოდ, მისი წინისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით მიახალა, რომ ვერაფრით გაჰყვებოდა ცოლად მამაკაცს, რომელიც ვერასდროს იმუშავებდა დაუღალავად. მის ოჯახს ყველაფერი გადაეწყვიტა, მაშინ მისი კი არასდროს მისცემდა თანხმობას.

როდესაც სალვატორე შინ დაბრუნდა, მიხვდა, რომ ყველამ იცოდა ამის შესახებ. მამას უკვე მოეხსენებინა მათთვის თავისი გადაწყვეტილება. თუმცა გამბედაობა არ ეყოთ, თავად ეთქვათ მისთვის. იგი ქვითინებდა დედის მკერდზე, საშინლად უბედურად გრძნობდა თავს, თუმცა გოგონას სულაც არ ადანაშაულებდა. მეთევზის ცხოვრება ხომ მძიმეა, ღონე და გამძლეობა სჭირდება. კარგად ესმოდა, რომ გოგონა ვერ გაჰყვებოდა ცოლად იმგვარ მამაკაცს, რომელსაც მისი რჩენა არ შეეძლო. ნაცემი ძალღობით დადიოდა და ილიმბოდა უკიდურესად სევდიანი ღიმილით, თუმცა არც ერთხელ არ დაუჩივლია და გოგონას აუცილ არ წამოსცდენია.

როდესაც რამდენიმე თვეში იქვე დასახლდა, დაიწყო მუშაობა მეთევზედ და ვენახის მოვლასაც შეუდგა, დედამ უთხრა, რომ სოფელში ერთ გოგოს სურდა მასზე ქორწინება. მას ასუნტა ერქვა.

– ის ხომ ეშმაკით უშნოა, – თქვა სალვატორემ.

ასუნტა სალვატორეზე უფროსი იყო, 24 თუ 25 წლისა. იგი დანიშნული ყოფილა ბიჭზე, რომელიც სამხედრო სამსახურის დროს დაღუპულა აფრიკაში. ასუნტას ცოტაოდენი ფული ჰქონდა და, თუ სალვატორე დათანხმდებოდა მის შემოთავაზებას, ბიჭს ტყის უყიდდა. ამგვარად, მათ მიეცემოდათ შესაძლებლობა, ეპატრონათ ვენახისთვის, რომელიც, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ჯერჯერობით თავისუფალი იყო. დედამ მოუთხრო იმის შესახებ თუ როგორ შეამჩნია ასუნტამ სალვატორე რომელიცა და დედისასწულზე, მას მაშინვე შეჰყვარებია ბიჭი. სალვატორემ ამაზე ტკბილად გაილიმა და დედას დაჰპირდა, დაფიქრდებო. შემდეგ კვირას სალვატორე გახამებულ შავ კოსტიუმში გამოეწყო, რომელშიც ბევრად უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე ყოველდღიურ შარვალსა და


მაისურში. ეკლესიისკენ, მესაზე გაემართა და სპეციალურად მოკალათდა ისეთ ადგილას, საიდანაც უკეთ ადევნებდა თვალს ახალგაზრდა გოგონას. როდესაც შინ დაბრუნდა, დედას თანხმობა გამოუცხადა.

ამგვარად დაქორწინდნენ ისინი და ვენახის შუაგულში მდგარ პატარა თეთრ სახლში დასახლდნენ. სალვატორე ახლა უკვე საკმაოდ შეცვლილიყო – მაღალი, დიდი, მოუხეშო, ფართო მხრებით, მაგრამ მინც ძველებურად კეთილი, მიმდობი თვალეებით, ყველაზე ლამაზი ქცევებით. ასუნტა მოლუშული სახით, გამოკვეთილი ნაკეთებით, გაცილებით უფროსად გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, თუმცა კეთილი გული ჰქონდა და სულელი არ იყო. მე კი მართობდა ის ერთგული ღიმილი, რომელიც მაშინ იღიმოდა, როცა ხედავდა, თუ როგორ მუშაობდა სალვატორე სახლში. ვერასდროს ფარავდა აფრთოვანებას მისი მშვიდი გულკეთილობით, მაგრამ ვერ იტანდა იმ გოგოს, რომელმაც ბიჭი უარყო, და, მიუხედავად სალვატორეს წინააღმდეგობისა, მას უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებდა. მათ ეყოლათ ბავშვები.

საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდათ. სალვატორე მთელი სათევზაო სეზონის განმავლობაში, ყოველ საღამოს ერთ-ერთ ძმასთან ერთად ტივში იჯდა და თევზაობდა. იმ ადგილამდე მისასვლელად 6 თუ 7 მილის გავლა იყო საჭირო, რაც საკმაოდ დიდი მანძილი გამოდიოდა. ღამეებს ათევდნენ, რათა როგორმე საკმარისი რაოდენობის თევზი დაეჭირათ. შემდეგ კი იწყებოდა გრძელი გზა, რათა როგორმე მოესწრო ნეაპოლში მიმავალი პირველივე გემისთვის ნადავლის ჩაბარება. სხვა დროს კი გამთენიისას იწყებდა ვენახში მუშაობას, იქამდე, სანამ მწველი მზე არ შეაწუხებდა. შემდეგ ცოტას ისვენებდა; აგრილებოდა თუ არა, შეუდგებოდა საქმეს, დაღამებამდე. ხდებოდა ისეც, რომ რევმატიზმი ხელს უშლიდა მუშაობაში. მაშინ ნაპირზე წამოწებოდა, სიგარეტს აბოლებდა და, მიუხედავად აუტანელი ტკივილისა, ყველას ტკბილი სიტყვით ეხმიანებოდა. ის უცხოელები კი, რომლებიც საბანაოდ ჩამოდებოდნენ, სალვატორეს შემხედვარე ფიქრობდნენ, იტალიელი მეთევზეები საშინლად ზარმაცები არიანო.

ხანდახან ბავშვებიც მოჰყავდა ხოლმე საბანაოდ. ორი ბიჭი ჰყავდა: უფროსი 3 წლისა იყო, უმცროსი კი 2 წელიც არ შესრულებოდა. ბიჭები ნაპირთან დახიზავდნენ, სალვატორე კი, ქვაზე შემდგარი, დროდადრო წყალში აყურყუმალავებდა. უფროსი ამ ყველაფერს გაუკაცურად უმკლავდებოდა, პატარა კი განწირული ხმით ყვიროდა. სალვატორეს უზარმაზარი ხელები ჰქონდა, ცხვრის ფეხებისხელა, მუდმივი ჯაფისგან გამაგრებული და გაუხეშებული, თუმცა, როდესაც საქმე ბავშვების ბანაობაზე მიდგებოდა, ისეთი სინაზითა და მზრუნველობით ეხებოდა მათ, ვფიცავ, ისინი ყვავილებივით ნაზი ხდებოდნენ. ხელის გულზე ადებინებდა ბავშვს თავს, მაღლა სწევდა და ეცინებოდა, რა პატარაო. მისი სიცილი კი ჰგავდა ანგელოზის სიცილს. იმ მომენტში თვალები ისეთივე გულწრფელობით ჰქონდა სავსე, როგორც ბავშვს აქვს ხოლმე.

არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ამას, – ნერა ასე დავიწყე, ახლა კი უნდა მოგიხსროთ, რის გაკეთებას ვცდილობდი. მაინტერესებდა, თუ შევძლებდი, თქვენი ყურადღება რამდენიმე წუთით მიმეპყრო, მაშინ, სანამ ამ რამდენიმე ფურცელზე უბრალოდ, ჩვეულებრივი მეთევზის სურათს ვხატავდი, ვისაც არაფერი გააჩნდა ქვეყნად, გარდა იმ ნიჭისა, რომელიც ყველაზე ძვირფასი, გასაფრთხილებელი და იშვიათია. ერთმა ღმერთმა იცის, თუ რატომ დაინცდა მაინც სალვატორე იყო ამ ნიჭით მაჯილდაობული. ერთი კი ვიცი, რომ მასში ეს ნიჭი მთელი თავისი ბრწყინვალეობით ანათებდა, ყოველივეს კი იგი სრულიად გაუცნობიერებლად და თავმდაბლად იყენებდა. ეს რომ არა, ალბათ, ბევრისთვის მისი ნიჭი გაუგებარი და აუტანელი იქნებოდა და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჯერაც ვერ მიხვდით, რა ნიჭზე გესაუბრებით, მე მიგახვედრებთ. სიკეთე, უბრალოდ, სიკეთე. ■



შოკიული ღამე

ნისლიანი დღე იყო, გარდასული დღეების და ძველი სიმღერების მოგონების დღე. მთელი შუადღე სახლში ვიჯექი და სიმღერებს ვუსმენდი. საკმაოდ ბნელოდა და ის სიმღერა გამახსენდა, რომელიც ერთხელ გოგონას ვუმღერე ავტობუსში. ცოტა ხანს გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ, როდესაც ავტობუსმა ტოპიკამდე მიადწია, გოგონა ჩავიდა და მას შემდეგ აღარ მინახავს. შუალაქს, როდესაც ვაკოცე, მან ტირილი დაიწყო და მე სიფარულით დავსწვნიდი. ახალშობილ ბავშვს მივლოდი ნიუ-იორკში. დასწვნილი, რადგან მე ჩემი გზით მივდიოდი, ის კი თავისით.

მთელი ეს ნისლიანი დღე სახლში ვიყავი და ვფიქრობდი თუ როგორ მიდის ერთი ადამიანის ცხოვრება ერთი მიმართულებით, სხვა ადამიანისა კი სხვა მხარეს, თითოეული თავისი ცხოვრებით ცხოვრობს; ყოველ ჯერზე ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობა იღუპება, ზოგიც ზრდასრულ ასაკში კვდება. თუმცა, თუკი მათ აღარასდროს შეხვდები თუნდაც ამ პატარა სამყაროში, ისინი ისედაც გარდაცვლილები არიან; მაშინაც კი, თუ დაბრუნდები, მოიხიბნი მათ და იპოვი, აღმოაჩენ, რომ ცოცხლები აღარ არიან, რადგან, რა გზაც უნდა აირჩიონ – ეს სიკვდილით გზაა.

ავტობუსი ტოპიკაში გაჩერდა, ის ჩავიდა, კუთხეში შეუხვია და მას შემდეგ აღარასოდეს შევხვდებოდი. მასავით მშვენიერი სხვაც ბევრი მინახავს, მაგრამ მისი მსგავსი – არავინ; არასდროს გამიგონია მისნაირი სევდიანი და ლამაზი ხმა; არავის უტირია სხვას ისე, როგორც მას; აღარავინ იქნება სხვა მისნაირი სევდიანი. აღარც ის ამერიკული ღამე განმეორდება. ახლა ის გოგონა შეიძლება უფრო მომხიბვლელია, ვიდრე მაშინ, მაგრამ აღარასოდეს იქნება იმ ღამისმაგვარი სევდა; ის ან სხვა ისე ვედარ იტირებს; მამაკაცს, რომელიც აკოცებს მას, იმგვარად ვედარ დაავადდება იმ ღამის სიყვარულით. ეს ყველაფერი იმ ამერიკულ ღამეში დარჩა, რომელიც საშუალოდ დაიკარგა. ის, რამაც იგი ჩემს გვერდით სკამთან მოიყვანა და მეც იქ დამსვა მის მოლოდინში, საუკუნეების ყველა უშნიშვნელო, უბრალო და ჩვეულებრივი შემთხვევითობაა.

მოვიდა და გვერდით მომიჯდა. ვიცოდი, რომ მთელი განვლილი წლები მას ველოდი, მაგრამ, როდესაც ავტობუსიდან ტოპიკაში ჩავიდა, მე დავრჩი და სამ დღეში უკვე ნიუ-იორკში ვიყავი. სულ ეს არის, რაც მოხდა, გარდა იმისა, რომ ჩემი ნაწილი ისევ იქ არის, იმ თბილ, შორეულ ამერიკულ ღამესთან.

როდესაც დღის სიბნელე ღამის სიბნელედ იქცა, ქუდი დავიხურე და სახლიდან გამოვედი. მივსერიანობდი ნისლიან ქალაქში, გული კი მომეცებოდა როგორც დიდი, თვინიერი ძალი; ქალაქში გარდაცვლილი მეთევზეები აღმოვაჩინე და ჩვენ ვჭამეთ, ვსვით, ვისაუბრეთ და ვიმღერეთ სიცილით, რომელშიც უფრო მეტი ბედისწერა და ნაღველი იყო, ვიდრე ცრემლების სიმწარე. მასწავდა მხოლოდ იმ გოგონას მშვენიერი ტირილი იმის გამო, რომ ჩვენ უშნიშვნელო შემთხვევითობების წლებმა შეგვახვედრა, და ჩემი გულისთქმა, რომელიც მკარანახობდა, რომ დავრჩენილიყავი მასთან და არსად წავსულიყავი, რომ წასასვლელიც არსად იყო. ■

თარგმანი სოფიო ქლენტა

თხუთატი და თანას საუკეთესო?

ნიკოლოზ აბლაძე



პირველად იყო ...

კინოსი არ იყო, ლიტერატურა ცხველას თავისი აქვს: ვის ტედ ჰიუსი მოსწონს და ვის – სილვია პლათი. შესაბამისად, მწერლობაში ნებისმიერი შეჯიბრი, პაექრობა, კონკურსი – იმთავითვე პირობითობაა. პოეტს, როგორც ბულატ ოკუჯავა იტყობდა, მეტოქე არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული აგონისტური, მებრძოლი სული აიძულებს მწერლებს, ერთმანეთს შეეჯიბრონ, საზოგადოებას კი აძლევს საშუალებას, ამ შეჯიბრით დატკბეს, აზარტითა და ინტერესით ადევნოს მას თვალს. რამდენიმე ლიტერატურული რბოლა საქართველოშიც კეთილ (ან, როგორც ვნახავთ, არცთუ ისე კეთილ) ტრადიციად იქცა და ჩემი წერილიც ერთ-ერთ მათგანს შეეხება.

ყოველ გაზაფხულს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ადგენს კრებულს „15 საუკეთესო“, რომელშიც წინა წლის რჩეული მოთხრობებია თავმოყრილი. წინაშე შესული ტექსტები, იმავდროულად, ქმნის ერთგვარ „შორთ ლისტს“ კონკურსისა „წლის საუკეთესო მოთხრობა“. რასაკვირველია, ნებისმიერ სუბიექტს აქვს უფლება, შეადგინოს ამგვარი სარეიტინგო სია. მით უფრო, ხსენებული გამომცემლობა წინასწარ ანოტაციებში პირდაპირ აცხადებს: (2012 წელს გამოცემული) „15 საუკეთესო მეცხრედ გამოდის და ისევე როგორც წინა კრებულებს, არც ამას აქვს პრეტენზია, რომ ეს შერჩევა ობიექტურია. ჩვენ ვეცადეთ გამოქვეყნებულ მოთხრობებს შორის საუკეთესოები შეგვერჩია და საინტერესო და მრავალფეროვანი კრებულის შეგვედგინა“. თუმცა, პოლემიკა, აზრთა სხვადასხვაობა ხომ ლიტერატურული პროცესის აუცილებელი ელემენტია. შესაბამისად, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, მაქვს უფლება, დავეთანხმო ქალბატონი ლელა ცისკარიშვილის, რომელიც მითითებულია კრებულის შემდგენელად, არჩევანს ან შევერჩინა დამატებით, შესაბამისად, მაგრამ მე ისევე ჩემი ძველმოძღვარი, შუიარაღბელი თვალის მირჩევნია. მაშ ასე, ღმერთი ვახსენებ, შალვა რა იყო და, ვინცებო!

საბაზი კეთილი

რა თქმა უნდა, ქალბატონი ლელა ცისკარიშვილი ჭეშმარიტად ტიტანური შესაძლებლობების ადამიანია – მან ხომ მართლმადიდებელი და ყველა ქართულენოვან ვებ-გვერდზე, კრებულსა თუ პერიოდულ გამომცემში ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ყველა მოთხრობა ნაკითხა. პატივცემულმა შემდგენელმა მოინია წლის მოსავალი, გალენა თავთავი, ხორბალი და აბინავა, საუკეთესო ნაწილი დაფქვა, ცომი მოზილა, პური გამოაცხა და ჩემნაირ პრეტენზიულ მკითხველს სუფრაზე მიართვა. მართალია, ამგვარი ძალისხმევა ყველა შემთხვევაში დასაფასებელია, მაგრამ შედეგის გარანტიას, სამწუხაროდ, არ ნარმოადგენს. საბოლოო პროდუქტის გემოზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ, აქ კი, არ შემოძლია, არ აღვნიშნო, რომ მცხოვრებს პურის ქერქი დაწვავა. წინა აბზაცში მოყვანილ ციტატას ვგულისხმობ ნიგნის ანოტაციიდან, რომელიც მეორე გვერდს ამჟღავნებს. საქმე ის არის, რომ, თუ შემდგენელს ობიექტურობის პრეტენზიაც კი არ ჰქონდა, ე. ი. სუბიექტური იყო, ანუ თავის საქმიანობაში პირადი ან ნებისმიერი სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა და არა იმ ტექსტების ხარისხით, რომელთაც უყრიდა თავს, აქედან გამომდინარე, ალოგიკურად ფლერს განაცხადებდა, თითქოს ქალბატონი ლელა ცდილობდა „საუკეთესო მოთხრობების“ შერჩევას. მარტივად რომ ვთქვათ, მოყვანილი ციტატა, შესაძლოა, დაგვყო ორ ნაწილად, რომელთაგან ან ერთია ჭეშმარიტი, ან – მეორე. როგორც ძველ რომში იტყოდნენ, მესამე მოცემული არ არის! თუ ქალბატონი ლელა ცდილობდა საუკეთესო მოთხრობების შერჩევას, ე. ი. სწორედ ობიექტურობის პრეტენზია ჰქონდა, იმ ტექსტებს ანიჭებდა უპირატესობას, რომლებიც, მისი აზრით,

სხვებზე ჯობდა. თუ სუბიექტური იყო (ანუ ობიექტური კრიტერიუმით – ნაწარმოების ხარისხით არ ხელმძღვანელობდა), მაშინ როგორღა აპირებდა, კრებული მკითხველისთვის საინტერესო გამოსულიყო? შესაბამისად, მოცემული ანოტაცია, სულ მცირე, წინააღმდეგობრივია. ამას დავუმატოთ ზედმეტი ნაცვალსახელი („ეს“), ჭარბი კავშირები და პურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის, მისი მიმზიდველობის განმარტობები ხრამუნა, დაბრუნული ქერქის ნაცვალად ხელში დანახშირებული ნაფშხვენები და შეგვჩება.

არა ქერქითა ერთთა ცხოვრების კაცი. ვიცი, რასაც მეტყვით: „ჯანდაბას ქერქი, მთავარია პურის გემო!“ მისი საუკეთესო ფქვილის, წყლისა და საფუარის შერევით დამზადებული, სათუთად აზელილი, რბილი, ყუათიანი გული, შიმშილს რომ მოგიკლავს, დაგანაყრებს. მაშ, უკან მოვიტოვოთ ქერქის ეჭვები და გავსინჯოთ ტექსტები ჩვენს არსობისა. სამწუხაროდ, მკითხველს, მომინება გირჩიო, მეტყველთა ერთად წინა პასაჟით აღძრულ იმედებსაც შეელო. ვერც მე ვივარგებ ბუბრიყედ და ვერც ნიგნში თავმოყრილი ტექსტებია სამოთხის ვაშლები. მათი უმრავლესობა, ალბათ, სადღაც ჯოჯოხეთის პირველ ნრეებსა თუ განსანმენდელში იპოვის ადგილს.

ცუდზე კარგი, კარგზე ცუდი

მოთხრობათა ლომის წილის ნაკითხვის შემდეგ აღძრული ემოცია საუკეთესოდ ლამაზ ბულაძემ გადმოსცა კრებულში შემავალ ტექსტში სათაურით „კორექტურა“. „და – რა?“ – მიანერს კორექტორი ცოლი ქმრის ნაწარმოებს. და მართლაც – რა? ჩემი აზრით, ამ კითხვავ საუკეთესო პასუხია: „არაფრისგან არაფერი“. „15 საუკეთესოს“ ავტორთა ტექსტები მეტ-ნაკლებად დატვირთულია არაფრისმთქმელი პერსონაჟებით, ლოკაციებით, ზედმეტი სიტყვებით, ფრაზებით და შედეგად ვიღებთ არაფრისმთქმელ მოთხრობებს. ამგვარი ტექსტებიდან საუკეთესო, ალბათ, სწორედ „და – რა?“ დისკურსის შემომტანის, ლამაზ ბულაძის უკვე ხსენებული „კორექტურა“ უნდა აღვნიშნო, რომ ბრწყინვალე სატირიკოსს, რომლის გადაცემები რადიო „თავისუფლების“ ეთერში, ალბათ, ძველებსაც კი სიცილისგან მუცლის კოლიკებს მართებს, ბევრად მეტი მოეთხოვება. თუ ია ვეკუა მართალია და ბულაძის მოთხრობა მართლაც „ღადაობაა“, მაშინ მიწვევს, გულისტკივლით აღვნიშნო, რომ სულაც არ მეცინება. ნაწარმოებს სხვებთან შედარებით საინტერესოს ხდის მხოლოდ მისი ფორმა. ძირითადი ტექსტის ემპირიული ავტორია ქმარი, ხოლო ცოლი კორექტორია, რომლის ხელნაწერი რემარკები და შესწორებები არზიზა გატანა. ამგვარად, მივიღებ მოთხრობა მოთხრობაში, თანაც უჩვეულო სახით, რაც ლიტერატურათმცოდნეთათვის შესწავლის საინტერესო ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ამბავი საკმაოდ სუსტია. განსაკუთრებით უსუსურად გამოიყურება ეპიზოდი, როდესაც მოლაღატ ცოლ-ქმარი თავიანთ საყვარლებს ერთსა და იმავე სასტუმროში მიიყვანს და ერთმანეთს იქ შეხვდება. ვფიქრობ, უბრალოდ დასანანია, რომ ბატონი ლამაზს კარგი იდეა საკმაოდ უღიმღამოდ განხორციელდა და, შეიძლება ითქვას, უძველესი დაიკარგა.

„და – რა?“ კატეგორია, როგორც აღვნიშნა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მასში სხვადასხვა ღირებულების რამდენიმე ტექსტი შეიძლება მოვიპოვოთ. უდავოდ ამ ოჯახის წევრია ჯაბა ზარქუას „შესაქმის შვიდი დღე“, უჩა ზაქაშვილის „VIR-100“, გურამ მეგრელიძის „ანტიგლობალისტები“, ირმა ტაველიძის „აღმოსავლეთის გამოგონება“, ალექსანდრე ლორთქიფანიძის „ცხრაკლიტული“ და ბესო ხვედელიძის „ციკლოლოლია“.

დაძლევა. გაუგებარია, რა ნახა საინტერესო ამ ისტორიაში მწერალმა. ციკლოლოლის ჰალუცინოგენური ეფექტი ცნობილია, პაციენტები ზოგჯერ კარის მაგიერ მე-10 სართლის ფანჯრიდან „გასულან“ და ეს „არახალია, ძველია“. კირო ადამიანის პიროვნება, სოციალური თუ კულტურული დეტალები (რომლებშიც, ამბობენ, ღმერთია თუ ეშმაკი... დავიბენი, სულ ერთია!) მოთხრობაში არ ჩანს. სიმბოლოები – ჯვარცმული მაცხოვრის პოზაში გაშვებული, გატალახიანებული გმირი, ბელადის ძეგლი, რომელსაც „ყვეთლად აფსამენ“ (ხაზგასმა, მომიტვეთ თავხედობა, ჩემია. ნ. ა.) – არაფრისმთქმელია. ასე რომ, „ციკლოლოლია“ ჰალუცინაციას ჰგავს, რომლის გაქრობა, დასრულება ნამდვილად შვების მომგვრელია.

„VIR-100“, მგონი, ვირების უფლებებისთვის გულანთებული მებრძოლის მიერ დაწერილი ტექსტია. ცხრაგვერდიან მოთხრობაში იმდენი პერსონაჟია, რომ მკითხველი მათთან რიგადად მისალმებას ვერ ასწრებს, უკვე გამომშვიდობების დრო დგება. ალბათ, უჩა ზაქაშვილს სურდა, მკითხველი დაეინტრიგებინა, მოთხრობა მისტიკურ დეტალებზე გაესაფრებინა, ხოლო ფინალი კონტრასტული, მოულოდნელი და კომიკური გამოსვლია. შესაძლოა, მკითხველს უნდა ეფიქრა, რომ ოცდამეერთე საუკუნის ქართულ „ვარდის სახელთან“ გვაქვს საქმე: მორწმუნე-აქტივისტი და მღვდელი იღუმინალი სექტის საქმიანობას იძიებენ. თუმცა ეს ყველაფერი – ჩანაფიქრში. რეალურად მივიღებ მცირე ზომის ტექსტს, რომელშიც პერსონაჟების გაცნობას, მოქმედების უამრავ ადგილთან შეჩვევას ვერ ასწრებ, რომ მოგახსიან: არანაირი სექტა არ არსებობს, მიტოვებულ შენობაში ვირებს ხოცავდნენ და მათ ხორცს ძხვების დასამზადებლად იყენებდნენ. მამები რელიგიის თავისუფლებას ზღუდავენ და ჯიპებით დადიან! კარგად მეკლემ, მომავალ შეხვედრამდე! სწორედ მოქმედების სისწრაფე, ხალხმრავალი სცენებისა და ეპიზოდების კალიდოსკოპური ორომტრიალი იწვევს საოცარ ზედაპირულ მოსაზრებას და შედეგად, სრულ დისონანსს მკითხველსა და ტექსტს შორის.

წინა ნაწარმოებთან განსხვავებით, ვარაუდის დონეზეც კი ძნელად დავადგენთ, თუ რისი თქმა უნდა, უფრო სწორად, რა თქვა ჯაბა ზარქუამ მოთხრობით „შესაქმის შვიდი დღე“. აქ პარანორმული იდეებითა და ამკარად მანიაკური აგრესიით შეპყრობილი მთავარი გმირი ოჯახთან ერთად შევბუღებაში მიდის, შვიდი დღე სიცოცხლეს უშნარებს თავის ახლობლებს და ბოლოს, უნდა ვიფიქროთ, ხოცავს მათ. ავტორისეული თხრობის გარდა, მოთხრობაში არაერთგზის გვხვდება გმირის შინაგანი მონოლოგი: სრულიად გიჟური სურვილები, დაბოცოს ყველა, ვინც კი, მისი აზრით, ხელს უშლის ცოლთან ნორმალურ ურთიერთობაში. ისევე და ისევე აქტიურობა ჯადამანიები კითხვა: „და – რა?“ ტრაგედია კაცისა, რომელსაც ცოლი და შვილები „ვერსადროს გაუგებენ“? კეთილი, მაგრამ ამ გმირისა არც მკითხველს ესმის. ის, უბრალოდ, ავადმყოფია. დიას, სულით ავადმყოფი ადამიანები ხოცავენ ახლობლებს, თავს იკლავენ, არამოტივირებული, ხმაშლილი სიცილით დარბიან ქუჩებში და სხვა მრავალ „სიყუესაც“ სწადიან. ერთი ცნობილი მეცნიერი, უკვე ღრმად მოხუცებული, თავისი თანატოლი ცოლის ლოგინთან ფქვილს ყრიდა, რათა ღამით მოსული წარმოსახვითი რაყივი გამოეჭრა. როგორც ექიმები ამბობენ, ამგვარი შემთხვევები აღწერილია. ბატონი ჯაბა ვერც „ერთი აშლილობის ანატომია“ გვთავაზობს და ვერც ნორმალური ადამიანის გზას მკვლევლობამდე. შესაბამისად, სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება მისი ტექსტი.

საშუალო, „ცუდზე კარგ და კარგზე ცუდ“ ტექსტებს, ჩემი აზრით, ასევე მიეკუთვნება ალექსანდრე ლორთქიფანიძისა და გურამ მეგრელიძის ნაწარმოებები. ამ უკანასკნელის „ანტიგლობალისტები“ ილუსტრაცია ცნობილი პოეტის (კივისა „მახვილით მოსული მახვილითავე განიგმირებს“. მოთხრობის გმირს, ღარიბ ინტელექტუალს, ნაბახუსევზე ლუდის დაღვევა უნდა, თუმცა ფული არა აქვს. საჭირო თანხის მოსაპოვებლად ის „შეეკვრება“ ნაცნობ „საქმისანს“, რომელიც გვამავს, გაიტაცოს თბილისში მცხოვრები ხავე და სამაჩაბლოს საზღვარზე ღორების მწყემსად ამუშაოს. ჩანაფიქრს ისინი ერთად განახორ-

ცილებენ, მაგრამ ზანგი შემოაკვდებოთ და მის ადგილს ღარიბი ინტელექტუალი დაიკავებს. ისტორია არც ძალიან დამაჯერებელია, არც ძალიან ახალი. ნაბახუსევის აღწერისთვის ვენედიქტ ეროფეევს მივმართოთ, მორალისთვის (დიახ, ამ მოთხრობა-იგავს სწორედაც რომ მორალი აქვს) – ბიბლიას. თუმცა ტექსტი იკითხება, ამბავი ნორმალურად არის გადმოცემული, მოკლედ, არც რამე განსაკუთრებულად კარგია მასში, არც – ცუდი. იმავეს თქმა შეიძლება ა. ლორთქიფანიძის „ცხრაკლიტული“ზე: ზედმეტად ჩვეულებრივი ამბავი, აქა-იქ გაპარული ბანალური ფრაზები: „ყველაფერი იცვლება და ჩვენც“ (საინტერესო სინტაქსისა, ვერაფერს იტყვი), სარტრისეული სათაური (დიახ, არა გაღათამაშება, არამედ ზუსტი კალკი)... მოკლედ, ეს ორი მოთხრობა უფერულია, მათში იმდენად ცოტაა ახალი, რომ ავტორთა იდეების კრიტიკა მსოფლიო ლიტერატურის მოზრდილ შრესთან დაპირისპირებას გამოიწვევდა. ამის აუცილებლობა კი ამაყამად არ არსებობს.

და ამ რუბრიკის ბოლოს შემოგთავაზებთ მსუბუქ მუსიკას, რა იყო და, ქალბატონი ირმა ტაველიძის „აღმოსავლეთის გამოგონება“. მოთხრობაში მამრობითი სქესის ახალგაზრდა შექერვზადა მეგობრის დის გულის მოსაგებად სახელდახელოდ იგონებს და ჰყვება პიკანტურ სასიყვარულო ამბავს. მარტო დარჩენილი თინეიჯერების ვებბანი და მისი ამბავი არც გასაკვირია, არც დიდად საინტერესო. მას, ჩემი აზრით, განსაკუთრებით აფუჭებს სათაური. საქმე ის არის, რომ გმირი გოგოს უამბობს თავის სასიყვარულო თავგადასავალს მამის მეგობრის ცოლთან – ფრეველ ჰალიმასთან. სათაურის გარეშე აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა, ამბის რომელი ნაწილია რეალური და რომელი – გამოგონილი (იქნებ, სულაც ორივე ამბავი ბიჭის ფანტაზიის ნაყოფად აღქმულიყო). ასე კი ქალბატონი ირმა მკითხველს სააზროვნო სივრცეს უზღუდავს, ინდივიდუალური რეცეფციის საშუალებას ართმევს და ორზაროვანი, დამანტრიგებელი ტექსტის ნაცვლად მოტკობ, ბანალურ სასიყვარულო თავგადასავალს სთავაზობს. და კიდევ, არ შემოძლია არ აღვნიშნო, რომ სხვა ავტორის პოეტური მეტაფორის გადმოქართულება და ოდნავი სახეცვლილება სულაც არ ნიშნავს, რომ პლაგიატს ადგლი არა აქვს. იოსებ ბროდსკის ლექსში „სიყვარული“ (Любовь. იხ. მაგალითად: Бродский И., Конец прекрасной эпохи, Стихотворения 1964-1971, СПб, 2008, стр. 132) აქვს ასეთი სიტყვები:

„Мы там женаты, венчаны, мы те двуспальные чудовища и дети лишь оправдание нашей нагот“

ირმა ტაველიძის კი წერს: „ორივენი სიბნელეში ზღაპრულ ცხოველს დაემსგავსნენ – ოთხი ფეხით, ოთხი ხელითა და ორი თავით“. ოთხი თვალის ნამდვილად არ არის საჭირო, რომ დაინახო – შედარება ანალოგიურია, ვიტყვოდ: ოდნავ გაუფუჭებული ასლი. რას იზამ...

ალბათ, ამ ბლოკში გავერთიანებდი თეონა დოლგოვაშვილის მოთხრობას „Animal Planet“, მაგრამ, ქალბატონი ლელა ცისკარიშვილისა არ იყოს, ლიტერატურულ სიახლეებს თვალს ხანდახან მეც ვადევნებ. ჩემი მოსაზრება ამ ტექსტის შესახებ, პრაქტიკულად, მისი გამოქვეყნებისთანავე გამოეთქვი წერილში „Animal literature“ (ლიტერატურული სალონი №6, ოქტომბერი 2011) და, თუ ვინმეს აინტერესებს, მას ადვილად გაცნობა. ახლა კი, როცა ჩვენი წერილის ნახევარი გზა გავასრულეთ, ისეთი აღმოჩენები გველის, რომ მიწვევს ქალბატონ თეონას ბოდიში მოვუხადო და შემდეგ შეხვედრამდე დავემშვიდობო.

►► დასასრული მე-8 გვ.

►► მი-7 გვერდიდან

ჯოჯოხეთის წრეები

რა თქმა უნდა, ვერც ვერგილიუსობაზე დავდებ თავს, მაგრამ, მიუხედავად მისი სირთულისა, მაინც შევეცდები, მეგზურობა გაგიწიო, მკითხველო, „15 საუკეთესოს“ ყველაზე ზნელ ხვეულებში, სადაც ისეთი ქიმერები ბუდობენ, ჩვენს მაგსანს სიზმრად რომ არ უნახავს. პირადად ჩემთვის არათუ ის არის აბსოლუტურად გაუგებარი თუ როგორ მოხვდა ამ ბლოკში განსახილველი ნაწარმოებები კრებულში, არამედ ისიც, თუ საერთოდ რატომ დაიბეჭდა ისინი პერიოდიულ გამოცემებში, რატომ დაინერა და როგორ არ განითქმა ის დასაწავი ქალაქი (ამბობენ, თუ ხელნაწერი, არ ინვისო...), რომელზეც ხსენებული ტექსტები განთავსდა. თუ ეკატერინე ტოგონიძის „ს-ხ-ვ-ა-გ-ზ-ი-ს“ პუბლიკაცია გარკვეულ ლოკურ ჩარჩოში შეიძლება მოექცეს (რაც ამ ტექსტს მალაქმხატვრულ, პრემიის ღირს ნაწარმოებად ნამდვილად ვერ აქცევს), გამოცანად რჩება ჩვენი ბრუტუსისა და კასიუსის, ნინო თარხნიშვილისა და ზაზა კომკაძის, ტექსტების საზრისი თუ მიზნობრივი აუდიტორია. რაკი ჩემი ბრალდება საკმაოდ მძიმეა, შევეცდები, ის შესაბამისი არგუმენტაციით გაამყარო.

„ლოკი, ფლოკი და იკი“, შესაძლოა, ფსიქოანალიტიკოსისათვის საინტერესო ტექსტი იყოს, თუმცა ლიტერატურის მოყვარულსთვის ნამდვილად არა. ჩემი აზრით, ტექსტი „ცარიელია“. მიზნის უქონლობასა და სათქმელის (იკი-ზე არანაკლებ) ნათრევობას მწერალი, ერთი მხრივ, დაუჯერებელი და სხვაფრთხი კი – ყოვლად ტრაფარეტული ამბით ნიღბავს. გამოყვანილ ერთმანეთსაგან მოთხრობის ეს ორი მხარე: პატარა პროვინციული ქალაქი; ოჯახური პრობლემები; ბავშვობის სამი მეგობარი; ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ფლოკის ხასიათზე მოქმედებს. დამეთანხმებით, ტრივიალური. მრავალი კარგი თუ უხეირო ნაწარმოები შეიცავს ამ მოცემულობებს და სხვადასხვა მწერალი მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევს თავს ამგვარი კლიშეების ხელახალ გააზრებას, გაუცხოებას, დეპროტონიზაციას. თუმცა ნინო თარხნიშვილის იდეაზე უარესი, გამოგიტყდებით, ჯერ არ შემხვედრია. ავტორმა გადამწყობა, რამე ახალი მოეფიქრებინა და ასეთი რამ შემოგვთავაზა: მოთხრობის გმირი იკი, მომიტევეს და, ბოზია, ოღონდ არაჩვეულებრივი. ის სექსობრივ კავშირს მომაკვდავებთან ამყარებს, სხვებს კი, როგორც ნ. თარხნიშვილი ხატავს შენიშნავს - „არ აძლევს“. გოგონას ამგვარი აღწერის ამოკითხვისთანავე ეჭვი გამიჩნდა, მაგრამ სასურთარ თავს არ ვენდე და კონსულტაციისთვის ექიმებს მივმართე. აღმოჩნდა, რომ მომაკვდავთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის (სულ მცირე 99,999%-სათვის) სექსობრივი აქტი უზრუნველყოფს მათ, ფიზიკურად გამოირიცხული. პატარა პროვინციული ქალაქში ისედაც განა რამდენი კაცი უნდა ცხოვრობდეს, მერე ამათგან რამდენია სიკვდილის პირას და ამ უკანასკნელთა 0,001% ხომ საერთოდ სასაცილო რიცხვია. შესაბამისად, მოთხრობის სიუჟეტის ერთ-ერთი ბოძი თვალსა და ხელს შუა შემოგვენგრა.

ესეც რომ არ იყოს, იკი მოთხრობის ფინალში თავისი ბავშვობის მეგობარ ფლოკისთან ამყარებს კავშირს. ეს უკანასკნელი ავღანეთიდან დაჭრილი ჩამოიყვანეს და მომაკვდავი წევს საავადმყოფოში. სექსუალური აქტის დროს (რომელიც, ვიმეორებ, შეუძლებელია!!!) მემოლის გული აუჩქარდება და თაღლიბების ბომბებს გადარჩენილი ფიქრობაში განუტევეს სულს. რისი თქმა უნდა ამით მწერალს ან კი რა მიზნით შეაქვთ ეს ტექსტი „15 საუკეთესოში“? ხომ არ არის მწერალი თხრობის უბაღლო ოსტატი, რომელიც ამგვარ, პირდაპირ ვთქვათ, უაზრობასაც შედევრად აქცევს? ჩემი აზრით, არა. ტექსტი რიგ შემთხვევებში ზედმეტად კონკრეტულია და ალქმის თავისუფლებას უზღუდავს მკითხველს. მწერალი, მაგალითად, ზუსტად აღწერს გმირების გარეგნობას, რასაც არანაირი მიზანი, არც აზრობრივი და არც სიუჟეტური დატვირთვა არა აქვს. აი, დაახლოებით ასე: „(იკის) აქვს მუქი ყავისფერი თმა, შავი თვალები, 172 სანტიმეტრია, იწონის 52 კილოგრამს“. საყურადღებოა, ასევე, დეტალები და რემარკები: „11 წლის შემდეგ, ფლოკმა პირველად რომ იფიქრა, მისი მიხვდა, რისი სურნელი დაჰქრავდა მის ქვერივ დედის მარჯვენა ხელის შუა თითზე, თმას რომ უსწორებდა ხოლმე“. მსგავსი პასაჟები, როგორც ბევრი რამ ამ მოთხრობაში, ცდილობს და ვერ

ახერხებს, დაფაროს უსაზრისობა და სათქმელის ტრივიალურობა. იმედია, მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს კონკრეტული ციტატა არც დედის შესახებ გადმოგვცემს რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას, არც გმირს ახასიათებს, არც სიუჟეტურ მოქმედებას ნაწევს წინ. ავტორმა შენიშნა, რომ ქალები შუა თითით იკმაყოფილებენ ვენებას და გენიტალიების სუნი აქვთ. ვერაფერს იტყვი, ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენებია! ქედს ვიხრი. მაგრამ რა ხელი აქვს ამ კულტურულ-ბიოლოგიურ რემარკებს ლიტერატურასთან? ვფიქრობ, არანაირი, ისევე, როგორც ნინო თარხნიშვილის ტექსტს.

ბანალურობის ეპატაჟით შენიღბვის მხრივ მაინც ყოვლად გამორჩეულია ზაზა კომკაძის ტექსტი: „მე, ბებია, დიდი ბებია და უცხოპლანეტელები“. მოთხრობას სამი მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, სისუსტე აქვს: ა) მისი იდეა - ბავშვებში ონანიზმით განპირობებული სოციალური და ფიზიოლოგიური პრობლემები - ჩაკ პალანიკის „ნაწლავებიდან“ არის „ნასესხები“; ბ) უბრალოდ აბსურდული და, არ მოვერიდები მკვახე სიტყვას, იდიოტურია ნაწარმოების ფაბულა - სოფლიდან ჩამოსული დიდი ბებია უნებლიეთ ორალურად აკმაყოფილებს თორმეტიწლიან პერსონაჟს; გ) ტექსტი აშკარად მორალისტურია, გამაღიზიანებლად პათეტიკური, ზიზღითა და „სიძულვილის ენით“ გაჟღენთილი. განსხვავებით ავტორთა უმრავლესობისაგან, ზაზა კომკაძემ ზუსტად იცის, რისი თქმა სურს, მაგრამ მისი სათქმელი ბანალური და გაცვეთილია. შეილება დათრგუნვისა და არასწორი აღზრდის თემა, როგორც ვთქვით, ბავშვური ონანიზმის კუთხით ლიტერატურაში ჩაკ პალანიკმა დაამუშავა. ამდენად, არც პრობლემის თვალთახედვის კუთხე და არც თავად პრობლემა კომკაძის მიგნებული არ არის. აგრეთვე, დიდ ბებიასთან ორალური სექსის იდეა, მართალია, ნამდვილად ბატონ ზაზას თავში ჩაისახა, მაგრამ არც ის ნარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი გმირობის ნიმუშს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერლის სტილი, რომელიც მისი მოთხრობის საუკეთესოებზე ნადვილად არ მტყუვლებს. უკანასკნელი მოსაზრების დასასაბუთებლად მოვიტან რამდენიმე ციტატას და, გაირდებით, ამ წერილში შევეცდები, მკითხველი ფიზიოლოგიურ-გერონტოლოგიური აღწერებით აღარ შევანუხო.

გამონათქვამები დედასა და ნათესავებზე: „ერთ დღესაც განერვიულებული დედიკო ნიხლებით შემდგა ამის გამო“; „ათამდე უფროსი ადამიანის ცარიელი და მახინჯი თავი მიყურებდა“; „ამოვიღე ყლე და მივაფსი ყველაფერს ვარშემო, გალინა ბაბოს სახით დანყებული, დამთავრებული დედაჩემის მთლიანი ტანით“. დიდ ბებიაზე: „... თითქმის ვერაფერს ხედავდა ცუდი მხედველობის გამო“ (ვერავფერს იტყვი, შესაშური ენაა. ბრწყინვალე სტილი და ღრმა აზრი!); „(პირის) .. უფრო ფართოდ გაღება მოუხდა იმისათვის, რომ ჭუჭუა პირში მოექცია, ანუ ღრძილებს შორის. მისი ღრძილები ისე ნაზად სრიალებდნენ...“ (პირის ღრუს აგებულების უბაღლო ცოდნას რომ თავი დავანებობთ, არ შემოიძლია, კიდევ ერთხელ არ აღვნიშნო ენის მშვენიერი ფლობა. მე, პირადად, ამ წინადადების ნაკითხვისას დიდი ბებიას ზამთრის კურორტზე თხილამურებით მოსრიალ ღრძილები წარმომიდგა თვალწინ). მოკლედ, ზაზა კომკაძის ტექსტი, ჩემი აზრით, ყველა პარამეტრით ანტიმოთხრობაა და კრებულში მის შეტანას, ალბათ, გვერდების ცარიელად დატოვება აჯობებდა.

სულ სხვა შემთხვევაა ქალბატონი ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობა „ს-ხ-ვ-ა-გ-ზ-ი-ს“. აქ მკითხველი არც შოკისმომგვრელ სცენებს შეხვდება და არც ნატურალისტური აღწერებით დაიტანჯება. მოთხრობის მთავარი გმირი მერაბ ლამაზი, მიზანდასრული, ჭკვიანი, შრომისმოყვარე და მგრძობიარე ახალგაზრდა ჟურნალისტი (იცნობთ ასეთს?). მას სურს, ინტერვიუ აიღოს გენიოსი მოქალაქისგან, რომელიც, როგორც საზოგადოებრივი ფიქრობს, ბრმაა. სინამდვილეში ის ანაღვლებულია, რომელმაც სიბრძავე მოიგონა, რათა თავისი ნაკლი დაემალა. ჟურნალისტსა და შემოქმედს შორის, რა თქმა უნდა, ვენბა იფეთქება, მაგრამ მოქანდაკე ქალის „მემორი ჩიპში“ ანაღვლებულებზე დაწერილ სტატიას აღმოაჩნეს, იფიქრებს, რომ ჟურნალისტის მიზანი მისი გამოჭერაა და ამ ჩვენს მზეთუნახავს მოკლავს. ამბავი უაღრესად ბანალურია, როგორც ნახეთ, მის მოსაყოლად ხუთი შპკარია საკმარისი. მაგრამ ქალბატონი ეკა რისი ქალბატონი ეკა იქნებოდა, მოთხრობა მექსიკური სერიალი-სათვის რომ არ დაემსგავსებინა და ორმოც-

დაათგვერდიანი მინირომანი არ შექმნა. ტექსტში ჩნდება აბსოლუტურად ზედმეტი პერსონაჟები, ისინი, როგორც, ალბათ, ბაზა ჯანიკაშვილი იტყვოდა, „დადიან, დადიან, დადიან“ და დავამატებ - „ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ“. ეპიზოდებისა და სცენების ნახევარი, უბრალოდ, ამოსაღება (მაგალითად, ინტერნატი ფსიქოლოგთან შეხვედრა). - ქალბატონ ეკატერინეს, ალბათ, გამოცდილმა მწერლებმა (სულ დამავინყდა ის ხომ დებიუტანტია, ჯერჯერობით ერთი კრებულის ავტორი) უჩრჩიეს, რომ პროზაში დეტალებია მნიშვნელოვანი. თორემ სხვა რა ახსნა უნდა მოუძებნო ტექსტში მიმოფანტულ ფრაზებს: „სულ თავიდან დავინყოთ“, „... კაცმა ჩამოშლილი თმა ყურზე გადაუნია“, „მოსიყვარულე წველი ერთი ჭიქიდან სვამდა წვენს“, „თხელი წვეები ჯერ საცვლებში გაუყარა, მერე ჯინსებში“ (გულით მიხარია, რომ პირიქით არ უქნია). ყველაზე გამაღიზიანებელია, რომ მწერალი არ ტოვებს ერთ შესაძლებლობასაც, შეაქოს გმირი ქალი. ტექსტში, სულ ცოტა, თხუთმეტჯერ (!) არის ნათქვამი, რომ ის სრულყოფილია, მშვენიერი, ლამაზი, შთამბეჭდავი... საინტერესოა, რომ თენა დოლენჯავილი ქალბატონი ეკატერინეს მოთხრობის ფანრი განსაზღვრა, როგორც „სოციალური დრამა“. მე რა უფლება მაქვს, დიდ მწერალსა და ლიტმცოდნეს შევედავო, მაგრამ, ჩემი აზრით, მოთხრობა „ს-ხ-ვ-ა-გ-ზ-ი-ს“ უფრო კომედიია და თანაც სიტუაციური: უყურებ ახალბედა მწერლის ნვალებას და დეცინება მის უსუსურობაზე.

ცალკე განხილვის, უფრო სწორად კი, აღნიშვნის ღირსია პრემიები, რომლებიც ეკატერინე ტოგონიძის სადებიუტო ტექსტებს ხვდა წილად. საქართველოში არ დარჩენილა კონკურსი, რომლის პრიზორებშიც დებიუტანტი მწერლის სახელის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. საკვირველია, მაგრამ „ნლის საუკეთესო მოთხრობაშიც“ ქალბატონმა ეკატერინემ დაიკავა მე-3 ადგილი; მან აჯობა ნინო ტეფნაძის, მარი ბექაურის, შოთა იათაშვილისა და სხვათა ნაღვანს. როგორც რუსები იტყვიან, სილამაზე საშობი ძალაა. რა გაენყობა, იმედი ვიქონიოთ, რომ ქალბატონი ეკატერინესთვის მწერლობა ისეთვე დროებითი გატაცება იქნება, როგორც ჟურნალისტიკა. თორემ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ხელში კიდევ დიდხანს მოგვინევს ეს უშველებლად გრძელი, მოსაწყენი, სქემატური და ბანალური სამხრეთამერიკული სერიალები ვიკითხოთ კრებულებში „15 საუკეთესო“.

მზის ნამცვრები

იმედია, მკითხველო, ცივი წყალი, რომელიც ჩვენი მოგზაურობის დასაწყისში ნებით თუ უნებლიეთ გადაგასხი, მალე შეგამრება. ვეცდები, ხელი შევუწყო ამ პროცესს და მოქუფრულ-მოღრუბულ ატმოსფეროში მზის სხივად იმედი გამოვაკროთ. არ ვიცი, „15 საუკეთესოს“ შემდგენლებს მოუვიდათ შეცდომა თუ საქმეში ზეციური ძალები ჩაერივნენ, მაგრამ კრებულში ნამდვილად მოიძებნება რამდენიმე მოთხრობა, რომელიც დადებითად შეიძლება შევასდეს. მართალია, არც ერთი მათგანი, ჩემი აზრით, აღფრთოვანებას არ იწვევს, მაგრამ მარი ბექაური, ნინო ტეფნაძე, შოთა იათაშვილი და ზურაბ ლეჟავა, ალბათ, შექვებს იმსახურებენ.

ნინო ტეფნაძის „იუკი, დარჩი“ კრებულში შემავალი კარგი მოთხრობებიდან ყველაზე სუსტია. მთავარი გმირისა და იაპონელი მხატვრის სიყვარულის ამბავს ცოტათი დამაჯერებლობა აკლია, მაგრამ მწერალი ახერხებს, თხრობა სადად წარმოართოს, ზედმეტი არაფერი თქვას და ამით მიიზიდოს მკითხველი. ტექსტი საინტერესოა; მასში არც უსაქმური პერსონაჟები გვხვდება, არც არასაჭირო დეტალები. ერთადერთი, რაც ნაწარმოებს აზიანებს - ფინალია: იუკი კასანი იაპონიაში მიმხდარ მინისტრის ემსხვერპლება. ამგვარ ამბავს, ჩემი აზრით, ტრაგიკული დასასრული არ უნდა ჰქონდეს. ეს ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ავტორმა პერსონაჟი გამოიყენა, შემდეგ არ იცის, როგორ მოიცილოს და ბოლოს იძულებულია, მოკლას იგი. თუმცა, ნინო ტეფნაძის შემთხვევაში, ამგვარი შეგრძნება მხოლოდ ნამით გაკრთება და ტექსტის მიერ შექმნილ დადებით ემოციას დიდად ვერ აფუჭებს.

საინტერესოა, აგრეთვე, მარი ბექაურის ტექსტი „ლევ“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ავტორს აქვს გამოკვეთილი სტილი და კარგად ფლობს რიტმულად თხრობის ხელოვნებას. მარი (თავს ვერ ვაიძულებ, დავწერო სიტყვა „ქალბატონი“) თითქმის არც ერთ სტილურ დარღვევას და ტემპის დაუფეგმავ, უნებლიე მოდულაციას არ უშვებს. მწერლის სტაბილური გან-

ვითარება კი ნამდვილად იმედის მომცემია. კრებულში შესული „ლევ“ ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის მქონე ორი ძმის ამბავია, რომლებსაც სოფლად ბებია ზრდის. მართალია, ტექსტი სულ 10 გვერდს იკავებს, მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ მკითხველი კარგად იცნობს ლევსაც, დათსაც და მათ პრობლემებშიც კარგად ერკვევა.

მარი ბექაურის მოთხრობის საპირისპიროდ, ძალიან ვრცელი, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ზურაბ ლეჟავას „სამანტას შეუსაბამო პოზა“. ორმოცგვერდიანი ტექსტი საკმაოდ დახლართულია და შეიცავს არაერთ „ჩამენეულ“ ეპიზოდს. ამ უკანასკნელთა სიჭარბე პრობლემას თითქმის არ ქმნის, რადგან მწერალი ყოველ გადახვევას მისთვის დამახასიათებელი იუმორის წყალობით ნაწარმოების განუყოფელ ნაწილად აქცევს. მოკლედ, ტექსტი კარგია და, განსაკუთრებით კრებულის ზოგიერთ სხვა მოთხრობასთან შედარებით, ნამდვილ შედეგს წარმოადგენს.

და ბოლოს, განსახილველი დავგერჩა ერთი ძალიან „სიმპათიური“ მოთხრობა, რომელიც, ჩემი აზრით, საუკეთესო კრებულში შემავალ ტექსტებს შორის. საუბარია შოთა იათაშვილის „ჩემს საჭადრაკო ნოველაზე“, რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა გმირის მიერ ფსიქოლოგიური ზეგავლენის წყალობით დიდოსტატ სუეტინის დამარცხებაზე. ეს ამბავი, ერთი შეხედვით, არაფრით არის გამორჩეული. თუმცა, ჩემი აზრით, ბატონმა შოთამ ამ ნოველაში ორი ძალიან ცოცხალი სახე შექმნა და მოახერხა, მოთხრობის ფინალში მკითხველისთვის მათი უაღრესად საინტერესო კომბინაცია შეეთავაზებინა. მოხუცი მწერთელი და „ცქრილა ქეთი აბაშიძე“ (ყველა ვიცნობთ ერთ ასეთ ქეთი აბაშიძეს მაინც) ის ორი პერსონაჟია, რომელიც ბევრად უკეთ გამახსოვრდება, ვიდრე დიდოსტატი სუეტინი თუ ახალგაზრდა მოჭადრაკე. საყვარელი საქმის კეთებისას გაყინული, მშვიერი მწერთელი - შოთა ინკარველი, რომელიც მარტო კი არ იპოვებს, არამედ „მის მუხლზე შემოსკუპებულ ცქრილა ქეთი აბაშიძის ლანდთან ჩახუტებული“, ჩვენი ახლო წარსულის ამსახველი, ალბათ, ერთ-ერთი უძლიერესი ხატია.

კიდევ ერთხელ სუბიექტებისა და ობიექტების შესახებ

დამეთანხმებით, დადგა დრო, შევაგროვოთ ქვები და შევაჯამოთ შედეგები. სამწუხაროდ, სათქმელი ბევრია, სახარებელი კი - ცოტა. როგორც ვნახეთ, განსახილველ კრებულში შეყვანილი 15 მოთხრობიდან არათუ საუკეთესო, უბრალოდ, კარგიც კი ოთხს ძლივს ეთქმის, რვა საშუალოა, სამი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. უკანასკნელ კატეგორიას მიკუთვნებული ტექსტების შეტანა წლის ლიტერატურულ მიღწევათა სიაში (და, მით უფრო, ერთ-ერთი მათგანის ლაურეატობა), ჩემი აზრით, ქვეყნის სირცხვილია. მიუხედავად ზოგი ჩემი მეგობრის დაჟინებული მტკიცებისა, მაინც მჯერა (მირჩევნია, მჯეროდეს), რომ ამგვარი ვითარება ბანალური უცოდინრობის, ტრადიციული მეგობრობა-ნაცნობობისა და დაკისრებული მოვალეობებისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია. როგორც კრიტიკოსს, გარკვეულწილად, მახარებს ამგვარი კრებულების გამოცემა (სხვა თუ არაფერი, საქმე არ გამომელევა), მაგრამ, როგორც მკითხველს, ლიტერატურის მოყვარულს „15 საუკეთესოს“ ყდის დანახვაც კი გუნებას მიფუჭებს. ჩემდა უნებურად მეფიქრება იმ კარგ ნიგნებზე, რომლებიც შეიძლებოდა გამოცემულიყო ამ კრებულზე დახარჯული ფულით, იმ ავტორებზე, რომლებიც ქალბატონმა ლელა ცისკარიშვილმა და მისმა კოლეგებმა ვერც ნელს აღმოაჩინეს იმ თარგმანებზე, რომლებსაც შეეძლო გაემდიდრებინა ჩვენი კულტურა... თუმცა, მეორე მხრივ, „15 საუკეთესო“ ხომ ამ ფორმითაც მნიშვნელოვანია. ეს კრებული დასტურია იმისა, რომ გამოცემული წლის მოთხრობების შერჩევას სწორედაც ობიექტურობის პრეტენზია უნდა ჰქონდეს, და კიდევ იმისა, რომ, რაც უნდა მუყაითი იყოს, ერთი მუშაკი მთელი წლის მოსავალს ვერ მოიწვეს. ვფიქრობ, ღირს საშუალოდ მდგომარეობის გამოსწორებაზე დაფიქრება. ამწარებული შეკრებიდან და, ქალბატონ ლელას კი, იმ ცნობილი ანექლოტისა არ იყოს, ეს ბაბაზობა არც გამოსდის და არც იშლის... ■

ინტერვიუ იოსებ სტალინთან და ქალიშვილოების ინსტიტუტთან

- ბატონო იოსებ, რა წყალ-გამყოფი კულტობასა და მსიობას შორის? მოგეხსენებათ, რომ თქვენი კულტი ჯერ კიდევ ცოცხალია, თქვენი კერძი ჯერ კიდევ დგას. შესაბამისად, ამ მხრივ საინტერესო რესპონდენტი ბრძანდებით. გარდა ამისა, რა აზრის ხართ თქვენი ძეგლების აღდგენა-დემონტაჟის, მათი შეღებვის და ამ თემების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ?

ი.ს. - ვილაცას შეიძლება ეგონოს, რომ პარტიის ერთგულებაზე და მსგავს მავნე ბუტაფორიებზე ვისაუბრებ, მაგრამ, პირველ რიგში, მსურს თქვენი გაზეითის მეშვეობით გამოვიჩინო გულწრფელობა და საჯაროდ განვაცხადო ის, რაც აქამდე არასოდეს მითქვამს: დიდი მადლობა ჰქვიათ! რამეთუ მან გაზარდა ჩემი, როგორც ისტორიული პიროვნების მასშტაბი. რომ არა მეორე მსოფლიო ომი, ჩემი პერსონა ასეთი საკულტო ვერ გახდებოდა. რაც შეეხება დანარჩენს, საბჭოთა პოზიციებზე დგომა და საბჭოური სული ჩემი ერთ-ერთი ყველაზე გრძელვადიანი პროექტი იყო, ანუ გეგმიური ეკონომიკა მენტალობაში. როგორც ხედავთ, იგი შესანიშნავად მუშაობს. მიამიტურია ძეგლების ნგრევა! მთავარია არა ძეგლის, არამედ კულტის დემონტაჟი. უკულტობა კი თავად დაანგრევს ძეგლსაც. დაანგრევს ფსიქოლოგიურად და შინაარსობრივად! წინააღმდეგ შემთხვევაში, აფერადონ და ანგრიონ, - ძეგლების ფიზიკური განადგურებით არაფერი შეიცვლება! ისევე, როგორც არაფერი შეცვლიდა საბჭოთა ხელისუფლების ნგრევით! გამოჩნდებიან ახალი კულტები და ახალი კერპები. როცა ბოლშევიკებმა აქტიური ანტირელიგიური პოლიტიკა გააჩაღეს და რელიგია ავკრძალეს, მე ვიცოდი, რომ ხალხს სჭირდებოდა ახალი რელიგია. ამიტომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისი მავზოლეუმში ცოცხლად შენახვა ჩემი იდეა იყო. ის იქცა კიდევ ღვთაებად!

და მაშინ, რამ განაპირობა, რომ თქვენ მავზოლეუმიდან გამოგაპანდურეს?

ი.ს. - პოპულარობის ზენიტში ვიყავი. ვილაც პაპსა-მომღერლებს და იაფფასიან ესტრადას, ეს ყველაფერი ხელს არ აძლევდა და პირი შეკრეს ჩემ წინააღმდეგ. თან, თქვენ წარმოიდგინეთ, არა ჩვეულებრივი, არამედ მომღერალი პირების მთელი დასტა!

რადგან მომღერლები ახსენეთ, ამხანაგო იოსებ, თქვენს გარდაცვალებას საეჭვოდ ემთხვევა ოთხი ლივერპული ბიჭუნას გამოჩენა და აღმასვლა, მზარდი სისწრაფით მთელი მსოფლიოს დაპყრობა. ირაკლი ჩარკვიანი ერთ-ერთ თავის სიმღერაში ასეთ ფრაზას ამბობს: „სრული სტალინიფიკაცია სულის“. თუ თქვენი მმართველობა და შემდგომი პერიოდი სულის სრული სტალინიფიკაცია იყო, ოთხმა ლივერპულმა ბიჭმა „ბიტლომანია“ დამართა მთელს მსოფლიოს, შეიქმნა ახალი კერპები, რომელიც შემდგომ პოსტსაბჭოურ სივრცეშიც შემოიჭრა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს თქვენს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების ნაწილი იყო და ჯონ ლენონი მასონია? ან, საერთოდ, მის სიკვდილში ბელადის ხელი ხომ არ ურევია?!

მეცნიერებს ხშირად შეუმჩნევიათ განსაცვიფრებელი მსგავსება, საოცარი სიუჟეტური თანხვედრა ეთნიკურად და ისტორიულად განსხვავებული, ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებული ეთნოსების ლეგენდებსა თუ მითებს შორის. მაგალითად, ძველი ქართული თქმულება (რომელიც წერილობითი ფორმით პირველად შუა საუკუნეებში გვხვდება): „ამბავი ხიდან ჩამოვარდნილი ჟურნალისტი“ ძალზე ბევრი სიუჟეტური მახასიათებელით ჰგავს წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით პალამირას კუნძულებზე მცხოვრები კარომალოიდური წარმოშობის ხალხების ეპოსს „ღმერთების დაცემა“, რომელიც კარომალოიდური ზეპირსიტყვიერების ოქროს საგანძურს წარმოადგენს. ამ ორ ტექსტს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველური და კარომალოიდური ხალხები ერთმანეთთან არც ერთ ნათესაობენ და, მით უმეტეს, განვითარებისა და კულტურულ-სოციალური საფეხურების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. თქმულების ქართულ ვერსიაში საუბარია ციდან ჩამოვარდნილ შვიი ფერის მოგრძო ნივთზე მომრგვალებული თავით, რომელიც, აღწერის მიხედვით, მიკროფონს მოგვაგონებს. „ღმერთების დაცემაშიც“ ვხვდებით ზუსტად იმავე ნივთს. მათი აღწერები ლინგვისტური თვალსაზრისით თითქმის იდენტურია, თუმცა, განსხვავებით ქართულისგან, პალამირელებთან დაკონკრეტებულია ნივთის არაობა. კარომალოიდულთან რწმენით, ეს ნივთი მათი ღმერთების ღმერთის ჰალუმგბას სასქესო ორგანოა. ეს არც უნდა გავივიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფალსის კულტი სხვადასხვა ეპოქებს და ხალხებს ხშირად ახასიათებდა და გარკვეული, ზოგჯერ კი რელიგიური რიტუალების ძირითად ნაწილს შეადგენდა. ქართულ ტექსტში, გნებავთ, მიკროფონისა და, გნებავთ, ასოს დაპატრონებას უამრავი ადამიანი ცდილობს, თუმცა საბოლოოდ იგი მეფის ხელში აღმოჩნდება. ერთხელაც მეფე, რომელსაც აქამდე ეს უზრალე შემთხვევითობა ან ღვთაური სასწაული ეგონა, აღმოაჩინა, რომ მიკროფონიდან ყოველ დღით რძისფერი თხევადი ნივთიერება გადმოედინება. ხოლო პალამირას მაცხოვრებელთა ეპოსში ეს არც მეტი, არც ნაკლები ჰალუმგბას ღვთაებრივი სპერმაა, რომელსაც ყოველ ახალშობილს სხეულზე ახევენ, რათა ის ჯანმრთელი და შინაგანად ძლიერი გაიზარდოს. თუ სოციალური პრიზმიდან გამოვიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემდგომში ეს ერთგვარ რიტუალში, კერძოდ კი მონათვლაში გადაიზარდება და ტრადიციულ სახეს შეიძენს. დღესდღეობით კარომალოიდულები რძეში ახანავებენ ახალშობილებს. ქართულთა მეფე უფრო პრაგმატულად აზროვნებს და

რძისფერ სითხეს თავის მეომრებს ასმევს მტრის ურდოს შემოსევის ჟამს. სწორედ ეს აძლევდა მეომრებს ძალას, რომ რიცხვობრივი უთანასწორობის მიუხედავად, ბრძოლაში გამარჯვება მოეპოვებინათ. არც ეს უნდა გავივიკვირდეს, რადგან დღესდღეობით ცნობილია, რომ სპერმა შეიცავს უამრავ სასარგებლო ნივთიერებას და მინერალს, მათ შორის მაგნიუმს, კალიუმს, ფრუქტოზას და სხვას. საბოლოოდ ორივე თქმულება სრულდება იმით, რომ ეს უკვალოდ გაჩენილი ნივთი ერთხელაც ასევე უკვალოდ გაქრება და მას მერე ვერ უამრავი უბედურება და ვარამი შეეყრება. როგორც ხედავთ, ამ ორი ამბის საერთო განვითარების ორგანული ქსოვილი ერთმანეთს ძალიან ნააგავს. თუმცა თქმულებათა სათაურების ეტიმოლოგია დღემდე დიდი დავის საგანია; თუ კარომალოიდულთა შემთხვევაში სათაური მეტ-ნაკლებად გასაგებია და გარკვეულ შინაარსობრივ კონტექსტშია თხზულებასთან, ქართული სათაურის შემთხვევაში აბსოლუტურად გაუგებარია, საიდან ჩნდება სიტყვა ჟურნალისტი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სათაურმა დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა და სიტყვა ჟურნალისტი „ჟამთააღმწერელი“ ან რამე სხვა მსგავსი სიტყვა ჩაანაცვლა; სხვათა ვერსიით, შესაძლოა, ჟურნალისტი ხიდან ჩამოვარდა, მიკროფონი იქვე დატოვა და გაიქცა.

გრძელი შესავლის მერე პირდაპირი საქმეზე გადავალ. გარდა პოლიტიკურად აღგზნებული თუ სოციალურად პოტენციურად დატვირთული თემებისა, ვისაუბრებთ კულტებზე და მესიებზე, ტრადიციულ-მენტორულ ინსტიტუტებსა და ამ ორ ფენომენს შორის ურთიერთმიმართებაზე. ამ თემებს ორ დიქტატორთან, ამხანაგ იოსებ ჯულაშვილთან, იგივე სტალინთან და მის უდიდებულესობა ქალიშვილობის ინსტიტუტთან ერთად განვიხილავთ. ვილაცას შეიძლება ქალიშვილობის ინსტიტუტის დიქტატორობაზე მეტად სტალინის დიქტატორობა გაუკვირდეს, მაგრამ ეგ არაფერი, - გემოვნებაზე არ დავობენ. თავდაპირველად ქალიშვილობის ინსტიტუტმა უარი განაცხადა ინტერვიუზე, თუმცა ჩვენი დაჟინებული თხოვნის შედეგად საბოლოოდ დაგვთანხმდა. დრო და ადგილი ბატონმა იოსებმა და ქალიშვილობის ინსტიტუტმა თავად შეარჩიეს. ზუსტად სამ საათზე ობსერვატორიისა და მანქანათმშენებლობის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სარდაფში ვიყავი. როცა შევედი, სტალინი უკვე ფეხზე იდგა და ჩიბუხს აბოლებდა. ქალიშვილობის ინსტიტუტი სკამიდან შემკრთალი ნამოხტა და მოსალმებისას სახეზე ნამოხით-ლდა. - თითქოს ქალიშვილობა დაეკარგოს. ამ დროს, ერთი შეხედვით, ის არაფრით ჰგავდა დიქტატორს.

(ინტერვიუს გთავაზობთ სტილის სრული დაცვით)



ი.ს. - როგორ გეკადრებათ, მე მეალომანი კაცი ვარ! თუმცა ოთხი ლივერპული ლლაპი რას გამიბედავდა! ჩემი სიკვდილის მერე ლენონი თავის სიმღერებში პირდაპირ თუ ირიბად მკაცრად აკრიტიკებდა ამერიკულ პოლიტიკას, საერთოდ კარგი კაცი იყო, ჰუმანიტი. როგორ შეიძლება მე ის მომეკლა?! სტალინიფიკაციას რაც შეეხება, პროგრესის მოყვარული ვარ, გეცოდინებათ ჩემი ინდუსტრი-

არულ-აგრარული რეფორმების შესახებ, ასე რომ ისევე გაზიფიკაცია სჯობს. **გასაგებია! ბატონო იოსებ, ცოტა ინტიმურ შეკითხვებზეც გადავიდეთ, მაგალითად, მკითხველს აინტერესებს, სად ცხოვრობთ?** ადამიანთა ცნობიერებაში! **ანუ ნაქირავებში?** დიას! **რითი თბებით?**

ბიორბი ფირსხალიშვილი

„პლიტა“ მაქვს. **დენზე, სო?!** დიას!

ბევრს წერს? არც ისე, ამინდს გააჩნია.

კარგი, ახლა ქალიშვილობის ინსტიტუტს მსურს ვკითხო. ქალიშვილობის შენარჩუნების პოლიტიკით ნატოში რომ შევიყვანო, როგორ ფიქრობთ, ქალიშვილობის ინსტიტუტის ფილიალები ევროპულ ქალაქებშიც გაიხსნება?

ქ.ი. - აუცილებლად! ჩემი ვარაუდით, პირველი ფილიალი სიევარულის ქალაქში, პარიზში გაიხსნება. შემდეგ მთელს ევროპას მოიცავს და ისეთ ქვეყნებშიც კი გავრცელდება, როგორც არის იაპონია, სვაზილენდი და ჰუერტო-რიკო. ისინი ღირსეულად შეითვისებენ მენტორულ-მორალურ ფუნქციებს და გადაარჩენენ მსოფლიოს გადავარებისგან. ეს ჩვენი განსაკუთრებული მისია, აუცილებელი ამოცანაა!

როგორ ფიქრობთ, რობოტები ან, ზოგადად, ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას რომ აუჯანყდეს, არის ამის საშიშროება? ამ თემაზე სამეცნიერო ფანტასტიკის ფანრში უამრავი სერიოზული ნაწარმოები დაიწერა და უამრავი ფილმიც გადაიღეს. თქვენ როგორ ფიქრობთ დაგვიპყრობენ რობოტები?

ქ.ი. - მსგავსი რამ მხოლოდ ჩემი ფიზიკური განადგურების შემთხვევაში მოხდება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: „განსაკუთრებულ მისიაში“ მსოფლიოს მსგავსი საშიშროებისგან გადაარჩენაც ვიგულისხმებ. და არა მხოლოდ, თვით მეტეორებისგანაც, ყველა შესაძლო აპოკალიპსისგან! ჩემი ლიკვიდაციისთვის უამრავ ფულს ხარჯავს დასავლეთი, საუკეთესო ქილერებს ქირობენ. განსაკუთრებით პრეზერვატივის მწარმოებელი კომპანიები. თუმცა ეს ის ამბავია, დამკრძალავ ბიუროს რომ ფლობს და, კლიენტის ყოველთვის მკვდარია! ალბათ, ვერაფერი გაიგეთ, მაგრამ მეტაფორას ამოფარებული სისულელე თვალს მაინც ჭრის.

ბატონო იოსებ, „სტალინი“ რუსულიდან ითარგმნება როგორც „ფოლადის“, „რკინის“ და, ბუნებრივია, იგულისხმება რკინის კაცი. ხომ არ გგონიათ, რომ „მარველის“ კომიქსებმა „Iron Man“ იგივე რკინის კაცის იდეა სწორედ აქედან მოიპარეს და ამერიკული სუპერსიდილიერის დამამტკიცებელ ერთ-ერთ მთავარ მასკულტურულ იარაღად აქციეს. მით უმეტეს, უამრავ კომიქსსა თუ მულტსერიალთან ერთად არ წყდება რკინის კაცის შესახებ კომერციულად წარმატებული ფილმების გადაღება და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის ამერიკელი გმირია! ამერიკელი სუპერგმირი! არის თუ არა ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ „ექშენს“ ამოფარებული ცივი ომი?

ი.ს. - სრულყოფი, ბერია, კიროვი, ბუხარინი და ბიჭები ვაპირებთ მაგ ფილმზე წასვლას და მერე, თუ დაგაინტერესებთ, მცირე რეცენზიასაც დავწერ სპეციალურად თქვენი გაზეითისთვის. - დამიბეჭ-

►► მ-9 გვერდიდან



დავთ? ვაგლახ, რამე რომ იყოს, ველარ ავკრძალავ! წელან გაზიფიკაცია ვახსენე, - გაზი თუ არის და ხალხი არ იყინება, ე.ი. ცივი ომი არ არსებობს! ჩინელები! ფსევდოკომუნისტები ეგენი! ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციები ჩინეთის ხარჯზე კვებავენ თავიანთ ეკონომიკას. რა პარადოქსულია, არა? კაპიტალიზმი კომუნისტებში! ამ ყველაფერს რომ მათ ხედავდეს?!

ამხანაგო სტალინი, როგორც იცით, რუსეთის მესაზღვრეები აგრძელებენ მავთულხლართების გადმონევას დიცსა და დვანში. მცოცავმა ოკუპაციამ ქართულ ხელისუფლებას და საზოგადოებას კიდევ ერთელ აგრძნობინა უსუსურობის მტკიცეული განცდა. რას ფიქრობთ ამ თემაზე?

ი.ს. - დიცი და დვანი პატრიოტული სპეკულაციების ნამყვან ზონად, სავაჭრო ცენტრად, პატრიოტიზმს ამოფარებული ამორალების ტყავად იქცა. ორთოდოქსული პატრიოტიზმი თავისთავად ცუდი, ვინრო, ეგოისტური გამოვლინებაა, მაგრამ კიდევ უარესია „გაყიდვადი“ პატრიოტიზმი. პატრიოტები დიცსა და დვანში ისე დადიოდნენ (რა თქმა უნდა, კამერების თანხლებით), როგორც მოთხილამურეები მთაში ან კუჭით და თირკმლით დაავადებულები ბალნეოლოგიურ კურორტებზე. მოდიოდნენ და მოდიოდნენ

პატრიოტები, რათა ყველას დაენახა, რათა მათი პატრიოტიზმი დაფიქსირებულიყო. რა თქმა უნდა, მათ შორის გულწრფელი პატრიოტებიც იქნებოდნენ, თუმცა ტელეეთერების პატრიოტთა ფონზე შემჩნევადობა და მნიშვნელობაც დაკარგეს. დვანში ჩასვლა პატრიოტობის გარანტიაა, ჰოდა, დაპრაკუნდნენ და დაპრაკუნდნენ შურნალისტები, პოლიტიკოსები... თითქოს დიცი და დვანი მხოლოდ ტერიტორიაა და არა ადამიანები, რომლებიც იქ ცხოვრობენ! მავთულხლართებს რაც შეეხება, ალბათ, ხვდებით, რასაც ახლა ვიტყვი: არც ერთი გოჯით უკან! სკამს რამდენი ფეხი აქვს?

ოთხი! ან, რა ვიცი, სამი.
ი.ს. - ზუსტად, ამხანაგო შურნალისტო! ერთ ან ორ ფეხზე რომ იყოს, ნაიქცეოდა!

ქალიშვილობის ინსტიტუტს მსურს დაუბრუნდე. ჩვენს მკითხველებს ძალიან აინტერესებთ, შეუძლია თუა არა ქალიშვილობის ინსტიტუტს დაორსულება?

ქ.ი. - არათუ დაორსულებაზე, ქალი ვარ თუ კაცი - მაგაზეც ვერ გიპასუხებთ. ამხანაგი სტალინი კი ზედმეტად პათეტიკური მეჩვენება, მგონი, კოლო აზის უღვაშზე!

გინდათ თქვათ, რომ სექსის და სქესის პრობლემა ურთიერთგადაჯაჭვულია?

ქ.ი. - არავითარ შემთხვევაში! სქესი და სქესი, უბრალოდ, პრიმიტიული სარიტმო წყვილია და მეტი არაფერი. აგერ „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის“ ავტორი, პოეტი კაციც დაგვეთანხმება.

მაგალითად, ჰიტლერი არშემდგარი მხატვარი იყო, სტალინი - არშემდგარი პოეტი და ორივე შედგა, როგორც კაცობრიობის უდიდესი დიქტატორი. არშემდგარი ხელოვანები ზედმეტად საშიშები ხომ არ არიან? და კიდევ, თქვენ არ შედექით, როგორც მუსიკოსი? თუ რა არის თქვენი დიქტატორობის მიზეზი?

ქ.ი. - მუსიკოსი - არა, მაგრამ ზავგობაში მსახიობი მინდოდა გამოვსულიყავი. არა, პრინციპში, მუსიკოსიც, იურისტიც, ექიმიც, შურნალისტიც, მწერალიც, ფსიქოლოგიც, მხატვარიც, მებაღეც, კოსმონავტიც, დიპლომატიც, მაგრამ არაფერი გამოვიდა ჩემგან!

ბატონო იოსებ, თქვენ შესახებ მოსაზრებანი ორ ძირითად და თანაც ამასთან რადიკალურ პოლუსად იყოფა - ერთი პოლუსი გადმერთებთ, ხოლო მეორეს სძულხართ და სატანად გრაცხვენ?

ი.ს. - კარგია, ეს ყველაფერი ძალიან კარგია ჩემ უკვდავსაყოფად!

ქალიშვილობის ინსტიტუტო, თქვენ შესახებაც მოსაზრებანი ორ პოლუსად იყოფა. ერთი მხარე თქვენ პატიოსნების, ქართველი ქალის სისპეტაკისა და სინინდის სიმბოლოდ მიგიჩნევთ, ხოლო მეორის აზრით, რომ თქვენ სასტიკი დიქტატორი ხართ, რომელიც ემსახურება მამაკაცების ეგოიზმს, რომელიც ძალადობს ქალებზე. მათ ბუნებრივ მოთხოვნილებაზე, შესაბამისად, ფსიქიკაზეც, და ამ პრობლემების განვრცობას მივყავართ ნაადრევ ქორწინებამდე, არშემდგარ ოჯახებამდე და ა.შ. რას იტყვით ამაზე?

ქ.ი. - მე რა უნდა ვთქვა, ყველამ ყველაფერი კარგად იცის! მე ფემინისტი ვარ, მაგრამ, რომ ვთქვა, დამიჯერებს ვინმე?!

საზოგადოების ნაწილი თქვენ იმაში გადასაშალებს, რომ თქვენი მეოხებით ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა შექმნა მომგებიანი ბიზნესი, რაც ქალიშვილობის აღდგენაში გამოიხატება. ისინი აფროდიტეების, ანუ მარადქალწულების რეპროდუქციას ახდენენ. სულ ახლახან კი ქალიშვილობის მოწმობის გამცემი ბიუროც გაჩნდა. სადაც ქმრები ცოლებს, დედამთილები რძლებს და ა.შ. დაატარებენ. არ გგონიათ, რომ ეს ამაზრზენი და დამამცირებელია?! როგორ შეიძლება ქალიშვილობის მოწმობა, რომელიც 175 ლარი ღირს, იყოს ადამიანის პატიოსნებისა და სისპეტაკის გარანტი?! ან, საერთოდ, როგორ შეიძლება პატიოსნება 175 ლარი ღირდეს?! ზოგი იმასაც ამბობს, სტალინი, რომ ცოცხალი იყოს, ქალიშვილობის ინსტიტუტს აუცილებლად დახვრეტდაო. ზოგიც კიდევ ამბობს, რომ ის ცოცხალია, მაგრამ, უბრალოდ, ამ ინსტიტუტის არსებობა არ იცისო.

ი.ს. - აუცილებლად დაგვხვრეტდი! აბა, როგორ?! ქალი რა, ქმრის კერძო საკუთ-

რებაა?! არავითარი კერძო საკუთრება, გაუმარჯოს სტალინურ კომუნისტს და კოლექტივის! ყველაფერი კოლექტიური და საერთო, ქალიც და კაციც!

- ამხანაგო სტალინი, ძალიან გთხოვთ, აცალეთ პასუხის გაცემა!

ი.ს. - ამხანაგო შურნალისტო, ხომ გაიგეთ, რასაც ვამბობ?! აი, ხედავთ, სადამდე მიგვიყვანა კაპიტალიზმმა და თავისუფალმა საბაზრო სისტემამ?! რა ამორალური მეთოდებით აკეთებენ ფულს!

- ამხანაგო სტალინი, მაგაში მხოლოდ კაპიტალიზმის დადნაშაულება დემაგოგია!

ი.ს. - დემაგოგია არა - ტოლმა!

ქ.ი. - ქალწულობის აღდგენა დაახლოებით იგივეა, რომ ადამი და ევა აღდგომის შემდეგ სასაფლაოზე წავიდნენ და წინაპართა საფლავებთან მათი შესანდობარი შესვან.

კარგი, შევეშვათ. საპრეზიდენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ?

ი.ს. - კარგი იქნებოდა მმართველი ძალის კანდიდატს მეორე ტურში გაემარჯვა და არა პირველში.

რატომ?

ი.ს. - ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველო, პირველივე ტურში დამაჯერებლად გამარჯვება თავში უვარდებათ ხოლმე! მერნმუნეთ, კარგად ვიცი, ავტორიტარიზმი რაც არის!

და თქვენ რას ფიქრობთ?

ქ.ი. - მე რა, ფეხებზე არ მკიდიან?! ■



ბექა ახალაია

ამ რამდენიმე დღის წინათ მეგობარმა მთხოვა (უცხოელი სტუმრისთვის სურდა, ეჩვენებინა), დამესახელებინა ქართული ფილმი, სადაც ქართველის „სახე“, ქართული ხასიათი, სრულყოფილად იქნებოდა გადმოცემული. ამ თხოვნამ, ცოცხალი არ იყოს, დამაბნია, რადგან ვერაფრით მოვიგონე ქართული ფილმი, რომელიც ჩემი მეგობრის თხოვნას დააკმაყოფილებდა. იმავე საღამოს, იმის იმედით, რომ ვინმე ღვთისწინა დამეხმარებოდა, ფეისბუქზე დავასტატუსე:

„მოკლედ, ძმაკაცმა მომწერა დილით, რამე ისეთი ქართული ფილმი მირჩიე, სადაც ქართველის სახე ჩანდეს და ყველანაირად „ქართული“ ფილმი იყოსო. დღეს მთელი დღე ვფიქრობ ამაზე. ერთმა ფრანგმა კინომცოდნემ თქვა ერთხელ, თუ გინდა გაიგო, ფრანგი როგორია, ერიკ რომერის ფილმებს უყურეო. ჩვენ, სამწუხაროდ, ეგეთი რეჟისორი არ გვყავს. საუკეთესო ქართველი რეჟისორები ქართული კინოს ზეობის ხანაში იგავური მესიჯებით იყვნენ გართული, პრინციპში, სხვა გზა არც ჰქონდათ.“

ამ სტატუსს მოჰყვა კომენტარები, ზოგს ეხამუმა კიდევ გულსტკივილით ნათქვამი ჩემი ეს სიტყვები, რამდენიმე მეგობარმა რჩევაც არ დაინანა, წამოვიდა ვარიანტები საუკეთესო ეროვნული

ფილმების: „ნატურის ხე“, „ჯვარისკაცის მამა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“... კი, ბატონო, „ნატურის ხის“, შესანიშნავი წიგნის ამ შესანიშნავი ეკრანიზაციის განვითარების გეოგრაფიული გარემო ქართულია, მაგრამ გმირები და ფილმში დასმული ძირითადი აქტენტები უფრო განზოგადებულია, ვიდრე კონკრეტულ-ეთნიკური. „ჯვარისკაცის მამაც“ გლობალური მამაა. ამ ფილმის მიერ მსოფლიო ეკრანების ტრიუმფით შემოვლის მერე აღნიშნავდნენ, რომ ყველა ქვეყნის მოქალაქენი თავიანთ მამებს ხედავდნენ ზაქარიაძის ამ კოლორიტულ გმირში.


რაც შეეხება „შერეკილებს“ და „ცისფერ მთებს“, ისინი ტიპური მაგალითებია იმ მოვლენისა ქართულ კინოში, რომელსაც კინომცოდნეები „ეზოპესენას“ უწოდებენ. „შერეკილებზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, ვინ ვერ მიხვდება, რომ „ცისფერ მთებში“ საბჭოთა წყობის მინი-მოდელია დახატული, რომელიც ბოლოს ინგრევა (სწორედამ ამ „შეფარვითმა“ ენამ გადაარჩინა ფილმი და იგი ეკრანებზე დაუშვეს). „ეზოპეს ენამ“, როგორც კინოხერხმა, რომლის ნიაღშიც ქართულმა კინომ სამოცდაათიან წლებში მართლა დიდ სიმაღლეებს მიაღწია, განაპირობა ის, რომ ქართველი რეჟისორებისთვის სხვა, თითქმის ყველა, თემამ უკანა პლანზე გადაინია, გარდა „თავისუფლების“ შეპარვითი თემისა. სხვა გზა არც იყო,

დაკარგული სახის ძიებაში

ქართულის „სახე“ და „ეზოპეს ენა“ ქართულ კინოში

პრინციპში, კინოს რომ ეარსება, უნდა დასჯერებოდა იგავურ სათქმელს, რომელსაც მეტწილად ძლიერნი ამა ქვეყნისანი „ყლაპავდნენ“. შეიქმნა სრულიად უნიკალური ქართული კინოხელოვნება, რომელსაც, სამწუხაროდ, აქტიური არსებობის დასრულების მერე ღირებული გავრძელება არ მოჰყოლია. სამოცდაათიანი წლების მიწურულს გამოქვეყნდა რუსი კინომცოდნის იური ბოგომოლოვის ცნობილი სტატია ქართულ კინოზე, რომელიც ამ წერილის თემას რამდენადმე ეხმიანება. სტატიაში ნათქვამია, რომ პოეტური ენა, რომელითაც ქართულმა კინომ მსოფლიოში გაითქვა სახელი, პირდაპირ გამოხატავს ქართულ ხასიათს, ანუ - ქართველი გაურბის რეალობას, ეშინია მისი. იყო მოცემულობა: ტოტალიტარიზმი, სადაც სიმართლეს პირდაპირ, უბრალოდ, ვერ იტყოდი, თუ იტყოდი, ამას მაყურებელამდე არაფერი მიგატანინებდა. საჭირო იყო ალტერნატიული გზა, რომელიც „ეზოპეს ენის“ სახით წარმატებით გამოინახა. ქართველი რეჟისორები ინერტულები რომ ყოფილიყვნენ შექმნილი მდგომარეობის მიმართ, შეფარვით, მაგრამ მაინც ჯიუტად კი არ იტყოდნენ სათქმელს, არამედ საერთოდ არ გადაიღებდნენ ფილმებს ან გადაიღებდნენ მხოლოდ ისეთ

ფილმებს, როგორებიცაა „ჩარი-რამა“, „რაჭა, ჩემი სიყვარული“ და მისთ. არც უამისობა ყოფილა, მაგრამ დიდი ქართველი რეჟისორების გამბედაობის ასე, ერთი ხელის მოხმით, უარყოფა და მისი „რეალობიდან გაქცევა“ და „შიშად“ შერაცხვა, არ მგონია, მართებული იყოს. იმდროინდელი კინოს ენა ნამდვილად გამოხატავდა ქართველი კაცის ხასიათს, ოღონდ, ბოგომოლოვის მოსაზრების საწინააღმდეგოდ - მისი შეუგუებელ, უდრეკ ხასიათს. ჩემთვის პრობლემა ისაა, რომ ამ ყველაფერმა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, მხატვრულ რეალობაში, ეკრანზე ვერ გადაინაცვლა, ვერ გამოიხატა მხატვრულად სრულყოფილად ქართული ხასიათი, ქართველის ფსიქოპორტრეტი, გაკვირვითი სახის პრეცედენტები არის, მაგრამ ძირითადად სხვა პრობ-



►► ლემებზე აქცენტირებულ ფილმებში. საბჭოთა კავშირი დაინერგა და „ეზოპეს ენამაც“ დაკარგა მნიშვნელობა. დღეს არავინ უშლის რეჟისორებს, თქვან ის, რისი თქმაც უნდათ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სათქმელი აღარაფერი აქვთ, არადა, თემები თავზესაყრელადაა. სოციალური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის თემების დამუშავებასთან ერთად, სწორედ დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოყალიბებული რეჟისორების საქმეა ისეთი ფილმების გადაღება, სადაც ჩვენი „სახე“, ჩვენი ხასიათი იქნება ნაჩვენები, მაგრამ თანამედროვე ქართველ რეჟისორებს, რომლებიც თავიანთი ნარკომანი და „ძველი ბიჭი“ უბნელების 90-იანი წლების თავგადასავლების (ყველა ერთმანეთს რომ ჰგავს) ეკრანიზებას უნდებოდნენ, სად სცალიათ სხვა, მნიშვნელოვანი და აქტუალური თემებისთვის, რომელსაც ჩვენგან მსოფლიოს ინტელექტუალური კინომაყურებელი ელის. თანამედროვე ქართული კინო ჩაკეტილია ურბანულ-თბილისურ გარემოში, ვერ იხედება ქალაქის მიღმა და ამ ჩაკეტილ სივრცეში იაფფასიანი და ვადაგასული თემებით ინტერესდება. იშვიათი და ბედნიერი გამოწვევების გარდა, 90-იანი და 2000-იანი წლების ქართული კინოს მიზაძვის ობიექტად შეიძლება მოვიხაროთ, პირველ რიგში, თემურ ბაბლუაშვილის „უძინართა მზე“ და, ასევე, ლევან ანჯაფარიძის „ორმაგი სახე“. ბაბლუაშვილის ხსენებულმა მართლაც კარგმა ფილმმა დაუდო სათავე ქუჩის ცხოვრების რომანტიზებას და ნატურალიზებას ქართულ კინოში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ფილმში „ქუჩური“ გარემო, „ქუჩის ბიჭები“ უბრალოდ, რეალისტურ ფონს ქმნიან ფილმის მთავარი სათქმელის გამოსახატავად და წინ ნამოსაწევად. საპირისპირო რამ ხდება ანჯაფარიძის ფილმში – „ქუჩური ფილმების“ ცნობილ და ბევრისთვის საყვარელ ამ კინოსურათში სათქმელი მთლიანად დაკარგულია ზედმეტად ნატურალიზებულ კრიმინალურ გარემოში, რაც მას იაფფასიან ფილმად აქცევს. თემატურად თანამედროვე ქართული კინო ძირითადად ამ ორი ფილმის ირგვლივ ტრიალებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამ „ქუჩურ“ გადაღებულ ფილმებს შორისაც მოიძებნება რამდენიმე ნორმალური ფილმი (მაგალითად: ლევან კოლაშვილის „ქუჩის დღეები“...). დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ დაინყო ქართული კინოს რეაბილიტაცია, რომ ის იბრუნებს დაკარგულ პრესტიჟს მსოფლიოს მასშტაბით. ამის საფუძველს იძლევა რამდენიმე ახალგაზრდა რეჟისორის გამოჩენა და მათი ფილმები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ჯილდოები მოიპოვეს ევროპულ (და არამატრო) ფესტივალებზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ, ვფიქრობ, გადაჭარბებულია, რადგან თანამედროვე ქართულ კინოს არა აქვს ერთიანი კალაპოტი, გზა, საერთო ესთეტიკა, ისეთი, როგორც იყო თუნდაც „ეზოპეს ენა“; ისეთი, როგორც აქვს ყველა მაღალი კინოკულტურის მქონე ქვეყნის კინემატოგრაფს. მაგალითად: ესპანურ კინოს აქვს თავისი ხაზი, ისევე როგორც ფრანგულს, იტალიურს, პოლონურს... თუმცა საერთო ესთეტიკურ მთლიანობაში სრულიად ინდივიდუალური მანერის რეჟისორები მუშაობენ. თანამედროვე ქართული კინოს ესთეტიკური დაქსაქსულობა კი, ვფიქრობ, დიდი დაბრკოლებაა შემდგომი განვითარებისთვის. უცხოურ ფესტივალებზე პრიზები ბოლო ოცი წლის განმავლობაში არაერთ ქართულ ფილმს აქვს აღებული, მაგრამ ამითი არაფერი შეცვლილა და არც შეიცვლება, სანამ არ მოინახება ზემოთ ნახსენები საერთო ხაზი, კალაპოტი, რომელშიც იარსებებს ეროვნული კინო. მე არ ვგულისხმობ რეჟისორების დეკლარირებულ ერთობას, რომლის პრეცედენტი მსოფლიო კინოში არსებობს, მაგრამ რაღაც საერთოს გამოიხატავს კი აუცილებელია. ჯერჯერობით ამის შტრიხები არ ჩანს, მაგრამ მომავალში, იქნებ, სწორედ ამ თაობამ შეძლოს ეს ან, იქნებ, სულ სხვა თაობა საჭირო, ან სულაც ერთმა დიდმა რეჟისორმა მოახერხოს – არ ვიცი. დასასრულს კი: დასაწყისში ნახსენებ, ჩემი მეგობრის უცხოელ სტუმარს რაც შეეხება, მან, საბოლოოდ, ნახა თენგიზ აბულაძის „ვედრება“. ვერ გეტყვით, გენიალური ვაჟას ტექსტების მოტივებზე გადაღებულ ამ ფილოსოფიურ კინო-ნოვაციაში დაინახა თუ არა ქართველის „სახე“ და ხასიათი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ აღფრთოვანებული დარჩენილა... ■

სარკეში არაქლილი ხელოვნება

თანამედროვე შემოქმედნი ხშირად არატრადიციულ, ერთი შეხედვით საე-სებით გამოუსადეგარ ნივთებს იყენებენ ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად. მისა ფუნაის მოწოდებაა, რომ აქციოს ჩვეულებრივი ოთახი ხელოვნების ნაწილად. ის სარკისგან ქმნის კედელზე განყოფილ გასაოცარ ოაზისებს და ოთახს აქცევს ჯადოსნურ პეიზაჟად. სარკე სამგანზომილებიან (3d) ეფექტს ქმნის. თუ მასში ჩაიხედავთ, თავი აუცილებლად საოცრებათა ქვეყანაში გეგონებათ. სარკის პეიზაჟთან ერთად ფუნაი იყენებს სხვადასხვა ცხოველსა და ფრინველის ფიგურებს, რითაც უფრო მეტ მრავალფეროვნებას ქმნის. რაც ყველაზე საინტერესოა, სარკეები ოთახის დანარჩენ ნაწილს ირეკლავს და დამთვალეობებს ნამუშევართა ინტერპრეტაციის ფართო ჰორიზონტს გადაუშლის. მისა ფუნაის ნამუშევრები არტფესტივალზეა წარდგენილი და ამ ფესტივალის ერთ-ერთ მშვენიერად არის აღიარებული.

სამ წუთში შექმნილი სამყარო




ხელოვნებას საზღვარი აღარ აქვს. მას უკვე აქვს შესაძლებლობა შექმნას თავად კოსმიური სამყაროც. ყოველივე ამას კი თანამედროვე ხელოვანი ტომოია 3 წუთში ახერხებს. სპრეის საშუალებით, მას შეუძლია, შეადგინოს გალაქტიკის სურათი, ხელოვნების გასაოცარი შედეგები. ის ქმნის კოსმოსის დამაპიპნოზებელ-სიმულაციურ პეიზაჟებს და ამის შემყურეს თავს ბელეტრისტული ფილმის პერსონაჟად წარმოგადგენინებთ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღის სინათლეზე ნახატი არ ჩანს. – მისი დანახვა შესაძლებელია მხოლოდ სიბნელეში. თუ გამორთავთ სინათლეს, გალაქტიკა მაშინვე აინთება.

ნახევრად რეალური სამყარო – სიურრეალიზმი თანამედროვე ფოტოგრაფიაში




ART- INFO

ნება მომეცით, გაგაცნოთ უნიჭიერესი ესპანელი ფოტოგრაფი **ხოხე მარია როდრიგეს მადოზი**, იგივე ჩემა მადოზია. დარწმუნებული ვარ, მისი ნამუშევრები დაგაინტერესებთ.



თანამედროვე ფოტოგრაფმა თავისი ხანგრძლივი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობისთვის ნაციონალური ჯილდო დაიმსახურა. ფრანგული და ესპანური სიურრეალიზმით დაინტერესებულმა სულ მალე გადაწყვიტა, გაეგრძელებინა ეს ტრადიცია ფოტოგრაფიაში. მან აღმოაჩინა ფოტოში აღბეჭდილი ნივთებს შორის შეუსაბამობის პრინციპი, მაგრამ, ამავდროულად, მისი მთავარი გამოგონების ორიგინალურობაა ის, რომ მას შეუძლია ამ ნივთებს შორის მხატვრული შესაბამისობის დამყარება – დაპირისპირებულთა ჰარმონიზება. ჩემას ფოტოგრაფიით შეგვიძლია ნივთებში ის თვისებები აღმოვაჩინოთ, რაც მანამდე არ შეგვიმჩნევია. ნებისმიერმა საგანმა, რომელიც ფოტოგრაფის ხელში მოხვდება, მისი განსხვავებული რაკურსით წარმოჩენის შედეგად შეიძლება სულ სხვა დატვირთვა შეიძინოს. ფოტოხელოვანის წარმატების საიდუმლო, ერთი შეხედვით, მარტივია:



ჩვეულებრივი ნივთები აქამდე უცნობი კომბინაციით წარმოგვიდგენენ ილუზიისა და წარმოსახვის ახალ განზომილებას. აქ ყველაფერი ისეა, როგორც სინამდვილეში. თავად ჩემა ხშირად საუბრობს პარადოქსის რეალობასა და სტერეოტიპურ აზროვნებაზე. „გაათავისუფლეთ გონება, ფართოდ გაახილეთ თვალები და თქვენ აუცილებლად შეძლებთ შეუძლებლის დანახვას“, – ამბობს სიურრეალისტი ფოტოგრაფი. მისი ნამუშევრები კი, დიხაზაც, ამ ლოზუნგის დადასტურებაა.

სენდი სკოტლანდის ორიგინალური ფოტოგრაფიები

წამომყვებით, მე თქვენ ილუზიის სამყაროში გამოგზავრებთ. თუ გიყვართ კრეატივი, უზასღვრო ფანტაზია და ფოტოგრაფია, მაშინ ეს აუცილებლად დაგაინტერესებთ. **სენდი სკოტლანდი** ამერიკელი ხელოვანია. იგი ქმნის სიურრეალისტურ ფოტოებს. რეალური კადრების მიღების მიზნით ამონტაჟებს

მარია მთერაქა


სცენებს, ირჩევს მსახიობსაც და ფოტოც მზადაა. თუმცა ხანდახან სცენების მომზადებას თვეებიც კი სჭირდება. მისი ნამუშევრები ძირითადად, საგნების გადაჭარბებული რაოდენობითა და კონტრასტული ფერებით ხასიათდება. ერთ-ერთი მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია „რადიოაქტიური კატები“ – მწვანედ შეღებილი კატის ფიგურები დარბიან სამზარეულოში. მოხუცი კაცი სკამზე ზის, მისი ცოლი კი მაცივარში იხედება, მაცივარი ასევე კედლის ფერია. ეს უცნაური სურათი დღეს აღიარებულია ხელოვნების თეორეტიკოსთა მიერ და დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ფოტოგრაფიაში.



ნოელ ოზვარდი – თანამედროვე ფოტოხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი

გაიცანით თანამედროვე ნიჭიერი ფოტოგრაფი **ნოელ ოზვარდი** ბუდაპეშტიდან. ის უკვე წელიწადია, იღებს საუცხოო ფოტოებს და შემდეგ მათგან ქმნის მანიპულაციებს. ფოტოები შავ-თეთრი ფერისაა, რადგანაც ნოელისთვის სხვა, მყდერი ფერები ხელის შემშლელია. საინტერესოა, როგორ ახერხებს ის დამთვალეობების გაოცებას, საიდან მოდის მისი ასეთი საუცხოო წარმოსახვა. როგორც თვითონ აღნიშნავს, მისთვის შთაგონების წყარო, შესაძლოა, ფილმი ან მუსიკა გახდეს. „მე არ მინდა, ხალხს ვუთხრა, რა დაინახოს ჩემს ფოტოებში. ამიტომაც ჩემს ნამუშევრებს არანაირ ახსნას ან სათაურს არ ვურთავ. ყველას შეუძლია, თავისებურად აღიქვას ფოტო. ძალიან საინტერესოა, როდესაც კითხულობ სხვადასხვა მოსაზრებას ერთი ნამუშევრის შესახებ“, – ამბობს ნოელ ოზვარდი. მისი ფოტოგრაფია მეტად საუცხოოა და თითქოს რეალობიდან გაქცევას ჰგავს... ამაში ქვემოთ წარმოდგენილი ფოტოების წყალობით „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველიც დარწმუნდება. ■





(ღასანაძისი)

დიდი ხანია, ლიტერატურამ უფრო ნალ-გაზეთებიდან ინტერნეტ სივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცილებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას – ერთმანეთთან უფრო დაახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახდა.

დღესდღეობით, საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს, თუ რა გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ, შევექმენით ყოველთვიური რუბრიკა – მკითხველის ხმა – რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა, ბეჭდური სახით გაცენოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

„ლიტერატურული საქართველოს“ ამ წლის პირველ ნომერში დაბეჭდა ლექსო დორეულის კრიტიკული წერილი: „ვირის კავშირი ლირასთან“, რომელიც 1 თვის განმავლობაში ლიდერობდა ორი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული საიტის – urakparaki.com და literature.lit.ge – თავფურცელს. ხსენებული წერილს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მათმა დიდმა ნაწილმა კი გაიზიარა კრიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები (შეგახსენებთ, რომ ლექსო დორეულმა მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულ ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურს „ალავერდის“ კორუმპირებულობა გამოამჟღავნა და საზოგადოებას ამცნო უპრეცედენტო პლაგიატისა და ჟიურის წევრთა გაუგონარი არაკომპეტენტურობის შესახებ, რაც გამოიხატა ცნობილი არგენტინელი მწერლის, ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობის – „საფრთხობელები“ – ზემოხსენებული კონკურსის კრებულში დაბეჭდვასა და მისი საუკეთესო ოცდაათეულში ვერმომხვედრად) მწერალთა კავშირთან მიმართებით. თავისი აზრი გამოთქვა უამრავმა ნეიტრალურმა მკითხველმა და მწერალმა. კომენტარების საერთო რაოდენობამ კი რამდენიმე ასეულს გადააჭარბა.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს.

ლიტერატურული აღიარება და მატერიალური ნახალისება. მე ბედნიერი ვიყავი რომ ამ საქმეში ჩემი წვლილიც იყო. მე მგონი ყოველი მათგანი იმსახურებდა ამ აღიარებას. გული მტკიავს, და არ მინდა დავიჯერო რომ გარკვეულმა ლიტერატურულმა წრეებმა შენ ჩემი პიროვნებისა და პოეზიის მიმართ უნდობლად განგანყო. მე კი არა გენიოსებსაც ჩამოსძინებით სტრიქონებზე და არც ჩემი შემოქმედება მიმართა უნაკლოდ. ჩვენ სიყვარულით მივიღეთ, გვეგონა რომ ასევე გვიპასუხებდი, რაც შეგვეძლო, შეუმცდარი ის არის ვინც არაფერს აკეთებს. დემერტმა ხელი მოგიმართოს ჩემო, უმცროსო მეგობარო! არ დამიჯერებ, დღეს ქაშუეთში ვილოცე შენზე რომ უფალს განათებინოს გონება რომ მიმხვდარიყავი სად დგას ადამიანური, მწერლური სიკეთე და სად არა.

ავტორი: დავით შემოქმედელი

მეც ვლოცულობ, ოღონდ ქართული ლიტერატურისთვის, და გაცილებით ვინწრო წრეში წმინდანების.

პ. ს. მწერალთა კავშირზე პაოლო იაშ-

ვილმა ჩემამდე ილაპარაკა, თორემ პ. ს.-იც იქნებოდა.

ავტორი: დიმიტრი ბახუტაშვილი

მოგესალმებით, ძვირფასო ბატონო დავით! უსაზღვროა ჩემი სიხარული, ჩემზე (თუ ჩემთვის?) რომ გილოციათ, მითუმეტეს ქაშუეთში. თქვენ მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ლოცვა მართლაც არაა ურიგო გამოსავალი! ამიტომაც, გულწრფელად გინონებთ არჩევანს. მთელი გულით მივესალმები თქვენს გარჯას, ახალგაზრდების წარმოჩენის მიზნით, კავშირის მიერ პრემირებული პოეტების შთამბეჭდავი სია რომ ჩამოგინერიათ! მაგრამ რა ვუყოთ იუნკეს? ვფასებ იმასაც, ასე კარგად რომ გცოდნიათ უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია! მიხარია, მეიმედება თქვენი დარი ინტელექტუალი, ერუდიტი რომ მინევეს ოპონირებას. სიმართლე გითხრათ, მე ერთი წუთითაც ვერაფრით დამაჯერებთ, რომ თქვენს ჟიურში თქვენი ყოფნის შემთხვევაში მსგავსი, როგორც თავად ამბობთ, – „შემაშობეთ-ბელი“ „უზუსტობა“ „გაიპარებოდა“...

დიდად მწამს ქართული კულტურის ამგდარის, ბატონი რევაზ მიშველაძის ინტელექტისაც. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხუმრობით!

რაც შეეხება თქვენს ნახევარარგუმენტებს; მე უბრალოდ თავს შევიკავებ, უფროს ადამიანს ლოგიკისა და კრიტიკული აზროვნების საეტაპო ლექცია წაუკითხო. მართალია, თქვენს ანალიტიკურ შესაძლებლობებზე მაღალი წარმოდგენის არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ამდენს კი აღარ ველოდი. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეთ!

თქვენი საუბრიდან მხოლოდ ის გახდა ცხადი, რომ ქართველი ერი უნიგნურია! არადა, ფაქტები საპირისპიროს მოწმობს – ალვარო იუნკეს „საფრთხობელები“ არ არის ერთი რიგითი მოთხრობა და ქართულ ენაზე ის არც მეტი, არც ნაკლები 100 000 ტირაჟით დაუსტამბავს ჩვენს წინაპარს. შეგახსენებთ, საუბარია მოთხრობაზე, რომელიც ლათინური მწერლობის ანთოლოგიაშია შესული და ა. შ... თქვენ კი ქართველ მკითხველს წარმოსახავთ, როგორც მსოფლიოს მთავარ ლიტერატურულ პროცესებში ჩაუხვდავ, ბნელ მასად. ის, რომ თქვენ წიგნებს არ კითხულობთ, არ ნიშნავს, რომ ისინი (ეს წიგნები) არ არსებობს. რაც შეეხება თქვენ მიერ შემოთავაზებულ მეორე სასაცილო არგუმენტს, რომ ჟიურის წევრები ზერულედ მოეკიდნენ ნაწარმოებს, რადგან მსგავს სიღრმეს არ მოელოდნენ... ამ ლოგიკით, არტურ რემზო, რომელმაც 19 წლის ასაკში დაანება წერას თავი, თქვენს მიერ ჩატარებულ კონკურსების მასალებით შედგენილ წიგნებშიც

ვერ მოხვედბოდა! მეტიც, კიდევ კარგი, არტურ რემზოს დროს უზნაძეს განწყობის ფსიქოლოგია არ ჰქონდა დანერვილი, თორემ მისი „ხომალდიც“ დაუსტამბავი ჩაიძირებოდა... საერთოდაც, რატომ გეკამათებით, თავადაც აღნიშნეთ, რომ ჟიურის წევრები ზედაპირულად მისდგომიან საქმეს.

მეც მეტი კი არაფერი მითქვამს! მიხარია, ჩვენმა აზრებმა ერთმანეთი რომ გადაკვეთა.

„შოთაობის“ პრემია კი, რომელიც მე ზედიზედ სამჯერ მომენიჭა, მწერალთა კავშირის პრემია არ არის; და, საერთოდაც, მე არასოდეს გამომარჯვია მაგ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ კონკურსში, თუ არ ჩავთვლით ერთ ჩარჩოში ჩასმულ სიგელს, რომლითაც ერთხელ „ნამახალისეს“.

რაც შეეხება თქვენს შემოქმედებას და ჩემს განწყობებს მის მიმართ; ისინი მე „გარკვეულმა ლიტერატურულმა წრეებმა“ კი არ შემეძინა, არამედ თავად „თქვენმა“ ლექსებმა! გპირდებით, ამ საკითხზე უფრო ვრცლად და ტექსტუალურად მოგვიწვევს საუბარი. თქვენს ტექსტებთან ერთობლივი შეხვედრის დაუოკებელი სურვილით დროებით გემშობებთ მარად თქვენი უმცროსი მეგობარი, ლექსო დორეული.

ავტორი: ლექსო დორეული

ლექსო, შენთან ვართ! ზუსტად რომ, მიზანშია მორტყმული ეს სტატია. მართლაც რომ, დღეს უფსკრულის პირასაა მწერლობა მისული და არა მარტო მწერლობა, თავად საზოგადოებაც. დროა, ერთად დავდგეთ ქართული სიტყვის სადარაჯოზე!!!

ავტორი: ოთარ ფალიანი

დავით შემოქმედელს მივმართავ, უკაცრავად, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს კონკურსანტის ნაწარმოების სიღრმეს? ჟიურის წევრებმა თუ ნაიკითხეს კონკურსზე ნიშნულზე ნაწარმოებები ვერ უნდა ეცნოთ? ისეთ აბსურდს ამბობთ, თავად არ გჯერათ, მგონი... ჟიურის წევრებს რაც შეეხება - გენრი დოლიძეს რა უნდოდა ჟიურში, არ ვიცი. თქვენ უკვე კარგად წარმოაჩინეთ ის, რომ ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობა არცერთს არ ჰქონდა ნაკითხობი ან!! (რაც უფრო სარწმუნოა) წინასწარ გადაანალიზეთ გამარჯვებულთა ადგილები - ამას პირველი ამას მესამე პრემია და ა.შ. და არც ნაგვითხავთ რამე!!! იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ კორექტორი ან არ გყავთ, ან გეზარებთ გამოცემული ლიტერატურის დაკორექტირება. ეგეტ თქვენი მუშაობის „მაღალ“ ხარისხზე მიუთითებს.

ავტორი: დათო ნადირაძე

1 - ჟიურის მონაწილე ვალდებულია, ნაწარმოები ნაიკითხოს (გადაკითხოს მაინც). 2 - სასურველი იქნება, ნაწარმოებს ლიტერატორები აფასებდნენ და არა 2-3 საშუალო დონის ლექსის ან მოთხრობის ავტორები. 3 - უნაშუსობაა, როდესაც კონკურსის ბიუჯეტი 20 000 ლარს შეადგენს, 5 ათასი მონაწილეებს მოხმარდა, 15 ათასი - ჟიურის... რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებას, ხალხი, რომელიც წლების მანძილზე ავანტურადად ხელისუფლებას, მათ მხარდამჭერ კონცერტებს (მწერლობასთან რა შუაშია, მაგრამ სიმღერის მოსასმენად უფრო დადის ხალხი) სხვადასხვა სახის საღამოებს მართავს... ბოლო წლებია, ირიბად ფინანსდება ორგანიზაცია თუნდაც წიგნების გამოცემის და კონკურსების სახით და ვილაცებს დაავინყდათ, გამოყრილები რომ



▶▶ არიან შენობიდან (სამართლიანად), რადგან მაქამდე 3-4 კაცი გაქირავება-გაგირავებით ჯიბეს ისტელებდა... სირცხვილია... ყველაზე უარესი ის არის, რომ ეს ლოკავში გამობრძმედილი ხალხი, ახალგაზრდა თაობასაც რყვნის და ასწავლის ლოკვის ხელოვნებას, ანგარებას და საქმოსნობას... ყველას არ ეხება ეს, ვგულისხმობ იერარქიის მაღალ საფეხურებზე მყოფთ, თორემ იმ 500 კაცს არც არავინ ავლებდით რამედ, და არც დღეს ეკითხებით არავინ არაფერს...

ავტორი: ხვიჩა ყალაბეგაშვილი

დავით ტაკიძეს მივმართავ! აბსოლუტურად გაუგებარი და არაადეკვატურია დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მომიზეზება ჟიურის გასამართლებლად... ზუსტად ის დატვირთვა აქვს ჟიურის და, უფრო კვალიფიციურს, რომ დაინახოს, იპოვოს და გამოაჩინოს ტალანტი... განწყობას შეიძლება დაექვემდებაროს საშუალო სტატისტიკური მკითხველი,

გიორგი, როგორც იცით, მე არ გახლდით ამ ჟიურის წევრი, მე უბრალოდ ჩემი ვარაუდი გამოთქევი. რომ არა ეს კაზუსი, რაშიც გეთანხმებით, ჩამოთვლილი ახალგაზრდა ავტორები ნამდვილად იმსახურებდნენ გამარჯვებას, შესაძლოა სხვებიც, მაგრამ საპრიზო ადგილები განსაზღვრულია.

ავტორი: დავით შემოქმედელი

ჟიურის წევრმა, ერთმა მაინც, არ წაიკითხოს ტექსტები და ისე გასცეს პრემიები, სირცხვილია, ჩემი აზრით. ასეთი რა, მარტო საქართველოში ხდება, ალბათ. ლექსო დორეულის შენიშვნები გასათვალისწინებელი უნდა იყოს ყველასათვის, თუ გვინდა, რომ ნიჭს მართლა მივცეთ „გზა ფართო“. თუ არა და, მწერლობაც იმ დღეში ჩავარდება, რა დღეშიც ქვეყანა ჩავადგეთ. ეს საწყენი წერილი არაა, ეს ტკივილია, რაზეც თვალის დახუჭვა დასაშაულია...

ყოველგვარ ასეთ უმსგავსობაზე, რა-

ნი დედა მოვცანა, - ასეთი კი არაფერი ყოფილა). სიღრმისეულად ჯავახიშვილის და ყაზბეგის ტექსტები ინცესტამდე მისული შინაარსებია, სადაც პერსონაჟების მსოფლმხედველობა, მორალური სიმწიფე და ქმედება, ბევრად უფრო ამაზრზენია, ვიდრე ჩემი პერსონაჟის, და სწორედ ამიტომაც, ეს ორი ავტორი დიდებულიად ამიშვლებს ადამიანის ბუნებას... ლიტერატურა ჯერ აზროვნებაა და მერე ეტიკა, არაეთიკური სიუჟეტი, ან პერსონაჟი შეიძლება უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე ჩარჩოებში გამომწყვდეული, გულისკანკალით, ფსევდომორალით შებორკილი ტექსტი... სამწუხაროდ, აქ, ამ ფორმატში, მხოლოდ ბატონ დავითს უხდება აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა, საკუთარი აზრის დაფიქსირება... როგორც თავად, განგვიცხადა, იგი ამ კონკურსის ჟიურში არ ყოფილა და ფინანსებთანაც არ ჰქონია კავშირი (ვგულისხმობ თანხების განაწილებას), გამოდის, რომ ერთადერთი ოპონენტი, პასუხისმგებელი

და არა - საშუალება ახალგაზრდების სახელით მიცუნცულად სახელწოდოს, სთხოვო ფინანსები და ჯიბეში ჩაიდო (ვინც იდებს). კონკურსი არ უნდა ემსახურებოდეს, მავანთა ეტაპობრივ მომადლიერებას და სახელებზე და გვარებზე არ უნდა ახდენდეს სწორებას... არ უნდა გეუბნებოდნენ, წლებადელი ტექსტი შარშანდელს 100-ჯერ ჯობდა, მაგრამ... (ხომ მოგიმადლიერეთ, ახლა სხვისი ჯერი იყო)... ეს კონკურსები ისე ფართობით, მოვალეობითა ხელმძღვანელების თანამონაწილეობა... კომუნიზმის დროს გეგმას რომ აბარებდნენ, მაგას ჰგავს... კონკურსები კი არ უნდა გაუქმდეს, სამაგალითოდ უნდა მოხდეს გამიშვება ფაქტების, რომელიც ხდებოდა ლიტერატურული პროცესების საზიანოდ...

ყველა მიეჩნია „რა ჩემი საქმეა“ ძახილს და ამიტომ ტარდება ფანტასმაგორული კონკურსები... მიხარია, რომ ლექსო ხმაურობს და, რაც მთავარია, სამართ-



მაგრამ ჟიურის მოეთხოვება განწყობებზე მალა დგომა და ნაწარმოების მეცნიერული, პროფესიონალური ანალიზი. ხოლო თუ მაინცდამაინც განწყობას ჩავეძიებთ, მივიღებთ ასეთ ფორმულას: „ახალგაზრდაა, არასდროს მსმენია ვიღაცა და არა მგონია, რამე კარგი დაწეროს!“ ჰოდა, ამ განწყობით ტრანსცენდენტმა ხელი მოვიმართო! რას ნიშნავს ახალბედა მწერლისგან არ მოელოდნენ?! მაშინ რა ფუნქცია გააჩნია კონკურსს თუ არა მოელოდის და ეძებოს?! ან ზედაპირულად მკითხავეები რაიმე ახალი ლიტერატურულ-საკონკურსო სექტა (ზედაპირულად მკითხავეთა კლუბი! - შეიცან ქვემარტივება ზედაპირულობისა)?! მე, როგორც კონკურსის მონაწილეს, სავსებით ბუნებრივი, „ზედაპირული“, თუმცა ლოგიკური დასკვნა გამომაქვს, რომ ჩემი მოთხოვნა (სულ რომ გენიალური ყოფილიყო) თავიდანვე განწირული იყო „ახალბედობისა და ჟიურის ზედაპირულობის“ გამო. გამარჯვებულებიც ზედაპირულად შეიჩნენ? თუ რაიმე სახის წინასწარი ცნობა არსებობდა, ვინ სიღრმისეულად წერს და ვინ - არა, ან როდის იყო საჭირო ფსკერისკენ ყვინთვა და როდის ზედაპირზე ტივტივი?! ეს შინაარსგამოცლილი არგუმენტი ჩვენი ასევე შინაარსგამოცლილი ხელისუფლების, „არ ვიცოდი, ციხეში რა ხდებოდას“ მაგონებს. აბა, რას მიკეთებ?! თუ ზედაპირულად კითხულობ და არ იცი, რა ხდება! ჰოდა, მაგ არ ცოდნისთვის გადადგა უკვე ორი მინისტრი (რაც სავსებით ფორმალურ-დეკორაციულია და ზღვაში წვეთია, თუმცა ფაქტი). ჩემი პირადი და არც თუ ისე უსაფუძვლო აზრით, დღევანდელი მწერალთა კავშირი უმოტივაციო, უშუქსო და უარითმოა... მონყვეტილი ყოველგვარ ნოვაციას, კრეატივს და ერთ ჩაკეტილ წრფეზე აკადემიურად მოსიარულე, რომელიც პორნოვარსკვლავივით ორგაზმის მხოლოდ სიმულირებას ახდენს. შეიძლება მაშინაც კი, როცა სექსი საერთოდ არა აქვს... და ბოლოს, კონკურსზე დაბოლმე პიროვნება, რომ არ გეგონოთ, სახალხოდ დავიფიცებ: დედას გეფიცებით, არ ვარ!

ავტორი: გიორგი ფირცხალაიშვილი

საკვირველია, ხმა უნდა ამოიღოს ყველამ, ვისაც გული შესტკივა ქართულ მწერლობაზე. ასეთმა უპასუხისმგებლო, ზერელე დამოკიდებულებამ, დაუდევრობამ ყველაფრის მიმართ მიგვიყვანა სწორედ იქამდე, რომ თავის გადასარჩენად აქვს საქართველოს საქმე. სწორედ სიტყვიდან, სწორედ იქამდე რომ მწერლობიდან იწყება ხალხის ცნობიერების მოშლაცა და ვერ მოშლაც. ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ ამაზე უნდა იყოს დღეს გადატანილი, თუ გვინდა, რომ რამე გვეშველოს. მსგავსი რამ სად შეიძლება მოხდარიყო, ვერ გეტყვით. ყველას უმორჩილესად ვთხოვ, რომ პირად ინტერესებზე მალა საქართველოს ინტერესები დააყენოს და ყველაფერი ვიღონოთ მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად!!!

ავტორი: თამარ ლომიძე

მე, როგორც ახალგაზრდა ფილოლოგი, თამამად ვამბობ, რომ ლიტერატურა, რომლის სადარჯვოვო დგომაც ჩვენ გვევალება, ვიღაც რიგითი, საკმაოდ დაბალი დონის სტრატეგიის მქონე ადამიანების ხელში იბღალბება და თუ დღეს ვინმეს შეიძლება გაეცინოს ალვარო იუნკეს მოთხოვნის „ავტორის“ (უკვე სასაცილოდ ჟღერს) „ოინბაზობაზე“, აშკარაა, რომ ეს ფაქტი მომავალში არცთუ სასაცილო შედეგებს მოგვტანს. ამიტომაც, მოვიხსოვრებ, შესაბამისად დაისაჯონ ამ უმსგავსობის ხელისშემწყობნი და ამან მოგვცეს გარანტია, რომ მომავალში დაზღვეულნი ვიქნებით მსგავსი შეურაცხყოფისაგან!

ავტორი: ნინო აფციაური

კონკურსიდან ამოიღეს ჩემი ნაწარმოები, რადგან რამდენიმე წლის წინ, როდესაც მე საპრიზო ადგილზე გავედი, სათანადოდ ვერ მივეტმასნე სისტემას, ვერ ვიმლიქნელები, ვერ გავწვრიანდი, ვერ ვუკარი ტაში, ვერ შევძელი მავანთა ქება-დიდება... როგორც განმმარტეს, შენი ტექსტი წრეგადასულია (მათ ენაზე: ეს რამ დაგანერინაო), არადა, ტექსტში არ ყოფილა ბილნსიტყვაობა (იყო დრო ტიცინი წერდა „ოყნა გჭირდებათ, თქვე-

არ არის მომხდართან დაკავშირებით და ოპონირებას ვუნწევთ, ადამიანს, რომელიც პასუხისმგებლობას იხსნის... რაც შეეხება, მის შემოქმედებას - მე როგორც არაკომპეტენტური ამ სფეროში, თავს ვიკავებ განხილვა-შეფასებებისაგან (რამდენიმე ლექსი მომწონს კიდევ)... და ბოლოს, ადამიანები, რომლებიც უშუალოდ წარმართავდნენ აღნიშნულ კონკურსს, ურიგო არ იქნება დაგვისხდნენ, საჭირო დროს, საჭირო ადგილას და გასცენ კითხვებზე პასუხები...

ავტორი: ხვიჩა ყალაბეგაშვილი

მართალი ხარ, ხვიჩა, მე არ ვარ მთავარი ხელმძღვანელი ამ ორგანიზაციაში და მით უფრო კონკურსებში, როგორც ჩემს კედელზეა მითითებული. ძირითადად სულ სხვაგან ვმოღვაწეობ. ვფიქრობ, მართლაც კარგი საქმეა ახალგაზრდების გამოვლენა, მატერიალური ნახალისება, საზოგადოებისთვის გაცნობა, მათი ნაწერების ცალკე წინადად გამოცემა, კომუნიკაციის დროს ასევე მეტი ფული რომ ჰქონდათ, მსგავსი რამეები არ ხდებოდა, ახალგაზრდებისთვის პრემიების გაცემაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. სამწუხაროა, რომ ჟიურის წევრებს ასეთი კაზუსი დაემართათ, იცოდნენ და ნაუკითხაობით დაემართათ თუ არცოდნით მოხდა, ეგ სულერთია. ვეთანხმები ყველა კომენტარის ავტორს, მომავალში მსგავსი რამ აღარ უნდა მოხდეს, ბევრი ახალგაზრდა ავტორი ინტერესით იყო ჩართული ამ კონკურსში და ორგანიზატორებს მადლობას უხდიდნენ. თუ ახალგაზრდობის ნაწილს სხვაგვარად მიაჩნია, შესაძლოა ეს კონკურსები სულაც გაუქმდეს.

ავტორი: დავით შემოქმედელი

კონკურსების გაუქმება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება... კონკურსები უნდა არსებობდეს და რაც შეიძლება ბევრი, რადგან ერთგვარი მასტიმულირებელია და ლიტერატურულ პროცესს აცოცხლებს... საქმე ის არის, რომ არა-ჯეროვნად ხდება ნაწარმოებების შეფასება... კონკურსი ლიტერატურას უნდა ემსახურებოდეს, ის მიზანი უნდა იყოს

ლიანად... დავიგვიანეთ, მაგრამ ახლა აქ ვართ და დუმილი დანაშაულია, რადგან სხვათა დუმილს მოჰყვა ის ფაქტი, რომ ორ კვირაში იკითხება 20 საკონკურსო რომანი... ჟიურის წევრი პარალელურად მონაწილეა... და ამ მანდატიანმა მწერლებმა ხომ საერთოდ, ფულის გასათეთრებელ საქმედ აქციეს ლიტერატურული პროცესი... ფულის გასათეთრებელ საქმედ აქციეს ბარათაშვილისა და რჩეულშვილის ავტორიტეტი, რითაც მწერალთა კავშირი ქართული საზოგადოებას დასცინის...

ავტორი: ხვიჩა ყალაბეგაშვილი

მეგობრებო! რა უნდა ჟიურში ადამიანს, რომელიც კლასიკურ ლიტერატურას არ იცნობს? და გენიალურ მოთხოვნას რაღაც ნაჯღაბნები ურჩევნია? თქვენ ძალიან ცუდი წარმოდგენა გაქვთ ქართველ მკითხველზე! წერილი წარმოდგენილი მასალები თუ არ არის საკმარისი, მეტსაც გეტყვით, რომ ალვარო იუნკეს ხსენებულ მოთხოვნას („საფრთხოებელი“) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სავსის - ლათინურ-ამერიკული მწერლობა - ფარგლებში ორი ლექციის განმავლობაში ასწავლიან! ბატონო დავით, თქვენ კიდევ - ნაკლებად ცნობილიაო!.. გარდა ამისა, კონკურსების ასე არაობიექტურად ჩატარებას სჯობს, ისინი მართლა გაუქმდეს. თუნდაც ამ კონკურსში, წელს გაიმარჯვა რამდენიმე ისეთმა ტექსტმა, ლიტერატურასთან კავშირი საერთოდ რომ არ აქვს! იგივე მოხდა რამდენჯერმე პოეზიის კონკურსებშიც. თუმცა ამ ყველაფერზე მკითხველი მალე იხილავს ჩემს ვრცელ წერილს, რომელშიც დეტალურად, ტექსტულურად არის გარჩეული პრემირებული ნაწარმოებები და აშკარად იკვეთება, რომ პრემიებს მწერალთა კავშირი არაობიექტურად გასცემს!

ავტორი: ლექსო დორეული

(გაგრძელება შენდევ ნომერში)

მოამზადა თეკო ლაღიანმა



გიორგი არაბული

„ხეცსურეთში, ჭირიანობის დროს, დაავადებულნი ანატორის აკლდამებში შედიოდნენ და ერთად ელოდებოდნენ სიკვდილს. აკლდამები და ადამიანების ჩონჩხები დღემდე შემორჩენილი.“

ანაპორელის ჩანაწერები

* შავ-თეთრი სოფელი მაქვს.

* მეც სიკვდილი ვარ ფანდურითა და არყით ხელში.

* სარკმლიდან მოჩანს შემოდგომის ჭრელი ხეები, მდინარის აქეთ ყველაფერი შავ-თეთრია.

* გარეთ დავტოვე ცხენი. სახლი. ჩემი ბავშვობა.

* გალმასოფელში ასკილი ყვავის.

* სხედან ბავშვები ვინრო სარკმელთან და შემობერილ ნიავს თვალებით ეფერებიან.

* სარკმლის გარეთ ჰაერია, შიგნით - სიჩუმე.

* სიცოცხლის მძევლად ჩემი ცოლი დავტოვე სახლში.

* ჩემი შვილებიც აქ არიან. მე აღარ ვსუნთქავ, რომ ჰაერის მარაგი დარჩეს.

* მკვდარი რწმენა ვარ.

* ამ წვრილ სარკმელში ღმერთიც ვეღარ შემოეტევა.

* მე და სიკვდილი ერთ სანოლში ვწევართ და ძილი არ გვეკარება.

* დედა ტიროდა: „ნეტავ, სიკვდილს მისცა შვილიო...“

* ჩემ სოფელში მზე ორჯერ ჩადის.

* შემოფრენილმა გულწითელამ თითქოს სიცოცხლე შემოიტანა, ისე ავღელდით.

* მე - ორჯერმკვდარი.

* სხედან სიკვდილშეყრილი ქალები, ქსოვენ და ჩუმად ბუტბუტებენ.

* ცისფერთვალეა ბიჭს წამოსცდა - „ღმერთო“. ჩავაცვით.

* წყალგალმა მოჩანს საფლავების თეთრი ლოდები და მათი ჩრდილი აკლდამაშიც გვწვდება და გვფარავს.

* მკვდრებიც სუნთქავენ.

* უსაფლავოდ ვარ დარჩენილი.

* დედის ტკივილით გაჟღენთილი ღამეებია.

* ჩვენთან ცოლები სახალხოდ ქმრებს ვერ იტირებენ, ეძებენ ადგილს ბნელს, მივარდნილს.

* მაინც მომგნო, ჩემი ძალი სარკმელთან ყმუის.

* მესიზმრა, თითქოს ამოვიდა მზე და გავედით.

* რა სიჩუმეა, სიჩუმესაც კი ვეღარ ვისმენ.

* ქალაქისოდენი ღამეა.

* ჩემს სახლს ასტიკვდა კედლები და ღია ფანჯრები.

* ვცდილობ ფეხი არ დავაბიჯო მკვდარსა და ცოცხალს.

* მკვდრებიც დგებიან და წვებიან, როგორც ჩრდილები.

* ჩემი სწორფერი მდინარის პირას დგას და არ სუნთქავს.

* ყვავილები არ საუბრობენ.

* აქ გაღმერთებაც შეიძლება, ოღონდ მოვკვდები.

* „იხმაურეთ“ - ასე ვარიგებთ ბავშვებს, ბელურებივით შემოსახლებულებს, სიკვდილშეყრილებს.

* ჩემი მარტოფოფის ღმერთი.

* ვწევარ და სიკვდილს ველოდები, როგორც გაღვიძებას.

* შენ გამაჩინე, დედაჩემო, - შენი ტკივილი.

* სიზმარში ვხედავ გალმადარჩენილებს, მოდიან და სახეზე მკოცნიან, მეფერებიან.

* აღარ იტიროთ-ვაშობო, მაგრამ არავინ ტირის.

* ჩემ გვერდით ჭირშეყრილი ქალი აკვანს არწევს - იქ კი გოგოა - წინა ზაფხულს დაბადებული.

* სიკვდილის მძევლები ვართ.

* სიკვდილში ვდგავარ-სიცოცხლეში?! ვეღარ გავიგე.

* ჩემი სიმშვიდე - უძირო ტბაში კლდესავით ჩაყუდებული.

* წუხელ წყალგალმა დედაჩემმა ცოცხალი დამიტირა.

* დღეს მგონი ვკვდები. ვეღარ ვსუნთქავ, ვეღარც ვიცინი.



ღიმიტრი ბახუტაშვილი

„პირველითან იყო სიტყვა“

მას შემდეგ, რაც ადამმა განიცადა თითოეული არსების შინაარსი და სიტყვა ფონეტიკურ თანხმობაში მოიყვანა მასთან, ის გახდა პირველი სახელმძღვანელო; პირველი პოეტი.

მას შემდეგ, რაც დეფიმ დაიფარა თავისი ცნობილი ბერეტი და დაწერა - „გული ძველი“ და აღიარა თავისი თავი პირველ პოეტად, ის გახდა უკანასკნელი სახელმძღვანელო, უკანასკნელიც ყველა გაგებით. მე საქართველოში დეფიზე მნიშვნელოვანი პოეტი არც მეგულებს:

ვისაც არ ეზარება, ლაპარაკობს დეფიზე; ზოგი ეტრფის დეფის, ზოგი ლანძღავს დეფის, ზოგი ქირქილებს დეფიზე, მაგრამ, ნუ გგონიათ, რომ მე რამე პოპულიზმის მანქანაზე გესაუბრებით. მე დაგანახებთ ახალ დეფის, ძღვეამოსილს, ჩვენს გონებაში მოკალათებულს საიმე-

ლოდ. ასე რომ, მე თქვენზე კი არ ვილაპარაკებ, არამედ იმაზე, რაც თქვენშია.

- დეფის ტექსტების მხატვრული ღირებულება მდარეაო, იტყვის მავანი, გულწრფელად ჭკვიანი კრიტიკოსი. მე კი მგონია, რომ „ღირებულება“ ჭეშმარიტად არასაიმედო ცნებაა. არაფერი იცვლება უკეთესობისკენ, არაფერი იცვლება უარესობისკენ, უბრალოდ იცვლება და ცვლა სასიამოვნო პროცესია, აზარტული. დეფიმ სიტყვების და საგნების მნიშვნელობები შეცვალა. ეს ბევრ პოეტს მოუხერხებია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, დეფის ეს ცვლილება ტექსტებში არ მოუხდენია, დეფიმ ეს ჩვენს გონებაში მოახდინა. მაგალითად, დეფიმ შეუცვალა კონტექსტი შემდეგ სიტყვებს: ძვერა, მწუხარება, ყვავილები, ცისკარი, ქარი, მელოდია, კაშვე, ბერეტი და მეტიც... სიტყვა „პოეტის“ მნიშვნელობასაც მოუქებნა რაღაც ახალი „გასაღები“... დეფიმ „პოეტიზმით“ გაამდიდრა და დააბინძურა ეს მშვენიერი სიტყვები, გარყვნა და შეგვაზიზლა, ყალბი პათეტი-

კით აავსო, პირდაპირ ჩვენს ტვინში. ახლა, თანამედროვე პოეტისთვის სირცხვილია, დანეროს: „მწუხარე მელოდია“, „გრეხია“ - ეფაროს ბერეტი, ცუდი ტონია, საკუთარ თავს უწოდოს პოეტი. - ეს ყველაფერი მხოლოდ დეფის არ უქნიაო, - მიპასუხებთ. დეფი ერთი კი არაა, თქვე კი ხალხო?! არა, ერთი კი არ არის, მაგრამ დეფი ჩვენი კომფორტიზმის მეტაფორა-სიმბოლოა, უამრავი ადამიანის სახეა, არტისტი.

დეფის აფარია ბერეტი.
დეფის უკეთია კაშვე.
ჩვენ ვერ ვიფარებთ ბერეტს.
ჩვენ არ გვიკეთია კაშვე.

განა იმიტომ, რომ არ გვინდა, განა არ მოგვწონს ან განა ვიცით, მოგვწონს თუ არა? დეფი დომინირებს ჩვენზე, დეფი ცოცხლობს ჩვენში. დეფი გვაიძულებს, პათეტიკად აღვიქვათ: „მწუხარე მელოდია“, არადა, რა ლამაზია, დაფიქრდით... „მწუხარე მელოდია...“ ან ეს: „ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში“, რა დააშავა ამ ფრაზამ, რატომ არა აქვს უფლება, განვი-

ხილოთ უანგაროდ, ბავშვური გულწრფელობით, წამით მაინც მოვერიოთ დეფის და მის ყალბ ლექსებს? მაგრამ, ბევრჯერაც რომ მოვერიოთ, ყველა დეფის რომ მოვერიოთ, რა გამოდის? - ის ერთი დეფი, ის მეტაფორა-დეფი ხომ ყოფილა მნიშვნელოვანი ვინმე ჩვენთვის, ენისთვის? ხომ უთქვამს სიმართლე თავის თავზე? - პირველი პოეტი ვარო! პირველი კი არა - უკანასკნელიც არის. - კი მაგრამ, მან ხომ არ იცის, თუ რატომ არის პირველი - ჩამძახის იმავე გულწრფელად ჭკვიანი კრიტიკოსის (ან მკითველის) ხმა. - რა მნიშვნელობა აქვს, იცის თუ არა, რა არის ცოდნა? განა ყვავილმა იცის, რისთვის ამოდის? ეს მის სილამაზეს აკნინებს თუ სურნელს? - დეფი გვანერინებს ეპატაჟს, დეფი ამოძრავებს ენას.

„განოლილა დეფის სივი ეპოქაში დეფისივით“,
ჰაჰა, ეს რაღამ გამახსენა...
დეფის ძალა მოგვეცეს, მეგობრებო!

საიდუმლო განზოგადება სარკეში

ჩვენ შევეცდებით, ვისაუბროთ იმ უმთავრეს ფილოსოფიურ პრობლემაზე თუ რას წარმოადგენს ჩვენი არსებობა სამყაროში; ეს ყოფიერებაა თუ, უბრალოდ, წარმოდგენა? გავარკვიოთ, ვინ გვიყურებს, ვინ გვმართავს? ვართ თუ არა თავისუფლები? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ადამიანებს, შევეცვალოთ სამყარო? გადავწყვიტოთ, რომ სხვა წესებით ვიცხოვროთ?

ჩვენი მიზანია, გვიმარგველაშვილის პიესების – „მაყურებელთა დარბაზი“ და „მონმენი სარკეში“ მიხედვით გავანალიზოთ აღნიშნული პრობლემები და უფრო ღრმად შევეხებით ზოგადად მზერის ფენომენს; თუ რა დატივრთვა აქვს მას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა იმალება ერთი უბრალო შემოხედვის მიღმა. ამ საკითხების განხილვისას, ძირითადად, დავყვარდებით სარტრის მოსაზრებებს მზერის შესახებ.

მარგველაშვილის პიესის „მაყურებელთა დარბაზი“ გმირი აცნობიერებს, რომ ეს სამყარო, რომელიც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არის რეალური, რომ ეს მხოლოდ სიკვდილ-სიცოცხლის თეატრია, წარმოდგენა კი ისტორია, ამიტომ ისტორია უნდა გაუქმდეს. რას ნიშნავს – სიცოცხლე თეატრია? ვინ არის მაყურებელი? ვინ გვიყურებს? ეს არის პიესის მთავარი არსი. უკეთესად რომ გავუგოთ გმირს, უნდა წარმოვიდგინოთ ოთხი კედელი, სადაც გვგონია, რომ კედლებში ჩაკეტილები მარტონი ვართ, ჩვენთვის ვცხოვრობთ. ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენ მოვიფიქრეთ, ჩვენვე ვახორციელებთ საკუთარი მიზნებისათვის, მაგრამ რა ხდება? პიესის გმირი აღმოაჩენს, რომ ეს კედლები გამჭვირვალეა, რომ სცენაზე დგას და ვილაციები უყურებენ... იგი ხვდება, რომ მისი ცხოვრება ერთი პატარა წარმოდგენა ყოფილა, რეალური კი მხოლოდ ის მაყურებელია, რომელიც კედლებს მიღმა დარბაზში ზის. მეფე-გმირის მიზანია, გაუქმდეს ისტორია, ადამიანთა ცხოვრებას „გასვლა-გამოსვლის გამოფიტავ რიტმში“ რომ ატრიალებს, ჩვენი მიზანი კი იმის გარკვევაა, ვისი მზერის წინ ვთამაშობთ? პიესის გმირი-მეფე მოითხოვს, დაინგრეს კედლები, ყველა ის ადგილი, სადაც კი შესაძლებელია, რომ ისინი იმალდებოდნენ: ნაგებობები, თეატრები, სასახლეები, სახლები... აღმოჩნდა, რომ თურმე ყველგან, სადაც შეიძლება „დაიმალო“, მხოლოდ სცენაა მაყურებლისთვის. გმირი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის მიღმა მაყურებელი ნამდვილად არსებობს: „დროდადრო ვგრძნობ, ხოლმე ვილაცი უხილავი მომჩერებია, იცი რა საოცარი განცდაა? თითქოს რაღაც ცივი ჟრუანტელი გვიღოს ხერხემალი“. გამოდის, რომ ადამიანები ამ ამბავში „დამამცირებლად ნათვალთვალელები მსხვერპლნი არიან, ის ადამიანებს თავად არ შეუთხზავთ“.

ისმება საკითხი, არის თუ არა ეს რეალური მაყურებელი ღმერთი? როგორც პიესის ერთ-ერთი გმირი ფიქრობს, ეს ღმერთია. როგორ შეძლებენ მოკვდავნი, უფლის მზერას სივრცე დაუხშონ? ღმერთისთვის საყურებელი სივრცე ხომ ყველგან არის? სამყარო, როგორც რეალობა თუ წარმოდგენა, მხოლოდ იმის საფუძველზე განაგრძობს არსებობას, რომ მას ღმერთი უყურებს. ეს მზერა არის მისი არსებობის განმსაზღვრელი, ყველგან მისი სახის წინაშე ვდგავართ, – ამბობს პიესის გმირი. ჩვენ შეიძლება გავისხენოთ ლეკინასი, მისი ვიზუალური ცნება, პირი-სახე, ანუ ისეთი რამ, რაც ღმერთის შესახებ გვატყობინებს. ისტორია, როგორც ჩვენი ყოფნა-წარმოდგენა, შეკრულია პირი-სახის საშუალებით, მას აქვს კონტაქტი უსოვარ წარსულთან და ეს კავშირი უსოვარ წარსულთან სწორედ ამ სახით არის შესაძლებელი. ის, ვინც არსებობს წარსულის წარსულამდე და მომავლის მომავლამდე; და, რასაც ჩვენ სახეში ვკითხულობთ, ლეკინასის თანხმად, არის ღმერთი. ეს გამო-

მეტყველება ჩვენ რაღაცას გვაკისრებს. ეს არის დაკისრება, რასაც, ცდილობ, რომ ასცდე. ეს ამბოხია, ამბოხი და „კედლების ნგრევა“ მაყურებლის თავიდან მოსაშორებლად. აქ მულავენდება სულის სწრაფვა განთავისუფლებისკენ, შინაგანი სწრაფვა მზერისაგან, სხვისაგან განთავისუფლების, რაც წარმოადგენს სწორედ ერთადერთ თავისუფლებას.

რაც საინტერესოს ხდის პიესის განვითარებას, არის ის, რომ, მეამბოხეთა თანახმად, ეს არ არის ამბოხება ღმერთი-მაყურებლის წინაშე, რამეთუ ღმერთი არ არის მაყურებელი. თუ ღმერთი მაყურებელია, ეს ნიშნავს, რომ მაშინ ღმერთი ჩვენს გარეთ აღმოჩნდება, მაგრამ ღმერთი პიესის მეამბოხე გმირებს სხვაგვარად აქვთ გააზრებული: „ღმერთი მაყურებელი არ არის, რაღაც ჩვენს გარეთ არსებული შორი არსებაა, რომელიც საიდანაჯე გარედან გვივალთვალავს. ის გვხედავს და გვისმენს შიგნიდან. ღვთის თვალი იმ სამყაროში ტრიალებს, რომელიც ადამიანის შიგნიდან, ესაა მისი სამყარო. [...] ღმერთი არის თვალი, რომელიც ადამიანშია გახელილი. ეს თვალი მთელი სიცოცხლის საფუძველი, ამ მზერის წინაშე ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“. მაშასადამე, ადამიანს ორი მაყურებელი ჰყავს, ერთი



– შინა-თვალი, შინა-მაყურებელი და მეორე – რეალური, გარე-მაყურებელი, რომელიც ამინებს მას, რამეთუ საფრთხეს უქმნის მის არსებობას. ამ უხილავი მაყურებლისკენ ადამიანს, როგორც ვხედავთ, თვით ღმერთი მიაპყრობინებს თვალს, სწორედ იგი წარმოადგენს სულის იმ უნარს, რომელიც მიდრეკილია უხილავისაკენ, რასაც ჩვენ საიდუმლო განზომილება ვუწოდებთ. ჩვენი აზრით, სწორედ ღვთის მზერაა მედიუმი ჩვენს სულსა და რეალურ მაყურებელთა დარბაზს შორის. პიესის მიხედვით, ვინც ამ მაყურებელთა დარბაზის წინააღმდეგ აღმართავს ხელს, ვინც გადაწყვეტს, რომ მოსპოს ისტორია, როგორც მიზეზი მაყურებლისა, ის თავად უქმდება, ქრება საიდუმლო განზომილებაში. მეამბოხე გმირი შეურიგებელია თავის მდგომარეობასთან, იმგვარ ყოფნასთან, რომელსაც იძულებით ახვევენ თავს. როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს მეტაფიზიკურ ამბოხს მაყურებელი-მზერის წინააღმდეგ. იგი უარს ამბობს ყოველგვარ ქმნადობაზე. ამბოხი მეტაფიზიკურია, რადგან სადავოდ ხდის ადამიანისა და მთელი ფსევდორეალური სამყაროს საბოლოო მიზანს. სამყარო, როგორც ოთხი კედელი, როგორც მთელი არ არსებობს, ის ქუჭრუტანებით სავსე სივრცეა და მთელი ადამიანური არსებობის მიზანი „სადმე“ დამალვაა, მაგრამ ეს „სადმე“ ბოლოს ისევე უხილავი კედელი აღმოჩნ-

დება. მეტაფიზიკური ამბოხი სრულდება იმით, რომ, როცა ამ კედელს დასაგრევედ უახლოვდები, ის გმთანთქვს, იგი გაუქმებს უფსკრულში ჩაყარდნით.

მეფე-გმირი-მეამბოხე ფიქრობს, რომ მაყურებლის გარეშე ადამიანები ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, რამეთუ მათ ვერავითარი გარეთა, არაადამიანური, უცხო სამყაროსეული მაყურებლის მზერა ვერ დაუდგენს მოქმედებას. თუმცა მაყურებლის გარეშე არანაირი სიცოცხლე არ გრძელდება, რაზეც მიანიშნებს ერთ-ერთი ფრაგმენტი პიესიდან. როდესაც ოფიცერი სთხოვს მსახიობებს, ითამაშონ სპექტაკლი, ერთ-ერთი მათგანი პასუხობს: „როგორ ვითამაშოთ, როცა არავინ გვიყურებს?“.

მეორე პიესა, რომელსაც აქ განვიხილავთ, არის „მონმე სარკეში“. აქ მოქმედების მთავარი გმირია პატარა გოგონა, რომელიც ფიქრობს, რომ კედელი ფიქტიურია და არ არსებობს. მას ჰგონია, რომ ოთახში საიდანაჯე იხედებიან, როგორც თეატრში. ის გრძნობს, რომ მუდმივად უთვალთვალავს და ფიქრობს, რომ შეუძლებელია უინტერესოდ ცხოვრება, როცა გყავს მაყურებელი. თუ პირველ პიესაში მნიშვნელოვანი იყო განთავისუფლება ამ მზერისგან, მეორე პიესაში მზე-



სალომე გოძილაძე

ხდება. ვფიქრობ, ფროიდის ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება იმ ქვეტექსტს, რომელსაც პიესაში „ვკითხულობთ“. ასევე ის შესაბამისია კამიუს გმირის კალიგულას სიტყვებს: „ადამიანები კვდებიან, რადგან დამნაშავეები არიან“. შესაბამისად, პიესის გმირების (და, საერთოდ, ადამიანის) ცხოვრება თანხმობაშია ფროიდის იმ აზრთან, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანი მოსურნე ცხოველი კი არ არის, არამედ ის არის ტრაგიკული ცხოველი.

პიესის გმირები ექცევიან ერთგვარ საზღვრით სიტუაციაში. მთავარი გმირი, მას შემდეგ, რაც სარკეში თავის თავს დაინახავს, წარსულს, დანაშაულს, ცდილობს, გაიქცეს ოთახიდან, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. ის ყველგან გამჭვირვალე ფიქტიურ კედელს აწყდება. ირგვლივ ყველაფერი არეალურია: სურათები, ჩარჩოები, რითაც იგი სარკის გადაფარვას ცდილობს, უსხეულოა. მონმე სარკეში უხილავად გარდაქმნის ყველაფერს... ის ამით თავის რეალურობას ამტკიცებს. ეს მონმე ჩვენს ცხოვრებას გარდაქმნის წარმოდგენად, თუმცა ეს წარმოდგენა სიცარიელე კი არ არის, არამედ შემზადება საიდუმლო განზომილებაში გასასვლელად, უსასრულობაში შესასვლელად, როგორც რეალური არყოფნა, რომელიც წერტილს სვამს არყოფნა-წარმოდგენის ბოლოს და გვანამდვილებს. რილკე ამბობს: „მეერი რამ შეიცვალა, არ ვიცი, როგორ, მაგრამ ჩვენს შიგნიდან და შენს წინაშე, მაყურებელი: განა მოქმედების გარეშე არ ვართ? თუმცა კი ვხვდებით, როგორც რომ არ ვიცით ჩვენი, და სარკის ვეძებთ, რადგანაც გვინდა სახიდან გრიმი ჩამოვირეცხოთ, მოვიშოროთ ჩვენი სიყალბე და გავნამდვილოდეთ. მაგრამ, რადგანაც მინც აგვკრობია შენიღბულობის რაღაც მისხალი, რომელიც ჩვენ აღარც გვახსოვს [...] ასე ვცხოვრობთ გამჭვირდავნი და ნახევარნი: არც ყოფიერნი, არც მსახიობნი“. საზღვრითი სიტუაცია არის სწორედ ის ვითარება, როგორც იასპერსი ამბობს, რომლიდანაც გამოსვლა შეუძლებელია რადიკალური ცვლილებების განცდის გარეშე. საზღვრითი სიტუაციაში მოხვედრილი ინდივიდი ძირეულ ცვლილებებს განიცდის... საზღვრითი სიტუაცია პიესის გმირს უშუალოდ შეეხო – იგი მთლიანად ეხება მას, შეუძლებელია, ამ სიტუაციაში გულგრილი დარჩე. იასპერსისთვის ყველაზე მკაფიო მაგალითი საზღვრითი სიტუაციისა არის დაბადება და მასზე უფრო მეტად სიკვდილი, რადგან „სიკვდილის პირას მდგარი ვგრძნობთ ჩვენშივე მიმდინარე სხეულებრივ კოლაფსებს, „ჩანგრევენს“ და ცნობიერადაც ნათლად ვხედავთ გარდაუვალი ცვლილებების უდიდეს სიღრმეს“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პიესის ყველა გმირი ვერ ხედავს მონმეს სარკეში ან ყველა ვერ ამჩნევს კედლის არარსებობას. ამას ახერხებენ კონკრეტული გმირები, რამეთუ საზღვრითი სიტუაციაში საქმე ეხება საკუთრივ „მე“-ს, ამ სიტუაციაში მოხვედრილს და არა ადამიანს საერთოდ. ამისთვის აუცილებელია შიგნიდან ხედვა, რომელიც, როგორც მერლო-პონტი ფიქრობს: „... არის საშუალება, რომელიც მე მოცემული მაქვს, რათა ჩემივე თავისგან ვიყო გასული, რათა შიგნიდან ვუნყოფდე ხელს ყოფიერების გახლეჩას და მხოლოდ ამის შედეგად ვიკეტებოდე საკუთარ მეში“.

►► დასასრული მე-16 გვ.

►► მე-15 გვერდიდან

ზემოსხენებული პიესების მიმოხილვისას არ უნდა მივიჩნიოთ, თითქოს ისინი არაფერ კავშირშია ჩვენს რეალობასთან და უბრალოდ „ისტორიული ზღაპრები“ როგორც მათ თავად მარგველაშვილი უწოდებს. ეს ზღაპარი-პიესები ჩვენი ყოველდღიური გამოცდილების ასახვაა, რომელსაც ღრმა ფილოსოფიური ანალიზი სჭირდება. – ჩვენ გარკვეული კუთხით გავანალიზებთ ის, ახლა კი შევეხებით პიესების უმთავრეს მხერის პრობლემას, რომელსაც მივყავართ აგრეთვე საბოლოო მიზანდევ, რაზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. მხერის საკმაოდ საინტერესო ანალიზი მეორდება სარტრი ნაშრომში „ყოფიერება და არაა“. მხერა, სხვა, მაყურებელი, ჭეჭრუტანა, – ეს სიტყვები, რომლებიც გვხვდება პიესაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სარტრთან მხერის ანალიზისას, რომელსაც იგი უკავშირებს სწორედ თავისუფლებისა და თვით სიკვდილის პრობლემას. პიესის გმირებს ეშინათ, რცხვენიათ, იმალეობიან... ემალებიან ვიღაცა უხილავის მხერას, თუმცა, სარტრის თანახმად, იგივე რეაქციას იწვევს ჩვენგან ადამიანების, ერთი შეხედვით, კეთილი მხერა. როდესაც ჩვენ ვიღაც გვიყურებს იმნამსვე ვიცევიით ყოფნად სხვისი მხედველობის არეში, ეს ნიშნავს, რომ ვიღაც ჩვენს თავისუფლებას იპარავს. ჩვენ ვხდებით ეჭვიანები, ვგრძნობთ, რომ ვიღაცა გამოუდებით გვიყურებს ჭეჭრუ-

ტანიდან, ამ დროს თითქოს სცენაზე ვართ აყვანილი. ვარსებობთ არა როგორც „თვითი“, რომელიც დგამს ამ ნარმოდგენას, არამედ, როგორც ჩვენი „თვითონობა“, დაკარგული ამ სამყაროში. აქ იკვეთება მთელი რიგი პრობლემები, რომ შეუძლებელი გახდა თავისუფლება, მუდმივად ვეჭვობთ იმ რეალურ მაყურებელს ან უბრალოდ ვიღაცის მხერას. ვეძებთ ჭეჭრუტანებს, სხვისი თვალით ვეყურებთ საკუთარ თავს. სარტრის თანახმად, მხერა, რომელიც აქცევს მე-სუბიექტს ობიექტად, ამჟღავნებს, რომ სხვისი თავისუფლების მიერ არის შთანთქმული ჩემი თავისუფლება. გამოდის, მხერის მეშვეობით სხვას ჩემი „მე“ შეაქვს თავის „მე“-ში, იგი ამგვარად აფართოებს თავის თავისუფლებას ჩემი თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, უქმდება ჩემი სუბიექტურობა და იგი მათამაშებს ობიექტად. რეალურად შეიძლება არც არსებობდეს ის, ვინც გვიყურებს, მაგრამ ჩვენი განცდა სირცხვილისა და შიშისა გვიმყვანებს ჩვენს თავს, როგორც ისეთს, რადაც შეიძლება იქნეს შემჩნეული. როგორც სარტრი ანალიზებს, შიშის გრძნობა ფუნდამენტურად უკავშირდება სხვის არსებობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩემს „მე“-ს, მის თავისუფლებას. რაც შეეხება სირცხვილს, ეს არის ყოფნა სხვის ნინაშე იმგვარად, როცა ეს „სხვა“ ცნობიერება გიმორჩილებს და გაშეშვებს. როგორც უკვე ვახსენეთ, ჩვენ მუდმივად გვაქვს ეჭ-



ვი მხერის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას რეალური საფუძველი, პიესის გმირები კი გვიმტკიცებენ, რომ ეს ეჭვი გამართლებულია, რომ უამრავი „სხვა“ სუბიექტის მიღმა ყოველთვის არსებობს ერთი დიდი სუბიექტი, რეალური მონაწილე, მაყურებელი საიდუმლო განზომილებიდან, რომელიც გამოუდებით გვითვალთვალეს. და მაინც, ვინ გვიმხერს? ვინ არის ის, ვინც გვითვალთვალეს? პიესებში არაფერია ნათქვამი იმაზე თუ ვინ შეიძლება იყოს ის, მაგრამ, აბა, ვისი უნდა იყოს ეს „მშთანთქმავი“ მხერა, თუ არა სიკვ-

დილის? სული გრძნობს, რომ სამყაროს აქვს რაღაც უხილავი განზომილება, (როგორც პიესაშია, თითქოს ამას თვით უფალი გვაგრძნობინებს ჩვენში) ეს უხილავი მხარე კი თვით სიკვდილია, როგორც ჩვენივე სასრულობის „დამასრულებელი“ უსასრულობა. მას ჩვენ იმდენადვე ვესწრაფვით, რამდენადვე ყოველ წამს ვუჯანყდებით, ვემალებით, გავურბივართ და „გვიყვარს“ კიდევ (რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს) იმდენად, რამდენადც გვეშინია, რამეთუ სიკვდილი არის ის ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიქმნია. ■

მე სიკვდილი ვარ!
ახლავე შემოგთავაზებდი საყოველთაო, მყისიერ, პლანეტარულ თვითმკვლელობას და ლაპარაკსაც აქვე დავამთავრებდი (თან არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი, მით უფრო, შენთან!), მაგრამ ისეთი ლაჩარი არსებისთვის, როგორც შენ ხარ, ეს მეტისმეტია! თანაც, ბავშვებს რა უყუოთ?!

კი დაგიხილავს, როგორ არ დაგიხილავს – ისტორიას ახსოვს უამრავი ფაქტი, საკმაოდ არტისტულადაც დაგიხილავს, მაგრამ მე უფრო არ მეძებება ისინი ჩემთვის, ვიდრე შენ! ამიტომ სხვა წინადადება მინდა შემოგთავაზო, სადაც აღარ იქნებიან ბავშვები...

როგორც უკვე ვთქვი, მე სიკვდილი ვარ, ძალიან უბრალო და საყოველთაო, დროებით შეყოვნებული შენში რაღაც ამაზრზენი სისხლის მოძრაობის გამო. შენ სულ ჩემს დამარცხებას ცდილობ და რას აღარ იგონებ ამისთვის, გინდა სხვადასხვა საშუალებით შენი სახელი უკვდავყო და ვერ იჯერებ, სიტყვა „უკვდავყოფა“ უშინაარსო სიყალბეა, – ჩემთან შეგუების მცდელობა და სხვა არაფერი.

მართლა გასწავლიდი, როგორ უნდა შემგუებოდი, მაგრამ ეგ არც მე ვიცი, რადგან არ ვარსებობ. რომ ვარსებობდი, არა მგონია, გეგთი მოკრძალებული ყოფილიყავი ჩემს მიმართ, ალბათ მეც იმავე გზას გამიყენებდი, რასაც მე შენ, მაგრამ ვერ მიხელთებ და შემორჩილები, კი არ შემორჩილები, მონა ხარ ჩემი. იცი, რასაც გიმზადებ: იცი, არ აგცდებ და მაინც მემონები! ვერც კი ხვდები, რატომ არის შენი მონობა ასე ოლი, – იმიტომ, რომ „უღელი ჩემი საამური და ტვირთი ჩემი მსუბუქი“, გჯერა, საცოდავო „მამურალო“ და „ტვირთმძიმე“? მე სწორედ შენი თავისგან გათავისუფლების რეალურ წინადადებას გთავაზობ და თან ნაკლებ ტრაგიკულს, თორემ მონადაც კი არ მინდებარ, იმდენად მეპატარავები! ამიტომ მეხვეწე, მეხვეწე, მე უარს გეტყვი, რადგან შენ ვერასდროს შეძლებ, ცოტათი მაინც ამოავსო ის სიცარიელე, რაც ჩემს შიგნით სუფევს! წარმოიდგინე – უბრალო მასალადაც არ მარგიხარ. იქ, იმ სიცარიელის ფსკერზე, ბევრი გამოფიტული ძვალი და ნაყარნუყარა სხეულია, მაგრამ ყველა თავის ალაკას მიმოფანტულა ისე, რომ შორიბრუნს ბოლო არ უჩანს... არადა, მე ღრმა ვარ, ღრმა და საყოველთაო. ძველი სემიტები მიხედნენ ამას, ამიტომაც ადგილს, სადაც ვიმყოფები, უწოდეს შეოლი და იმ ადგილზე მკვდრებს ვერტიკალურად მარხავდნენ, შეეცადნენ, გული მოეღობოთ ჩემთვის, მათ არ უწყოდნენ „ახლა“, როდესაც ვამბობ „მე“, მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ ამას, რომ შენს ენაზე ველაპარაკო, თორემ არ არსებობს სამყაროში სიტყვა, რომელიც სრულყოფილად შეძლებს ჩემს გამოხატვას, ასეთი ვერც მე მოვიფიქრე! რადგან ახლა

სიკვდილის წინადადება



შენში ავმეტყველდი, რადგან ინსპირაციად ვიქცევი შენთვის, არ გეგონოს, ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტების გამოხატველია, ეს უფრო მცდელობაა, კავშირი დავამყარო შენთან, იმასთან, ვინც შექმნი ფილოსოფია ჩემს გასამართლებლად და არა დასაცინად. აბა, ერთი, გაბედე და დამკინე!.. მხოლოდ ერთი გზა დაგიტოვებ, როცა ჩემზე ფიქრობ ან ავადმყოფობ, ან ასაკით მიახლოვდები; ამ გზას ჰქვია საბოლოო, მონინება, ქედის მოხრა ჩემს წინაშე!

შეიძლებოდა, დაგთანხმებოდი კიდევ, სულ გაიძახი, ფილოსოფია სიკვდილისთვის მზადებაა (ჯობდა, თვითმკვლელობისთვის მზადებისკენ აგელო ორიენტაცია!), რათა ბოლომდე ვიყო დარწმუნებული შენს არსებობაში. ვითომ შენ არსებობ? ან შექმნი კი ჩემი მოხელთება, როცა ამბობ ვემზადები შენთან შესახვედრად? გაგიჭირდება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა...

მე მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ შენს გაჩენამდე ვარსებობდი, ჩემზე წერია: „მე ვარ ის, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება!“. შენ კი შენი მოვლინებით არსი და არსება ერთდროულად შემოიტანე ჩემში და ჩემთვის მანამდე სრულიად უცხო თავშესაფრის ფუნქცია მომანიჭე, არადა, რა სიმშვიდე, აუმიღვრელობა და სინმინდე სუფევდა უსასრულო არსებობაში, სწორედ ასე მერქვა მაშინ: „უსასრულო არარსებობა“ და ამ სახელის ჭეშმარიტებას ნოდების გარეშე სრულყოფილად ვფლობდი ჩემში. შენ გაჩნდი და „სიკვდილი“ დამარქვი, გინდოდა, რაღაცა აზრი მოგენიჭებინა ჩემთვის და თქვი, „ცხოვრება უაზროა“,

ოთარ ჯირკჳალიშვილი

ე. ი. სიკვდილია აზრიანი... ნეტა, რას ჩნდებოდი, მრქემოდა „უსასრულო არარსებობა“, განა ასე სამუდამოდ არ ვიქნებოდით მოსვენებული სიტყვებისგან? დამიჯერე, „სიტყვამდე“ მე ვიყავი, ვარ და ვიქნები!..

ახლა მილიარდობით საგანი გაჩნდა, მათ მილიარდობით სახელი ეწოდა, თუმცა ყველა ამათ, შენი ჩათვლით, მხოლოდ ერთი რამ ჰქვია საბოლოოდ და ეს არის „სიკვდილი“, რაც შენ მინოდე გაჩენის დღიდან და რაც მე ასე არ მომწონს!

თუ ჩემში თავშესაფარს და აზრს ეძებ, თან იმავდროულად ასე ტრაგიკულად აღმიქვამ, – დღენიდაგ გულუბრყვილოდ მსაყვედურობ; ამ ახალგაზრდას რას ერჩოდი, როცა ის მოხუცი იდგა რიგში (გეგონება ვინმე რიგის სიას ადგენდეს), ან – იმ ბავშვს რას ერჩოდი, მას ხომ არაფერი დაუშავებიაო (თითქოს დაშავება-არდაშავებაზე ვიყო დამოკიდებული) და ა. შ. დაუსრულებლად... მე კი ნუ მსაყვედურობ – სინამდვილე თვად ჩარ გაუმაძღარი ღორი! ჰო, გაგიკვირდა ჩემგან ასეთი აღმფოთება, ეგოისტი, სიამოვნებას გადაყოლილო, გაუმაძღარი ღორი?!

სექსით მებრძვი!

მე კი არ მებრძვი, მე რას დამაკლებ, უბრალოდ, შენი ნუნუნი ამომივიდა ყელში! შეილი არ გიჩნდება და დარბიხარ ექიმებში, ექიმბამებში, გინდა, შენს შემდეგ შენმა გენმა სიცოცხლე განაგრძოს, მაგრამ, უკვე ათასწლეულებია, ვერ აცნობიერებ მთელი ამ მიეთმოეთის მტანჯველ უსაზ-

რისობას! განა არ ვიცი, როცა ბავშვის ჩასახვას ცდილობ, მაგ დროს სიამოვნებას აყოლილი, ეგოისტი ღორი ხარ და არა მოსიყვარულე მშობელი?!

მე გთავაზობ ჩვენთვის, ორივესთვის ხელსაყრელ წინადადებას: გააფორმეთ ახალი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, ოღონდ არა ისეთი, ფუჭი სიტყვების გამომგონებელი ფილოსოფოსი რომ გიქადაგებდათ: სექსის მოყვარულები, თავისუფლები (ეს ერთადერთი სიტყვაა, რაზე გაცინებაც შემიძლია), მომთხოვნები და ჰუმანურები იყავითო, თავად კი უმწეო შეილეს პანტაფუნტით აბარებდა ბავშვთა სახლებში და სამუდამო ტანჯვისთვის იმეტებდა, სანამ ჩემში პოვედნენ თავშესაფარს. აი, ასეთები ხართ ადამიანები: ერთს ამბობთ, მეორეს აკეთებთ, რომც შემქმლოს შეცოდება, არ შემეცოდებოდით! ახლაც რასაც გთავაზობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს ყალბი მოძრაობა, რომელიც ბოლოს მაინც აბსოლუტური უძრაობისთვის არის განწირული. ამ წამიერ, მტანჯველ და წარმავალ მოძრაობას არ გირჩევნიათ მარადიული უძრაობა?

ჰოდა, გთავაზობთ ახალ და მარტივ „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“, ასეთ პრინციპზე აგებული: მოდგმა, რომელიც ახლა არსებობს, თანხმდება, რომ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვინდა, და ვაკეთებთ იმას, რაც გვინდა, ოღონდ უახლოესი ასი წლის განმავლობაში მთელ პლანეტაზე და მის ფარგლებს გარეთაც კატეგორიულად იკრძალება ბუნებრივი სექსუალური ურთიერთობა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, სიცოცხლის ფორმის გამოყვანის მიზნით სინჯარებში ჩატარებული ნებისმიერი ექსპერიმენტი – ამ წესის დამრღვევი მყისიერად ისჯება სიკვდილით!

...და ასე, ასე წელი დედამიწაზე სექსის გარეშე! შეწყდება გამრავლება, ესე იგი ჩემთან უაზრო ბრძოლა. თქვენ თქვენს ბუნებრივ ადგილს დაუბრუნდებით, საიდანაც „მოხვედით“ – არყოფნას. დასრულდება სამყაროში ტრაგედია, რომელსაც თქვენ ხშირად სიკვდილზე უარესს უწოდებთ და მეც ჩემს დაკარგულ სახელს დავიბრუნებ – „უსასრულო არარსებობა“.

მდუმარებენ მწვერვალები, მისცემიან რულს...
დუმან ხენი კენარები, მთა დაბარიდუმს. აღარ ისმის ტყეში ჩქამი, ჩიტიც არა სტყვენს. მოითმინე, მოვა ჟამი, მოისვენებ შენც!
ეს ლექსი მე დავწერე, თუმცა სხვამ ამოთქვა, ეს „უსასრულო არარსებობის“ საგალობელია, „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პრეამბულაში შეიტანეთ...
მოითმინე, მოვა ჟამი, მოისვენებ შენც! დაფიქრდ ამავზე. ■

ლექსო ღორჯული

ყველა კრიტიკოსი თუ ლიტერატურათმცოდნე უყოყმანოდ აღიარებს, რომ სანდრო აბრამიშვილი უდავოდ ერთ-ერთი გამორჩეული, დახვეწილი პოეტი და მოაზროვნეა თანამედროვე ლიტერატურათა შორის. მისი ლექსები გამოჩენისთანავე შეიყვარა მკითხველმა.

აზრის ნოვაციურობა და ორიგინალურობა, ტრადიციული, კლასიკური ესთეტიკის პრინციპებზე დაფუძნებულ სალექსო ფორმათა ოპტიმიზაცია, უაღრესად დახვეწილი სარიტმო წყვილები, სიტყვათწარმოების უბადლო ნიმუშები და, რაც მთავარია, ცოცხალ, პრინციპულად ახალ მეტაფორებში ქვეტექს-

(და არაგნოსეოლოგიურად) უკავშირდება ჰომოცივილიზაციას. ამდენად, ბატონი სანდროს პოეზია ფრიად საინტერესოა აქსიოლოგიური კუთხით. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამ ავტორზე სავესებით დამსახურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან მალარმეს პოეტური ხედვები სრულიად სხვა ხარისხში აიყვანა და პოეზიას ახალი სული შთაბერა. მისი ლექსის „403“ კითხვისას შეუძლებელია, მკითხველს თვალწინ თეთრ ტაიჭზე ამხედრებული, ციურ სიყვარულზე მონადირე, გამიჯნურებული რაინდი არ აუშარავანდდეს. სანდრო თავის სტრიქონებში მზის ტემპერატურით დულს და, სწორედ ამიტომ, მკითხველსაც მძაფრად განაცდევინებს ლირიკული გმირის ტკივილსა და ურვას. „89, 88, 87, / 2227“ – ნერს ავტორი და ამით

გთავაზობთ სანდრო აბრამიშვილის ლექსებს

10111,
41, 42, 49.
1146,
7, 6, 6, 8,
89, 88, 87,
2227,
27, 27,
12, 47,
47, 12
12, 49.

3, 14, 15, 92,
65, 64, 4,
71, 47,
83, 29, 16,
18, 19, 23,
15, 538,
19, 23,
12, 557,
18, 19, 23,
11, 12, 510,
65536,
17, 18, 79, 81, 87, 90, 10.

ცხრა, რვა, შვიდი, ხუთი,
ოთხი, სამი, ორი, ნული,
ერთი, ათი, ცხრა, ექვსი,
ხუთი, ოთხი, სამი, ერთი;

ცხრამეტი, სამოცდათერთმეტი,
სამოცდაცხრა, ოცდათვრამეტი, ჩვიდმეტი.
ორმოცდაორი, ოცდათხუთმეტი,
ორმოცი, ოცდაათოთხმეტი, ცამეტი,
თერთმეტ-ნახევარი, ხუთი მერვედი, ფესვი ორიდან,
ფესვი ხუთიდან, ფესვი პიდან, ფესვი ერთიდან.

403 ***
47
ავტობიოგრაფია
8 5 8, 48, 49, 10. :-)
6 4 4 6 6 4 4 4
6 6 4 4 4 6 6
4 6 4 4 6 1 4
4 6 6 1 6 1 4 8
8 8 6 1 6 1 4 8
4 6 4 1 4 0 9 1 4
4 4 6 4 0 9 4 0 3 3 3 1 6 8.

სტეფანიდან სანდრომდე

... და მოვა ჩემი მეორე მე!
სტეფან მალარმე



კიდევ ერთხელ ადასტურებს სამყაროს ონტოლოგიურ სტატუსს. უმაღლესი სამწერლო ოსტატობის მაჩვენებელია მის ერთ-ერთ გამორჩეულ ლექსში „ვტობიოგრაფია“ საკუთრივ იაპონური ესთეტიკისთვის დამახასიათებელი „ანტიციპაციური მეტაფორა“ – „49, 10. :-“) აქვე დავძენ იმასაც, რომ მსგავსი მაგალითების მოყვანის საშუალებას ბატონი სანდროს სხვა ბევრი ლექსიც იძლევა.

სანდრო აბრამიშვილს კარგად აქვს გააზრებული და გათვითცნობიერებული ჭეშმარიტი პოეტის გასავლელი გზის სირთულე. ალბათ, სწორედ ამიტომაც ერთგან დანახვებით წერს: „ორი ხარისხად ოცდაოთხი“ რითიც მკითხველს მიანიშნებს, რომ მას საკუთარი სიცოცხლე ხელოვნების სამსხვერპლოზე აქვს გადადებული.

მისი პოეზია პასუხობს ყველა თანამედროვე ლიტერატურულ სტანდარტს და ხშირ შემთხვევაში ავტორი აზრის მეცნიერული სიზუსტის მისაღწევად არც ეროტიკული სცენების აღწერას ერიდება. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ჩვენი პოეტი წერს: „თერთმეტ-ნახევარი, ხუთი მერვედი“ რითიც საზოგადოებას პირდაპირ მოუწოდებს, განთავისუფლდეს უაზრო სექსუალური კომპლექსებისგან.

ალბათ, დაუსრულებლად შეიძლება საუბარი სანდრო აბრამიშვილის შემოქმედების შესახებ. თუმცა მიმაჩნია, რომ მისი პოეზია წინ უსწრებს თანამედროვეობას და, ამდენად, მომავლის საკუთრებაა... ქართველი მკითხველი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის მზად, სრულად შეიმეცნოს ბატონი სანდროს პოეზია – ამისთვის მას საკუთარ წარსულზე დამოკიდებულობისგან აბსტრაქტიზირება მოუწევს... ■

ტებად ფორმირებული დიდი იდეები მის ნააზრევს ელიტარულ, ინტელექტუალურ პოეზიად აქცევს.

სანდრო აბრამიშვილი ახალ მხატვრულ ფორმათა წარმოების ნამდვილი დიდოსტატია. მიუხედავად ამისა, მის ლექსებში გამოსჭვივის სკანდინავიური ფოლკლორის სილამე, ანტიკური ლიტერატურული მსოფლხედვის სიდიადე, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღიდან ფაქიზად ამოზრდილი, ლინგვისტური თვალსაზრისით ოდნავ „მოუხეშავი“, მაგრამ კონტექსტუალურად უაღრესად დახვეწილი და „სწორი“ ლექსიკური ერთეულები, რაც მეტად მოქნილს ხდის საერთო სემანტიკურ ბადეს. მისი შემოქმედება თავისუფალია ყოველგვარი ბარბაროსული სიყალბისა და „მათემატიკური ობიგან“. პირიქით, ის მხატვრული საზრისის სიცოცხლის მატარებელია. ამ ნიშნით მისი არაერთი ლექსი თავისუფლად შეგვიძლია ჰერმენევტიკულ ტექსტად მოვნათლოთ.

ეს ჩვენი პოეტი მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების გზაგასაყარზე დგას. აქ ლაპარაკია წმინდა პოეზიაზე (პოესიე pure), რომელიც სუბსტანციურად მთლიანად მონყვეტილია ანთროპოლოგიურ დისკურსს და მხოლოდ პარადიგმატულად



ორი ხარისხად ოცდაოთხი,
თექვსმეტი მილიონ ორმოცდაცხრა.
ოთხი ხარისხად ორი ხარისხად რვა,
თხუთმეტი ათას ას ოცდასამი.
თორმეტი ხარისხად სამი,
თერთმეტი ხარისხად ცხრა,
ხარისხად ექვსი,
ხარისხად შვიდი,
ექვსი ხარისხად
რვა, უხარისხოდ,
რამდენიც გინდა,
ოლოდ ისე, რომ ვერ მიხვდეს სხვა.

მამა-შვილის კონცეპტი სალომე ბენიძის პოეზიაში

სოფო ნულაია

ყველა თაობას თუ თავისი ტრადიცია აქვს, „2000-იანელთა“ ტრადიცია უმამობაა; ჩვენი მამები ერთხელაც ადგნენ და სხვა სივრცეში გადასახლდნენ, თან ისე, ვერც ერთი კითხვისთვის, მომავალში აუცილებლად რომ გაგვიჩნდებოდა, პასუხის გაცემა ვერ მოასწრეს; არადა, პასუხებს, რაოდენ რაციონალური და პრაგმატულიც არ უნდა იყოს, იმ თანაგრძობის, თანადგომისა და სიყვარულის გარეშე, მამებს რომ აქვთ საკუთარი შვილების მიმართ, ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება; ამიტომაც თავიდანვე ცხადი იყო, რომ ყველა, ვინც დაგროვილი კითხვებისთვის პასუხის გაცემას შეეცდებოდა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მიზანმიმართულად თუ გაუცნობიერებლად მოგვატყუებდა, შეცდომაში შეგვიყვანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებასაც მხოლოდ ცხოვრების მეორე ეტაპზე მივხვდით, მხოლოდ 30-ს მიღწეულბმა გავაცნობიერეთ, როგორ ისარგებლეს ჩვენი გულუბრყვილობითა და გამოუცდელიობით – ყველაზე დიდი ტყუილი ყველაზე დიდ სიმართლედ ისე შემოგვასაღეს, რომ მძიმე შედეგებსა და ტკივილზე, რომელიც პირველ რიგში თავისი მოულოდნელობით დაგვცემდა თავზარს, არც კი უფიქრიათ...

ტრადიცია სათავეს ჩვენი თაობის ცხოვრების პირველ ეტაპზე იღებს, როცა მამები მაშინ გაქრნენ ჩვენი ცხოვრებიდან, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მათი თანადგომა. ზოგი ფიზიკურად გაქრა, სამუდამოდ გაუჩინარდა, ზოგი გაქრობას კი გადაურჩა, მაგრამ საკუთარი სული, ცოდნა, გამოცდილება, ოცნებები... გარდაცვლილებს თან ჩააყოლა საფლავში, მერე კი დუმოლის აღტქმა დადო... ავტორიტეტების გარეშე გაზრდილებს, ახალგაზრდული მაქსიმალიზმითა და ამბიციებით შეპყრობილებს თავიდან ძალიან გვიჭირდა მათი გაგება, გვიკვირდა, როგორ გაგვიჩინეს ან მიგვატოვეს, მაგრამ, რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩვენი დაკარგული მამების ასაკს, (ზმირად ვასწრებთ კიდეც ნლოვანებით), ვხვდებით, რომ ჩვენს მსგავსად, ცხოვრებამ მათაც არ დაუტოვა სხვა არჩევანი... ალბათ, ამიტომაც ხდება, რომ შვილებზე ვოცნებობთ, მაგრამ მათი გაჩენის გეგმინია, თითქოს არგაჩენით ვცდილობთ არდაბადებული თაობა იმ ჯოჯოხეთისგან ვიხსნათ, თავად რომ გამოვიარეთ.

წინა თაობამ ბევრი წერა საკუთარ თავზე, საკუთარ „90-იანებზე“, ჩვენ კი ჩვენს „90-იანებსა“ და რეალობაზე ვწერთ – მასზე არდანერა წარმოდგენილია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა თაობამ ეს ათწლეული სულ სხვა კუთხიდან დაინახა და სხვაგვარად წარმოაჩინა, სხვაგვარად იმიტომ, რომ დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაგანია ომში შენდაუნებურად ზურგში რომ მოხვდები, მაგრამ იმაზე ბევრად მეტი გხვდება, ვიდრე იმას, ვინც ფრონტის წინა ხაზზე დგას.

ყველაფრის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომის მძიმე შედეგებითა და ფაშისმით დამძიმებული გერმანელთა 60-იანი წლების ე.წ. „უმამო თაობისგან“ განსხვავებით, ჩვენს თაობას მამები არასდროს უმხელია, არც დაუნაშაულებია. ის, რომ დიდები ისე გავხდით, ფიზიკური გაზრდა ვეღარც კი მოვასწარით, არავისთვის დაგვიბრალებია; არც იმაზე გვინუნუნია, ჩვენს გაყინულ, ნავთქურის მავენე გამონაბოლქვითა და ნავთის სუნით გაჟღერებულ სახლებში არასოდეს რომ არ მოდიოდა ყველაზე კეთილი მოხუცი – თოვლის პაპა; – ან რაღა დროს ხურჯინით მოტანილი ტკბილეული და სათამაშოები იყო, როცა მთელი დღე იმაზე ვფიქრობდით, ფეხსაცმელებში დაუნდობლად შემოპარული წყლით დასველებული ფეხების საიდუმლოს დაკარგული მამის გამო ისედაც მთელი დღის განმავლობაში მტირალი დედის ყურამდე არ მიეღწია და ჩვენს გამოც არ ეტირა... მამებს ვუთანაგრძობდით, მივტიროდით, იმიტომ, რომ ზოგჯერ არაცნობიერ დონეზე, მაგრამ მაინც ვგრძობდით – ჩვენ ერთი ტრადიციის ორი განშტოება, ვილაციის მიერ უნიჭოდ დანერგილი ერთი მოთხრობის ორ სხვადასხვა, მაგრამ თითქმის იდენტური ფინალი ვიყავით.

ორი თაობის გამაერთიანებელმა ტრადიციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა „წარუმატებელი“, პროფესიებჩამორთმეული მშობლების „წარმატებულ შვილებად“ ვიქცით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბედნიერების ძებნა იქ დავიწყეთ, სადაც მისი პოვნის ყველაზე ნაკლები შანსი იყო.

სალომე ბენიძის მეორე პოეტურ კრებულში – „ამბავი უძინართა“ შესული თითქმის ყველა

ლირიკული ლექსი მასში ჩართული პატარა სიუჟეტის, ან სიუჟეტური ჩანასახის დახმარებით სწორედ ამ ტრადიციულ ამბებს აცოცხლებს, ყველა „2000-იანელს“ რომ აერთიანებს, ამიტომაც ცალმხრივი სიყვარულისთვის მიძღვნილი, ავტორის სუბიექტურ ტკივილსა და განცდებზე აგებული სტრიქონებისა და სტროფების მიღმა მთელი თაობის სატიკივარი და სათქმელი იკითხება; თაობისა, რომელსაც ყველაზე ხშირად გულგრილობასა და ზედაპირულობაში ადანაშაულებენ, სინამდვილეში კი მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ზედმეტი გულწრფელობაა, „უაღრესად პირადულ და ტაბუებით სავსე თემებზე“ აქცენტობაა, ის არის, რაც ენ სექსტონის პოეზიის ძირითადი მახასიათებელი იყო; არც თანამედროვე ლიტერატურის ფემინიზაცია შემთხვევითი და არც ის, „2000-იანელები“ ამდენს რომ წერენ საკუთარ ფობიებზე მაგალითად, შეხების ან მარტოობის შიშსა და ნებისმიერ წამს შესაძლებელ და დასაშვებ სუიციდზე; თვითრეფლექსიის გზით საკუთარი არაცნობიერი კვლევამ პროზასა და, განსაკუთრებით, პოეზიაში მთელი თაობის ერთგვარი პორტრეტი შექმნა, რომელიც თანამედროვე, მესამე ათწლეულს მიღწეულ ადამიანს შემდეგანაირად ხატავს: პირადი ტრადიციებისა თუ უკანასკნელი ოცნლეულის განმავლობაში ქვეყანაში დატრიალებული ყველა უსამართლობის გამო შინაგანად მუდამ აწრიალებული, გარეგნულად ფლეგმატური; ასე ხომ ბევრად კომფორტული და ადვილია კუთვნილი ადგილის დამკვიდრება, მაგალითად, კარგი სამსახურის მოვნა; იმათთვის, ვინც წერს, ლიტერატურა თავშესაფრად იქცა, სადაც გულწრფელად შეიძლება ტირილი და იმაზე წერა, რაც ყველაზე მეტად გტკივა და განუხებს, კიდეც ერთი პარადოქსი კი ის არის, რომ იმათ, ვინც ვერ წერს, საკუთარ გამაღიზიანებლად პრაგმატულ და პედანტურ სივრცეში საიდანაც შემოჭრილი სენტიმენტალური, გრძობებს აყოლილი ადამიანები კი აღიზიანებთ, მაგრამ ლიტერატურაში სულიერი ეგზიციტივიზმში იზიდავთ – იქნებ, ესეც ერთგვარი სუბლიმაცია ან რეალობიდან გაქცევის მცდელობაა. ერთი კი ფაქტია: ეს ის თაობაა, ვის უსამშველოდ გადაჭიმულ ნერვებზეც უკანასკნელი ოცნლეუმი ქვეყანაში დატრიალებულმა ყველა უსამართლობამ გადაიარა და იმდენად გამოფიტა, ძალა გამოაცალა, დამამშვიდებლების გარეშე დაძინებას ვერაფრით ახერხებს.

სალომე ბენიძის ლექსების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი მამაა – კონკრეტულიც და განზოგადებულიც, მითოსურსა და ვექტორულ დროში ერთდროულად რომ ცხოვრობს, არქეტიპურიც არის და კონკრეტული სუბიექტიც იგულისხმება და, რაც ყველაზე საინტერესოა, ასე ძალიან ჰგავს ყველა ჩვენგანის მამას, მითოსური და რე-

ალური სამყაროს გასაყარზე – ცხადსა და წარმოსახვას შორის სივრცეში რომ ცხოვრობს და ისეთი კი არ არის, როგორც სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო, ზუსტად ისეთია, როგორც გვინდა, რომ იყოს და როგორც ყველაზე მეტად გვჭირდება... სილვია პლათის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივი – კომპლექსად ქცეული მითოსური მამის საკითხი სალომე ბენიძის ლექსებში სულ სხვაგვარად არის რეპრეზენტირებული, აქ მამა უცხო მამაკაცი კი არ არის, რომელიც აუცილებლად უნდა დაამარცხო, რომ მისი აწრდილისგან სამუდამოდ გათავისუფლდე, პირიქით, ის თითქოს შენი სულისა და სხეულის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ყველაფრის დაძლევაში გეხმარება და ყველა შეკითხვაზე ზუსტად ისეთივე პასუხს გცემს, რის მოსმენასაც ყველაზე მეტად ისურვებდი... ლექსების კიდეც ერთი მთავარი პერსონაჟი, თავად ავტორი კი თითქოს საკუთარი მამის ერთგვარ გაგრძელებას, ზოგჯერ ალტერ-ეგოს, სულიერ მემკვიდრესაც წარმოადგენს.

„არ დამინახავს, საიდან მოვიდა ღმერთი-მამაჩემი, იგი მოვიდა ფეხშიშველი, ჩემსავით ლოყებდასერილი თვალების ნამსხვრევებით, ჩემსავით გაღურჯებული ხელებით, მოვიდა და ოთახის კუთხეში ჩემსავით ჩამოჯდა. „არ გამოსცადო სიყვარული შენი“, – თქვა მან. – „უბრალოდ, გჯეროდეს, რომ არაფერია მასზე დიდი და მასზე მშვენიერი,

უბრალოდ, გჯეროდეს, რომ მისი ძალა ერთმანეთის მიმართულებით დაძრავს დედამინის ორ ნახევარსფეროს.

არ გამოსცადო სიყვარული შენი“,

უბრალოდ, იცხოვრე მის სიღურჯეში მანამ, სანამ სიკვდილი არ გამოგაფხიზლებს“, – ეუბნება მამა, იმის მიუხედავად, რომ დროში, რომელშიც ავტორი ცხოვრობს, ყველაფერი – განსაკუთრებით სიყვარული – ეფემერული და წარმავალია; სიყვარულისთვის ცხოვრებას, სიყვარულით ცხოვრებას სთხოვს მამის, როდესაც დედაც და მეგობრებიც გაუთავებლად შთააგონებენ, არასოდეს შეიყვაროს პირველმა; კონკრეტულ ლექსში მამა არქეტიპული სახეც არის მამა ღმერთისა, რასაც პირდაპირი მეტაფორა „ღმერთი-მამაჩემიც“ მიაჩნებებს და ავტორის გარდაცვლილი მამაც არის, რომელიც ასე ძალიან ჰგავს გარეგნულად და რომელსაც სხვა ლექსში „პლანეტაშორისი წერილი მამაჩემს“ მითოსურ-რელიგიური პლასტი მთლიანად აქვს შემოცლილი – კონკრეტულ სახეს წარმოადგენს მამისა, რომელსაც შვილი ყველაზე ინტიმურ ამბებს უყვება – აღსარების ჩაბარებას მხოლოდ მისთვის ბედავს, იმიტომ, რომ ბოლომდე მხოლოდ მას ენდობა და მხოლოდ მასთან შეუძლია, ბოლომდე გულწრფელი იყოს; აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ძალიან ნიჭიერ და გემოვნებიან ადამიანს შეუძლია, მამის დაკარგვით გამოწვეული პირადი ტკივილი მთელი თაობის ტკივილად წარმოაჩინოს, სუბიექტური დრამა კი ყალბი პათეტიკისა და სენტიმენტალიზმის გარეშე თაობის ტრადიციად გადააქციოს.

მითოსური მამა შვილისგან ისეთ სიყვარულს ითხოვს, სიკვდილამდე რომ გასტანს, ამიტომაც არის თითქმის ყველა ლექსი სიყვარულზე და, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათ კონკრეტული ადრესატი ჰყავთ, მთავარი ის კი არ არის, ვისაც ლექსები ეძღვნება, მთავარი უშუალოდ გრძობაა – ასე ხმამაღალი და ძლიერი, დამლელი და დაუნდობელი, მეტყველი და დამანგრეველი, ჯადოსნურ ზღაპრებში აღწერილი და რეალურად განცდილი გრძობის ერთგვარ სინთეზს რომ წარმოადგენს და, პირველ რიგში, სწორედ საკუთარი გულწრფელობით ახდენს ზემოქმედებას მკითხველზე... ან როგორ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს ფერად-ფერადი კაბებით სავსე გარდერობი, კუბოს რომ ჰგავს, რომელშიც ჩვენი თაობის ყველაზე დიდი და ფარული ოცნება – სიყვარულია გამომწყვედელი?!

თანამედროვე დესტრუქციულ ეპოქაში, როცა აქტუალური ყველაფრის დეკონსტრუქციაა, მამა-შვილის კონცეპტის ასეთი პოზიტიური გადარყვება და გააზრება მისასაღებელია. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ შვილი მამის, ისევე, როგორც აწმყო წარსულის გარეშე არ არსებობს. ისინი ერთი მთლიანის ორ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და უმთავრესი მათ ურთიერთობაში ერთ-ერთისგან მეორისთვის განვდილი ხელია, რაშიც სიყვარული თავისთავად იგულისხმება... ■



ვინც მშვიდად განლია თავისი ცხოვრება და ფეხქვეშ გაიგდო ხვედრი მზვობარი, თვალი გაუსწორა ბედს, უბედობასაც და შეინარჩუნა სახე შეუფალი, ასეთ ადამიანს ვერ შეძრავს ზღვის ღელვაც, თუნდაც ღრმა ფსკერიდან დაიძრან ზვირთები, ვერც ვეზუვიუსი, რომელიც ბრძმედიდან ღადარს, აბოლებულს, აგზავნის მრავალგზის; მას ვერ შეაშფოთებს ვერც ელვის კლაკნილი, ტანმალალ კოშკებზე დაცემას ჩვეული... რად გაკრთობთ ტირანთა რისხვა, ისინი ხომ სულით დავრდომილნი უძღურნი ხდებიან. განაგდე იმედი, სიმხდალაც განაგდე და უძღურ ტირანებს განაიარაღებ. ვინც წადილს აჰყვება ან შიში აიტანს, ვერც მტკიცე იქნება, ვერც თავისუფალი, იგი ფარს მოისვრის და გზააბნეული ბორკილს შესაპყრობად თავად მოიმზადებს.



ბოთიუსი

ფილოსოფიის ნუგეზი

რომელიც ვალეებმა აიძულა, ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოეყენებინა. შემდეგ – ოპილიონი და გაუდენტიუსი, რომლებსაც მრავალი დანაშაულისა და უსამართლოების ჩადენის გამო მეფის ცენზურამ განდევნა მიუსაჯა. მათ კი დამორჩილება არ ისურვეს და წმინდა ნაგებობას⁴ თავი შეაფარეს, ხოლო, როცა მეფისთვის ამის თაობაზე გახდა ცნობილი, ბრძანა, რომ შუბლზე დადსამულეებს განდევნიდა, თუ ქალაქ რავენას დადგენილ ვადაში არ დატოვებდნენ. რა შეიძლება დამატოს ამ სისასტიკეს? იმავე დღეს იმავე ადამიანებმა ჩემ წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენეს. პოდა, რატომ? ნუთუ ეს ჩემი საქციელით დავიმსახურე? ნუთუ წინასწარ მოფიქრებული განაჩენი ჩემს ბრალდებლებს ნესიერ ადამიანებად აქცევდა?

ვინც ბრალდება წამოაყენა, მათაც კი შეამჩნიეს ბრალდებულის პატიოსნება, მაგრამ ავკაცობა გამოურჩეს და იგი შებლაღეს, იცრუეს, თითქოს სინმინდეთა შებლაღვით სინდისი დავიმძიმე. მაგრამ შენ, როცა ჩემს სულში დაისადგურე, იქიდან ყოველგვარი წარმავალი საგნებისადმი ღტოლვა გამოდევნე და ამიტომაც შენ თვალწინ მკრეხელობას ვერ ჩავიდენდი. შენ ხომ ყოველდღე ყურში ჩამჭურჩულედი და ჩამაგონებდი პითაგორას სიტყვებს: **ἔησθαι** არც უმდაბლეს სულებთან თავშესაფრის ძიება იქნებოდა შესაფერისი საქციელი ჩემთვის, ვისაც საუკეთესო თვისებები მომადლე, ღვთის მსგავსი რომ გავმხდარიყავი. გარდა ამისა, ჩემი სახლის სინმინდე, უპატიოსნეს მეგობართა კრებული, ჩემი სიმამრი, რომელმაც თავისი ღვაწლის გამო არანაკლები პატივისცემა დამისახურა, ვიდრე თავად შენ, მიცავენ ყოველგვარი ეჭვისა და ბოროტმოქმედებისაგან. მაგრამ, ვაი, სირცხვილო! ჩემი ბრალდებლები რაღაც დანაშაულის მტკიცებულებას შენში ხედავენ და მხოლოდ იმიტომ ვეჩვენები დამნაშავედ, რომ შენი ნესებით, შენი ზნეობით ვარ აღზრდილი. განა ეს არ კმარა იმის დასადასტურებლად, რომ შენმა ავტორიტეტმა საარგებელი ვერ მომიტანა, მაგრამ ჩემს თავზე დატეხილმა სიძულვილმა შენც მეტად დაგაზარალა. და ჩემი უბედურება კიდევ იმან დაამძიმა, რომ უმრავლესობა ფიქრობს, თითქოს ყოველივე წარმართება არა მიზეზის, არამედ ფორტუნას დამსახურებით. და მხოლოდ იმას ანიჭებს მნიშვნელობას, რასაც ბედნიერება მოაქვს. აქედან გამომდინარე, კეთილი აზრები, პირველ რიგში, უბედურ ადამიანებს ტოვებს. იმის გაფიქრებაც მზარავს, როგორი ჭორებია ახლა ხალხში გავრცელებული ან ერთმანეთში რამდენად შეუთავსებელი არიან ისინი. მხოლოდ იმას ვიტყვი – არაკეთილმოსურნე ფორტუნას უკანასკნელი კირთებაა ის, რომ, როგორც კი ვინმე უბედურს რამე გამოგონილ დანაშაულს დააბრალდებენ, ყველა დაიჯერებს, თითქოს მან ასეთი ხვედრი მართლაც დაიმსახურა. და მეც სიკეთის სანაცვლოდ სასჯელი მივიღე: დავკარგე მთელი ქონება, თანამდებობა, დავრჩი ჭორებით შებოღნული. წარმომიდგება ლხინითა და განცხრომით აფორიაქებულ ბოროტმოქმედთა საზიზღარი ბუნაგები და ვხედავ, როგორ აყენებენ ახალ ცრუ ბრალდებებს ვიღაც გაიძვერები, ხოლო ძირს განრთხმული პატიოსანი ადამიანები ჩემი ჩაგვრის მიზეზით შიშს შეუპყრია, დამნაშავეები კი, თავგასულები დაუსჯელობის გამო, ნადავლის ხელში ჩასაგდებად ყოველგვარ სიავეს უშიშრად წააღიან. ხოლო უდანაშაულონი არათუ უსაფრთხო, არამედ სრულიად დაუცველი არიან. ამგვარად, მსურს, წამოვიძახო:

შენ, ვარსკვლავებით მოჭედლი ცარგვლის გამჩენო,

დაბრძანებულ მარადიულ სამეფო ტახტზე, რომელიც აღძრავ ცის კაბადონს სწრაფი წრებრუნვით, ურღვევ კანონთა მორჩილებად განაწყობ მნათობთ. თუკი ერთ დროსაც სავეს მთვარე შექმოვანებით საკუთარი ძმის მზის სინათლეს აპყრობდა სახეს, აფერმკრთალებდა მისი შუქი წვირლ-წვირლ ვარსკვლავებს, ახლა თავადაც გაცრეცილი ნამგალა მთვარე მზის სიახლოვეს სხივკონებსაც ნელ-ნელა ჰკარგავს. როცა ამოდის ჰესპეროსი⁸ ცივი ნათებით მწუხრის დადგომას გვამცნობს იგი, მოუძღვის ღამეს და შემდეგ ბორკილს ლუციფერო⁷ თავს რომ დააღწევს, მიეგებება მზის ამოსვლას ფერნამკრთალები. როდესაც ხეებს ზამთრის სუსხი ფოთლებს გააცლის, დღის ხანგრძლივობას შეამცირებ, როგორც წესია, მაგრამ როდესაც კვლავ დადგება მწველი ზაფხული, ღამის საათებს დააჩქარებ, გახდი სწრაფმავალს, შენი ნებაა, რომ წარმართავს ჟამთა ცვლილებას და ზეფიროსი⁸ დააბრუნებს კვლავაც სიმზვანეს, რომელიც ქრება, ბორეასი⁹ როცა უბერავს. სირიუსი¹⁰ კი გააღვივებს იმ მწიფე მარცვალს, ოდესლაც თავზე არქტურუსი¹¹ რომ დასცქეროდა და ეს წესრიგი ოდითგანვე რჩება უცვლელი და ყოველივე აღასრულებს, რაც ევალება, არსებულ საგანთ განუწყვეტელ მკაცრი სამანი, მხოლოდ კაცთ მოდგმა არ შეზღუდვ, ვით მბრძანებელმა, თავისუფლება მოქმედების მას მიეც მხოლოდ და, თუ ასეა, რად აბრუნებს ფორტუნა მაშინ არასასურველ ცვლილებას და წარმავლობას, სჯის უცოდველებს ბოროტთათვის კუთვნილი ხვედრი.

მაღალი ტახტი ალუმართავთ წამხდარ ზნეთათვის და ქედმოდრეკილ პატიოსან ადამიანებს მომძლავრებული მწვალელები ავიწროებენ. სადღაც გამქრალა სათნოების ნათელი თითქოს, ის შავ-ბნელ ბურუსს დაუფარავს და სამართალი უთქმელად იტანს უმსგავსოთა უსამართლობას. ზნედაცემულებს არ აწუხებთ ფიცის გატეხა, არც სიაკაცე, შენიღბული ცრუ ბრწყინვალეობით. ეშურებიან, რომ მიმართონ თავიანთ ძალას, რათა დიადი მეფეები დამორჩილონ, უთვალავ ხალხს რომ შიშის ზარს სცემს მათი სახელი. ვინაც კავშირით არსებული საგნები შეჰკარ, უბედურ მინას გადმოხედე მოწყალე თვალით. შენ რომ შექმენი დიდებული სამყარო, მასში უმნიშვნელონი კაცთა მოდგმა არა ვართ, თუმცა ფორტუნას ზვირთმა აგვიტაცა, ღელვა დააცხრე, უკიდევანო ცას რომ მართავ, იმავ წესრიგით გააძლიერე დედამინა და განამტკიცე.

ლათინურიდან თარგმნა გვანცა ფოფხაქია

¹ „ვირი ღირასთან“ – ძველი ბერძნული გამოთქმაა და ეხება ისეთ ადამიანს, ვისი გონებაც დახშულია ამაღლებულ თემებზე სასაუბროდ.

² „ილაპარაკე, გონებაში ნუ დაიმაღლე“. ჰომეროსი, „ილიადა“. 1.363.

³ რადიუსი – მათემატიკური ინსტრუმენტი.

⁴ იგულისხმება ეკლესია (იმ დროისთვის ტერმინი ecclesia ნეოლოგიზმი იყო).

⁵ მიემსგავსე ღმერთს – პლატონურ-პითაგორული აზრი იმის შესახებ, რომ ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავება ადამიანს ღმერთის მსგავსს ხდის.

⁶ მწუხრის ვარსკვლავი.

⁷ ცისკრის ვარსკვლავი.

⁸ დასავლეთის ქარი.

⁹ ჩრდილოეთის ქარი.

¹⁰ ვარსკვლავი ძაღლის თანავარსკვლავედში ამოდის 18 ივლისიდან 25-26-ს ჩათვლით.

¹¹ ვარსკვლავი მენახირის თანავარსკვლავედში.



ბებერი ალვა, როცა ქარია,
ტოტებს მოგაყრის – თაენამახულებს...
შემინდე ბაბუ, ჩემი ბრალია,
ვერ მოვედი და ვერ გინახულე.

მზეს დაუგია ფოთლის ლეიბი,
მზე შენს საფლაგზე ფოთლებს ახუნებს...
შენ ხომ გიყვარდა სმა და ქეიფი,
მოვალ და... ჭიქა მომიჭახუნე...

ბექა ახალაია

ჩიტია მზერა – თვალის ბუდეში. გალობდა:

თქვენი ხელიდან გამოვა და ჩემს მკერდში ჩავა
ქვა – რომელსაც ვიტოვებ: დაე, გულივით
მიცემდეს!

როგორც დაბზარული სარკე,
არაერთგზის რომ აირეკლავს რაიმე საგანს,
ისე გამიმრავლდა: დედა, მამა; მეგობრებიც
- ერთი სახის. უარესია -
შენს გულს ცარიელ ადგილად თვლიდნენ -
სიცარიელე;

უკეთესია,
ამოშენდე სიცილის ოთახად.
თქვენი ხელიდან გამოვა და ჩემს მუცელში მოთავსდება.
თქვენი ხელიდან გამოვა და ჩემს თავში ჩავა.

უკუიქცა ფრინველთა გუნდი;
კვლავ ვუყრი საკენკს – თურმე,
ხელებს ვუქნევ სიცარიელეს,
მაგრამ არ მიდის – ვერ ვაშინებ.
კვალიც იშლება ჩემი.

ადამ კადმონი

ბაბუ

ეს შემოდგომის სიმღერაა, პირველი, ბაბი.
და შემოდგომაც პირველია, რომელსაც უყვარს
მოვიდეს (მაშინ, როცა ცივი ხეების ამბავს
გამოყვებთან ქუჩები) და მას მერე ნულარ



„ლიტერატურულ საქართველოს“ ახალი რუბრიკა დამატა - დღეიდან, თვეში ერთხელ ახალგაზრდა მწერლები თავიანთი კოლეგების - ახალგაზრდა პოეტების საუკეთესო თითო-თითო ლექსს შეარჩევენ. ვფიქრობთ, ეს ნამონყება საინტერესო უნდა გამოდგეს მკითხველისათვის - პირველ რიგში, მათ თანამედროვე პოეზიის გამორჩეული ნაწილის გაცნობა შეეძლება; მერე მეორეც, ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების მსგავსი ეკლექტიკური ნარმოდგენა, მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ასახვისთვის.

მამ ასე, ახალი რუბრიკის პირველ „რჩეულ პოეზიას“ შეადგენს ახალგაზრდა პოეტი და კრიტიკოსი დიმიტრი ბახუტაშვილი.

გადამიტყავებ ხელისგულს შენი სიზმრებით.
ეს იესო! ჩემი ღამე, რომელიც მიცავს.
მე ამოვდივარ შენს საფლაგზე და ვაკვირდები,
როგორ იჩვევენ ყვავილები შენს სულს და მინას.

როგორც სუდარას დაბერების, მე ვაცმევ ფოთლებს
კენჭებს, რომ თავი დავამსგავსო (ისედაც მგვანან).
მერე ისინიც ლოცულობენ ქარისგან მოცლილ
კაცზე, რომელსაც სამუდამოდ იტირებს მამა .

ჰოდა, თავიდან ფოთოლცვენა, სკამები. ბალთან
ვიბო დვას. იქვე ბავშვებია. კიბეზე არბის.
და ხდება ისე ხეივანებიც გვტოვებენ მარტო
და შემოდგომის სიმღერები რჩებიან ბაბი.

ჯუბა ხაინდრავა



ღია კარის დღე
შემოდგომისთვის

შენ რომ შეაღებ,
იმ კარს იქით მე სახლი მინდა,
რომ გადავილი,
იმ ქუჩისკენ – ღია ფანჯრებით.
შენ შეიძლება არ იყო და...

ისე მიყვარდე.
თითქოს ზამთარი ჯერ არ მოსულ თოვლს
ეფერება, -

ისე შეგეხო,
შემიძლია,
ყოველთვის, თუმცა
ამ ყრუ ყოფაში გაჩრილია სიცარიელე.
შენ შემოხვედი ჩემს ცივ სულში ისევე,
როგორც
იორდანეში –
იოანე ნათლისმცემელი.
გარეუბნების ჰორიზონტზე
მზე რომ იხრება,
ისე უბრალოდ ვუშვებ ახლა ხელებს,
დაღლილი...
და ჩემს მინაში –
ამ სხეულში გამოუხრავად
დამარხულ ძვლებზე ვიგეგები ქუჩის ძაღლივით.
მინებზე კვდება შემოდგომის ძველი სისველე
(გახვეტენ წვიმებს ქარები და გადაუვლიან),
ჩემ წინ კი, როგორც უცხო კაცი,
დვას სისულელე
და არავისთვის შენირული ალილოია.

თორნიკე ჭელიძე



მღობვის მარცვლები

ვინ იცის, რამდენჯერ მომინყვეტავს
მკერდიდან სიჩუმე და მიმისვენებია
სუსტი ტერფების ჩრდილში –

ვინ იცის, როგორ შიშინებენ
ქარში შვრიის ლეროები,
მოლუსკები და მწყურვალეები

და ეს თითები, ვინ იცის –
თეთრი ფუნჯები
შემონყობილი გაბზარულ ნიჟარებზე

*
დედაჩემი ისაა,
ვინც თოფის ლულაში ამოზარდა
ჩვილი ყვავილები-მწვანე ღვიები
და ცრემლით რწყავდა.

*
იქნებ ამ კორიდორში –
ყვითელი მოლალური შემოფრინდეს
და გასასვლელი ველარ იზოვოს

ბექა ყორშია

ისინეთ ყველა!

ბატონებო!

ჩემი ერთპიროვნული გადანყვეტილებით „ლიტერატურული საქართველოს“ ეს ნომერი მოამზადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებმა!

ეს არის პირველი უნიკალური შემთხვევა ჩვენი გაზეთის და უნივერსიტეტის მწერალთა წრის ისტორიაში!

საგანგებო ნომრის მოსამზადებლად შეიქმნა ახალგაზრდა შემოქმედთა სათათბირო საბჭო!

წინასწარდაცემიო სამუშაოებს უხელმძღვანელებს ჩემ მიერ დროებით დანიშნულმა მთავარმა რედაქტორმა **ლექსო დორეულმა** და მისგან შერჩეულმა მისივე მოადგილე **ოთარ ჯირკვალიშვილმა**.

ძვირფასო მკითხველო!
ყურადღებით წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის ეს ნომერი და შეეცადეთ, დაიმახსოვროთ ამ ახალგაზრდა ავტორთა გვარები – ესენი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის მომავალია.

პატივისცემით

თამაზ ნივნივაძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი,

„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი
რედაქტორი

ნომრის მთავარი რედაქტორი: ლექსო დორეული

მთ. რედაქტორის მოადგილე: ოთარ ჯირკვალიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიმიტრი ბახუტაშვილი, ნიკოლოზ აგლაძე,
ხვიჩა ჟალაბაგაშვილი, სოფიო ჟღენტაძე, გიორგი ფირცხალაიშვილი,
მარიამ თათრაძე, დათო ნადირაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი: ნუზუარ არჩაბაშვილი

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. №GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე



გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E-mail: litsaqaartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის
პარასკეობით